

ა. მთალოვა
ეპარქეადა

უფრო დიდი განვითარების მიზანი

უფრო დიდი განვითარების მიზანი

უფრო დიდი განვითარების მიზანი




საქართველოს განათლების სამინისტრო
თაბილის ს.-ს. ორგანიზაციის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ა. ღოთაროვა, ქ. ფოჭხავა

ბიბლიოგრაფიული მუჟაობა ბიბლიოთეკაში

სალექტიო კურსი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და
ბიბლიოგრაფმცოდნეობის სპეციალობის
სტუდენტებისათვის



თაბილის

1996

025.5



ულ 025.52

ო 831

ნაშრომი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიის კურსის მესამე ნატილს. პირველ ორში (1988, 1989 წწ.), განხილული იყო ბიბლიოგრაფიული წყაროთმცოდნების საკითხები (წიგნისა და პერიოდიკის რეტრისუექტული ბიბლიოგრაფიული მაჩენებლები). წინამდებარე სალექციო კურსი ეხება საცნობო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურების, ბიბლიოგრაფიული კულტურის ფორმირებას მკითხველებში და ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მუშაობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. გათვალისწინებულია ბოლო წლებში გამოცემული ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების მასალა და საქართველოს ბიბლიოთეკების გამოცდილება.

რედაქტორი დოკ. ა. ლორია

რეცენზერები: დოკ. ჭ. ტყაბლაძე

ე. თოხაძე, თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე საშეცნერო დარგში

სპე-2000
შემოწმებულია

© თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ.

სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი,

1996.

სახელმწიფო
პედაგოგიური
უნივერსიტეტი
თბილისი
საქართველო

თავი I

გიგანტური მუშაობის მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საკითხები გიგანტური გიგანტების

1. გიგანტების გიგანტური მუშაობის განვითარების
ორგანიზაციული სტრუქტურა

ბიბლიოგრაფიული მუშაობა ყველა ტიპის ბიბლიოთეკაში ტარ-
დება, მისი უწყებრივი დაქვემდებარების, მკითხველთა შემაღენ-
ლობის, სამუშაოს მოცულობისა და პროფილის მიუხედვად. შე-
იძლება ითქვას, რომ ბიბლიოგრაფიული საქმიანობა, ბიბლიოთე-
კის „გამჭოლი ფუნქცია“, რაღან ის ხორციელდება ბიბლიოთე-
კის ყველა ძირითად რგოლში. სწორედ ბიბლიოგრაფიული საქმი-
ანობა განსაზღვრავს, მეტწილად, ბიბლიოთეკის როგორც ეროვ-
ნულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საინფორმა-
ციონ დაწესებულების სახეს.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის ინტენსიფიკაციის, ხარისხისა და
ეფექტურობის ამაღლება, მისი ორგანიზაციის სრულყოფას მოი-
თხოვს.

ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ორგანიზაცია გულისხმობს,
რომ შეთანხმებულად ბიბლიოთეკის ყველა განყოფილება მუშა-
ობდეს, შეიქმნას ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპა-
რატი, სისტემატურად ხდებოდეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლე-
ბის შედგენა, ბიბლიოგრაფიული ინფორმირება, საცნობო-ბიბლი-
ოგრაფიული მომსახურება, საკონსულტაციო-მეთოდური მომსა-
ხურება, ბიბლიოგრაფიული კულტურის დანერგვა მკითხველებში,
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ა. შ.

ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მუშაობის შინაარსი და მო-
ცულობა დამოკიდებულია მის სტატუსზე და მოვალეობაზე. ყვე-
ლა ბიბლიოთეკის ამ მხრივ ბევრი საერთო გააჩნია, მაგრამ არის

კონკრეტული ფაქტორებიც, რომლებიც განასხვავებენ ერთმანეთზე საგან ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას: უწყებრივი დაქვემდებარება, მყითხველთა შემადგენლობა და მათი საინფორმაციო მოთხოვნები, ფუნქციების განაწილება ბიბლიოთეკებს შორის, მათი დარგობრივი და ტერიტორიული პროფილის მიხედვით, ფონდის მოცულობა და შემადგენლობა, ბიბლიოგრაფიული პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და ცსს-ის ნებისმიერი ფილიალი, მიეკუთვნებიან საქართველოს კულტურის სამინისტროს საბიბლიოთეკო ქსელს და ამიტომ დებულებით გათვალისწინებული სამუშაოები, უნდა შესრულდეს ორივე ბიბლიოთეკაში. მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკა — რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკაა, ის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრია ყველა ბიბლიოთეკისათვის, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა, ხოლო ცსს-ის ფალიალი დაბალი რგოლის ბიბლიოთეკაა და მას სხვა, უფრო მოკრძალებული ფუნქციები ეჭისრება მყითხველთა ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში. ცხადია, რომ ამის გმო მათი ბიბლიოგრაფიული სამსახურის ორგანიზაციის თავისებურებანი სხვადასხვაა.

ყველაზე ძლიერ ბიბლიოგრაფიულ ცენტრებს წარმოადგენენ დიდი ეროვნული ბიბლიოთეკები, საქართველოში — რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკა. მისი უნივერსალური წიგნადი ფონდი და ბიბლიოგრაფთა პროფესიონალიზმი, ქმნის ეფექტური ბიბლიოგრაფიული მუშაობის პირობებს. ბიბლიოთეკის ძირითადი მოვალეობაა: 1) მრავალფეროვანი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გამოცემა, როგორც სამეცნიერო-ინფორმაციული ხსიათის, ასევე წიგნებისა და პერიოდიკის რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა, მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის ხელმძღვანელობა, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გამოცემა ცსს-ის დასახმარებლად. 2) მყითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, მომსახურება (იგულისხმება არა მარტო ბიბლიოთეკის, არამედ რესპუბლიკისა და მის საზღვრებს გარეთ მყოფ მყითხველთა მომსახურება). 3) მეთოდური დახმარება იმ ბიბლიოთეკებზე, რომლებიც ეშვეიან ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, მათი მუშაობის კოორდინაცია. 4) ბიბლიოგრაფიული გამოცდილების განზოგადოება, ბიბლიოგრაფიის მეთოდიკის, ორგა-

ნიზაციის, თეორიისა და ისტორიის პრობლემების მეცნიერებულობა
დამუშავება. 5) ბიბლიოგრაფთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელ-
მძღვანელობა რესპუბლიკაში და ა. შ.

ცეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ატარებს
და ხელმძღვანელობს მას საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული გან-
ყოფილება, ასევე მხარეთმცოდნეობის და დარგობრივი განყოფი-
ლებები, მათ სპეციალიზებული დარბაზები გააჩნიათ, სადაც წარ-
მოებს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა. მეტად მნიშ-
ვნელოვანია ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსა-
ხურის მიერ მომზადებული და გამოცემული ბიბლიოგრაფიული
პროდუქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობის პა-
რალელურად დიდ ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ეწევიან მეცნიერე-
ბათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერ-
სიტეტისა და ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკები, საქართ-
ველოს წიგნის პალატა. მათი ბიბლიოგრაფიული პროდუქცია ძი-
რითადად რესპუბლიკაში და, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთ
ვრცელდება.

ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ეწევიან აგრეთვე
სხვადასხვა განყოფილებებში: დარგობრივ სამკითხველო დარბა-
ზებში, მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში, აბონემენტზე და ა. შ.

დიდ ბიბლიოთეკებში ამ სამუშაოს, ძირითადად ხელმძღვნე-
ლობს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება, რომელ-
საც ევალება პირველყოვლისა საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარა-
ტის შექმნა, ბიბლიოგრაფიული ინფორმირებისა და საცნობო-
ბიბლიოგრაფიული მომსახურების ორგანიზაცია. განყოფილების
მუშაობაში დიდი აღვილი ეთმობა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლე-
ბის შედეგებს, ბიბლიოგრაფიული კულტურის გავრცელებას ბიბ-
ლიოთეკის მკითხველთა და თანამშრომელთა შორის.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება ახორციელებს აგრეთვე, სა-
კორდინაციო და მეთოდურ მუშაობას ბიბლიოგრაფიის დარგში,
როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. განყო-
ფილება დიდ ყურადღებას აქცევს ცსს-ს, აღგენს მისთვის მეთო-
დურ მასალებს, სისტემის ბიბლიოგრაფიული მუშაობის გასაუმჯო-
ბესებლად. სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზე-
ბული სისტემების ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციის



თავისებურებანი, განპირობებულია მათი სტრუქტურის სპეციალურობისა
რაც გამოიხატება, პირველყოვლისა, ბიბლიოთეკა-ფილიალების
არსებობაში. ისინი ტერიტორიულად შორს არიან, როგორც ცენ-
ტრალური ბიბლიოთეკიდან, ასევე ერთმანეთიდან.

ცს ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაცია განსხვავებუ-
ლია ერთმანეთისაგან, რადგან სხვადასხვაა როგორც მათი სამოქმე-
დო ასპარეზი, ასევე ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მასშტაბები
და შინაარსი.

იმ ფაქტორთა შორის, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოგრაფი-
ული მუშაობის ორგანიზაციის ერთგვაროვნებას უვალა ცს-ში,
შეიძლება დავასახელოთ: ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვა-
ნელი როლი სისტემის ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში, ცალჭეული
ბიბლიოგრაფიული პროცესების ცენტრალიზებული შესრულება,
სისტემის განყოფილებების ფუნქციონალური სპეციალიზაცია,
უნიფიცირებული ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, მყარი კავში-
რი ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებს შორის.

სპეციალურ ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული მუშაობის
ორგანიზაციას ახასიათებს თავისებურებანი, რომელიც გამოწვე-
ულია ამ ბიბლიოთეკების მრავალფეროვნებით და იმით, რომ მათი
უმეტესობა შედის ინფორმაციის სხვადასხვა დონის ორგანოებში.
ჩვეულებრივ დიდ სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლი-
ოთეკების სტრუქტურაში გამოყოფილია დამოუკიდებელი. ბიბლი-
ოგრაფიული განყოფილებები.

ამ ბიბლიოთეკებში, რომლებიც გაერთიანებული არიან ინ-
ფორმაციის ორგანოებთან (როგორიცაა დაწესებულებათა სამეც-
ნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები)
ბიბლიოგრაფიული სამუშაოს ნაწილი სრულდება ინფორმაციის
ორგანოების განყოფილებებთან ერთად, გასცემენ ფაქტოგრაფიულ
ცნობებს, მაგრამ საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის წარმო-
ებაზე და სხვა პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბიბლი-
ოგრაფიულ ინფორმაციასთან, პასუხისმგებლობა ეკისრება ბიბლი-
ოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციაზე დიდ გავლენას
ახდენს ბიბლიოგრაფიული პროცესების ავტომატიზაცია და შექა-
ნიზაცია. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა, ბიბლიოგრა-
ფიული ინფორმირება და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახუ-

რება ხორციელდება ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ჯგუფით. ამ პროცესების შედეგად იცვლება ბიბლიოგრაფის შრომის შინაარსი, რაც თავის მხრივ იწყევს ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციული ფორმების ცვლილებას.

მცირე შტატის მქონე სპეციალურ ბიბლიოთეკებში (განსაკუთრებით ცალკეულ საწარმოთა, სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებში), ბიბლიოგრაფის თანამდებობა არაა გათვალისწინებული და ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ბიბლიოთეკარები უძღვებიან. ისინი უმთავრესად საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის — პირელ რიგში კატალოგების — ორგანიზაციას აქცევენ ყურადღებას. ბიბლიოგრაფიულ წყაროებს კი ძირითადად ფონდების დაკომპლექტებასა და მასობრივ მუშაობაში იყენებენ. ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებასა და საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას ვერ უთმობენ შესაფერ ყურადღებას.

2. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული გაცოცილების ძირითადი ფუნქციები

ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახურის მთავარი ნაწილია დამოუკიდებელი ბიბლიოგრაფიული განყოფილება, რომელიც არსებობს დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. სხვა ტიპის ბიბლიოთეკებში არის სექტორი ან ჯგუფი. მცირე ბიბლიოთეკებში, რომელთა სტრუქტურით არაა გათვალისწინებული ეს დანაყოფები, მის ფუნქციას ასრულებს ბიბლიოგრაფი, ხოლო თუ თანამდებობა შტატით არაა გათვალისწინებული, ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა ყვისრება ბიბლიოთეკის რომელიმე თანამშრომელს.

ყველა ტიპის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას ბიბლიოგრაფიული საქმის ორგანიზაციაში ბევრი საერთო გააჩნია, მაგრამ არის მთელი რიგი განსხვავებები, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ბიბლიოთეკისათვის.

ბიბლიოთეკებიდან აუცილებელია პირელ რიგში რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფუნქციების განხილვა. ამ ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების სტრუქტურა განისაზღვრება მისი მუშაობის შინაარსით.

ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლები აწარმო-



ებენ ძირითადად მთელი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ საფუძვლების აქედან უპირველესი მნიშვნელობა აქვს საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შექმნას, რომელსაც რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში საქმიოდ რთული სტრუქტურა აქვს. განყოფილების თანამშრომლები ეხმარებიან სხვა განყოფილებებს საკუთარი, ლოკალური საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შედგენაში. საცნობო-საინფორმაციო ფონდის გამოყენებით განყოფილება აწარმოებს ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებას. დიდი დღიული ეთმობა განყოფილების მუშაობაში საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას. ამ საქმეში მონაწილეობენ აგრეთვე სექტორების თანამშრომლები.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებს შედგენაში წამყვანი როლი დაკისრებული აქვს განყოფილებას. აქ გეგმის მიხედვით ამზადებენ მაჩვენებლებს: მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, გამოსცემენ ლიტერატურის სარეცონოდაციო სიებს მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად. განყოფილება ხელმძღვანელობს ბიბლიოგრაფიული კულტურის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაოს, რომელიც ტარდება ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და მკითხველებისათვის. ბიბლიოგრაფიული განყოფილება ასრულებს კოორდინაციულ და მეთოდურ შუშაობას, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე მის გარეთაც. პირველ რიგში ეს დახმარება ეხება სახელმწიფო მასობრივ ბიბლიოთეკებს, კერძოდ, ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო-სისტემებს. ადგენს მათვის მეთოდურ მასალებს, დაზმარებას უწევს მასობრივი ორნისძიებების ჩატარებაში და ა. შ. ბიბლიოგრაფიული განყოფილება ამუშავებს ე. წ. თანამდებობრივ ინსტრუქციებს, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შინაარსი. ყველა შემთხვევაში ეს ინსტრუქციები ითვალისწინებენ ბიბლიოთეკის სპეციფიკას.

თავისი ფუნქციები გააჩნია ცსს ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. ცენტრალიზაციამდე ყველა მასობრივ ბიბლიოთეკას არ ჰქონდა საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება. ამჟამად ცენტრალურ ბიბლიოთეკებში შექმნილია ბიბლიოგრაფიული განყოფილებები ან ისინი გაერთიანებულია მეთოდურ განყოფილებასთან.

• სპეციალურ ბიბლიოთეკებს განეკუთვნება დარგობრივი ცენ-

ტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთაც მართვა
სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებთან ყალიბდება. ეს ბიბ-
ლიოთეკები მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი ონ დარგო-
ბრივი ინფორმაციის ორგანოთა სტრუქტურული განყოფილებები.

მათი ტიპოლოგიური ერთგვაროვნების მიუხედავად, ამ ბიბლი-
ოთეკებში ბიბლიოგრაფიული სამსახურის სტრუქტურა განსხვა-
ვებულია. ზოგ ბიბლიოთეკას თავისი საცნობო-ბიბლიოგრაფიული
განყოფილება გააჩნია, ზოგი კი გაერთიანებულია დარგის ინფორ-
მაციის ინსტიტუტის შესატყვის განყოფილებასთან.

ამ ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ სამსახურს ევალება, რომ
უზრუნველყოს სამინისტროს მართვის სისტემა და მეცნიერთა სა-
მეცნიერო-საწარმო მოღვაწეობა ბიბლიოგრაფიული ინფორმაციით.
აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკაფიული განყოფილების ძირითა-
დი ფუნქცია, დარგობრივი ლიტერატურის ბიბლიოგრაფირება,
საინფორმაციო სიების მიწოდება მკითხველებზე დარგის ახლად
შემოსული ლიტერატურის შესახებ. განყოფილება ფართოდ იყე-
ნებს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ პარატს. რაც შეეხება ბიბლიო-
გრაფიული მაჩვენებლების შეღენას, ეს ფუნქცია ნაკლებად ახა-
სიათებს ამ ბიბლიოთეკებს.

ქვე უნდა აღინიშნოს უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკე-
ბის ზოგიერთი ფუნქციური თავისებურება. მათი ამოცანაა ხელი
შეუწყონ უმაღლესი სკოლის სამეცნიერო მოღვაწეობას და სასწავ-
ლო-აღმზრდელობით პროცესს, რაც განსაზღვრავს ბიბლიოგრაფი-
ული განყოფილების სტრუქტურას და ფუნქციებს.

უმაღლესი სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფი-
ლების მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა მკითხველთა, განსაკუთ-
რებით სტუდენტთა, ბიბლიოგრაფიულ სწავლებას. ბიბლიოთეკაში
არის აგრეთვე არაბიბლიოგრაფიული განყოფილებები, რომლე-
ბიც ასრულებენ ბიბლიოგრაფიულ ფუნქციებს. ასე, მაგალითად,
დაკომპლექტების განყოფილება აღგენს ბიბლიოგრაფიულ კარტო-
თეკას იმ გამოცემებზე, რომელთა შეძენა აუცილებელია ბიბლიო-
თეკისათვის. ამ მიზნით განყოფილება ამუშავებს საგამომცემლო
გაგმებს, შეკვეთის ბლანკებს და სხვა.

ასევე ასრულებენ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოს ბიბლიოთეკის
დარგობრივი განყოფილებები. აქ შტატითა გათვალისწინებული
ბიბლიოგრაფი, რომელიც დარგობრივი საინფორმაციო წყაროების



გამოყენებით ახდენს სპეციალისტთა ინფორმირებას. იგივემაშენიშვილი ლება ითქვას უცხოური ლიტერატურის განყოფილების, სამკითხველო დარბაზების, აბონემენტის, ბშას და სამეცნიერო-მეთოდური განყოფილებების მუშაობაზე. მოუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ განყოფილებას მკითხველებთან კონტაქტი არა აქვს, ისინი ყოველდღიურ მუშაობაში ფართოდ იყენებენ ბიბლიოგრაფიას. ბიბლიოგრაფიული პროცესები, რომელსაც ბიბლიოთეკის არაბიბლიოგრაფიული განყოფილებები იყენებენ, ასახულია მათ სამუშაო დებულებებში და ინსტრუქციებში.

ანალოგთური მდგომარეობაა ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემებშიც, სადაც ყველა განყოფილების მუშავები იღებენ მონაწილეობას საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაციაში. ბიბლიოგრაფიული პროცესები ნაწილება ცსს-ის განყოფილებაზე. ასე, მაგალითად, ერთს ევალება სისტემატური კარტოთეკის რამდენიმე განყოფილების შევსება, მეორეს თემატური კარტოთეკის შედგენა ამა თუ იმ საკითხზე და ა. შ. აუცილებელია ამ საქმიანობის ასახვა თითოეულ განყოფილების დებულებაში. ეს ხელს შეუწყობს დაგეგმვის პროცესს და ბიბლიოთეკის მართვას.

3. გიგანტური ინფორმაციული ინფორმაციის მომხმარებლები და ათი ინფორმაციული მოთხოვნილებები

ბიბლიოთეკების მთელი მუშაობა მიმართულია იქითქვენ, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილონ მკითხველთა მოთხოვნები ინფორმაციაზე. ამიტომ იჩენს დიდ ინტერესს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მეცნიერება ინფორმაციული მოთხოვნილებებისა და მათი შესწავლის მეთოდებისადმი. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მუშაობის განხილვისას, შეუძლებელია ისეთი პრობლემების გვერდის ავლა, როგორიცაა ინფორმაციული მოთხოვნილებების შესწავლა და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომზარებელთა კლასიფიკაცია.

ადამიანის ინფორმაციული მოთხოვნილებები არის აუცილებლობა ზოგიერთი ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც მას სჭირდება გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად ან დასახული მიზნის მისაღწევად, ადამიანის ყველა პროფესიული ან არაპროფესიული საქმიანობა წარმოშობს თავის საინფორმაციო მოთხოვნილებებს.

სპეციალური ლიტერატურა სხვადასხვა მეთოდს გვთავიზობს კლასიფიკაციისათვის და რადგან ამ კლასიფიკაციის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ განვიხილავთ ინფორმაციული მოთხოვნების მხოლოდ სამ სახეს, რომელთაც უფრო ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში. ესენია: სახოგადოებრივი, კოლექტიური და ინდივიდუალური მოთხოვნილებები. მაგრამ თუ ამ კლასიფიკაციის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის სერითო სტრუქტურას შევუდირებთ, მაშინ გამოჩნდება, რომ სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების მომზადების პერიოდში ხდება სახოგადოებრივი და კოლექტიური, საინფორმაციო მოთხოვნილებათა გათვალისწინება, ხოლო საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება კი, დაკავშირებულია ინდივიდუალურ ინფორმაციულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან, რაც გამოიხატება ერთჯერად მოთხოვნებში. საბოლოოდ შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ინფორმაციული მოთხოვნები წარმოადგენს აღამიანის საქმიანობის სტიმულს და რაც მეტია ასეთი მოთხოვნები, მით უფრო რთულდება, მდიდრდება და ფართოვდება აღამიანთა პროფესიული საქმიანობა.

ინფორმაციულ მოთხოვნათა შესწავლას დიდი როლი ენიჭება ინფორმაციული მომსახურების შემდგომ სრულყოფაში. პრაქტიკაში იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვება, დოკუმენტური წყაროების შესწავლა და გამოყითხვა. ამ მეთოდების კომპლექსური გამოყენება უფრო მყარ მონაცემებს იძლევა ინფორმაციულ მოთხოვნათა შესახებ, მაგრამ რაღაც მასზე ბევრი დრო ეხარჯება ბიბლიოთეკებს და შრომატევადიცაა, ბიბლიოთეკებში ხშირად იყენებენ ერთ რომელიმე მეთოდს.

დაკვირვება, როგორც მასალის შეგროვების მეთოდი, მოიხსოვს პირველყოვლისა, დაკვირვების ობიექტის განსაზღვრას. დაკვირვება რომ სრულყოფილად ჩატარდეს, საჭიროა წინასწარ შემუშავდეს პროგრამა, რომელიც შეესატყვისება სოციოლოგიური კვლევის ამ მეთოდს. საინფორმაციო მოთხოვნათა შესწავლისათვის ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც მკითხველები მიმართავენ საცნობო-ბიბლიოგრაფიულ პარატს (კატალოგებს, კარტონეკებს, ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს) და გამოფენებს.

დოკუმენტების ანალიზს უფრო ხშირად იყენებენ დაკვირვებას-

თან შედარებით. ჩვეულებრივ სწავლობენ საღირექტივო დაუმზადება მურ-საანგარიშო დოკუმენტებს. სადაც არის მონაცემები დაწესებულების შესახებ. საწარმოებში ხდება გეგმების რაციონალური წინადაღების ახალი ტექნიკის და სხვა მასალათა ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკის დაადგინოს საწარმოს საქმიანობის პროფილი ან შეძლოს მისი საინფორმაციო მოთხოვნათა პროგნოზირება.

რაც შეეხება ცალკეულ პირთა საინფორმაციო მოთხოვნებს ცნობების მიღება მათზე შეიძლება ბიბლიოთეკაში (მკითხველთა ფორმულარები, მოთხოვნის ფურცლები, ცნობები უარის გაცემაზე და სხვა). სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანგარიში სამეცნიერო-საკვლევი შრომების შესახებ, რომელსაც დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა და ასევე სპეციალისტთა პირადი ბაზათები.

ეს მეთოდი ნაკლებად შრომატევადია, ბიბლიოთეკარი მუშაობს მზა მასალაზე, მაგრამ ნაკლი ისაა, რომ ყველა ცნობა, რომელიც ფიქსირებულია ამ დოკუმენტებში, ასახავს ინფორმაციის მომსმარებლის ინტერესებს წარსულში. რადგან საინფორმაციო მოთხოვნები საქმიად სწრაფად იცვლება, ბიბლიოგრაფიული შეხედულებით უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა საინფორმაციო მოთხოვნები აქვს მკითხველს დღეისათვის და როგორი იქნება ისინი ახლო მომავალში. აქედან გამომდინარე, ჟურილებელია მკითხველის გამოვლენილი ინტერესების დროდაღრი დაზუსტება.

გამოკითხვა ყველაზე ეფექტური და გაფრცელებული მეთოდია საინფორმაციო მოთხოვნათა დასადგენად. ის ტარტება ან ზეპირად (ინტერვიურება) ან წერილობით (ანკეტის — გამოკითხვის ფურცლის მიხედვით). ცნობების სისწორე, რომელიც ამ მეთოდით მიიღწევა, საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკარს უფრო ზუსტდ განსაზღვროს მკითხველის საინფორმაციო მოთხოვნები.

ბიბლიოგრაფიული მომსახურების სათანადო დონეზე წარმართვა შეუძლებელია მკითხველთა ძირითადი ჯგუფების კარგიდ შესწავლის გარეშე, ამიტომ საჭიროა მკითხველთა კლასიფიკაცია, როგორც ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის რეალური და პოტენციური მომსმარებლებისა.

ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით მიზანშეწონილია დიფერენციაციის მეთოდის გამოყენება, რადგან ეს საშუალებას აძლევს

ბიბლიოთეკას შეისწავლოს მკითხველთა პროფესიული საქმიანობა! ცალკე ჯგუფად გამოიყოფა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, როგორც კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ გადაწყვეტის მიღების უფლება. მართალია პრაქტიკით დადასტურებულია, რომ თვით საუკეთესო საინფორმაციო სისტემასაც კი არ ძალუდს ცუდი ხელმძღვანელობის გამოსწორება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ცუდი ინფორმაცია იწვევს ცუდ ხელმძღვანელობას.

შემდეგ ჯგუფს წარმოადგენენ — სპეციალისტები, რომლებიც დაკავებული არიან სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში. ტერმინი „სპეციალისტი“ გულისხმობს ყველა მკითხველს, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობაში საჭიროებს სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას. სპეციალისტთა ამ ჯგუფის კლასიფიკაცია ხდება სამ დიდ ჯგუფად, პუმანიტარული, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და გამოყენებითი მეცნიერებათა პროფილის სპეციალისტები. ბუნებრივია, რომ აუცილებელია თითოეული ჯგუფის სპეციალისტთა დიფერენციაცია, რადგან სპეციალობა განსაზღვრავს მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს მოსწავლე ახალგაზრდობის ინფორმაციული მოთხოვნებიც, რომლებიც დაკავშირებულია უმთავრესად სასწავლო პროცესთან. უფროს კურსებშე, როდესაც სრულდება საკურსო ან სადიპლომო ნაშრომები (პროექტები), ეს მოთხოვნები რთულდება და ზოგჯერ ინუინერ-ტექნიკურ პერსონალისა და მეცნიერ-მუშავთა მოთხოვნებს უთანაბრდება.

თავი II ,

გიგანტური საცნობო-გიგანტური გრაფიკის აპარატი

1. საცნობო-გიგანტური გრაფიკის აპარატის ორგანიზაციის ზოგადი საკითხები, უმაღველობა და ამოცავები

ტერმინი „საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი“ დაკავშირებულია საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობასთან. ბოლო წლებში

ტექნიკურ ბიბლიოთეკებში გავრცელდა ტერმინი „საცნობო-სამსახური“ ებო აპარატი¹!

• ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი² წარმოადგენს საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების, ბიბლიოთეკის კატალოგებისა და კატეროთეკების ერთობლიობას, რომლის საფუძველზე ხორციელდება მყითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურება.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს შეტად მრავალფეროვანი ფუნქციები ეკისრება, მას აგრეთვე იყენებენ ბიბლიოთეკის ფონდის დაკომპლექტების; ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის, კითხვის ჩეგულირების, ბეჭდურ ნაწარმოებთა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროცეგანდის დროს.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი ბიბლიოთეკაში ყოველგვარი ბიბლიოგრაფიული მუშაობის დოკუმენტური საფუძველია.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია ბიბლიოგრაფის პროფესიულ კვალიფიკაციაზე, განათლებაზე, ერუდიციაზე. ბიბლიოგრაფი უნდა იცნობდეს ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, საცნობო ლიტერატურას, ძიების მეთოდებს. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მომზადებული ბიბლიოგრაფი, თუ ბიბლიოთეკას არ გააჩნია კარგად ორგანიზებული საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. ბიბლიოგრაფიული მუშაობა არ იქნება სათანადო დონეზე.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის განვითარების თანამედროვე მიმართულება ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებებისა და ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენებას.

ყოველი ბიბლიოთეკის სბა უნდა შეეფარდებოდეს ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსს, ხელს უწყობდეს სამეცნიერო, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და აღმნიშვნელობით ამოცანებს. ოპერატიულად უნდა ივსებოდეს ახალი ლიტერატურით და იქმინდებოდეს მოძველებული მასალებისაგან. საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შინაარსი უნდა ითვალისწინებდეს ბიბლიოთეკის სამომსახურეო ტერიტორიის თავისებურებებს. ბუნებრივია, საქართველოს ბიბლიოთეკებში პირველ პლანზე წამოწეულია მასალები რესპუბლიკის შესახებ.

¹ ტერმინოლოგის ერთგვარობის მიზნით შეიძლება შემოღებულ წენეს ტერმინი „ბიბლიოთეკის საცნობო აპარატი“

² შემდგომ ზოგჯერ აღინიშნება „სბა“.

სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების სპას მოცულისტი, შემაღენლობა და სტრუქტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც განპირობებულია ბიბლიოთეკის ფონდის შინაარსითა და მყითხელთა შემაღენლობით.

რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი ატარებს უნივერსალურ ხასიათს, რადგან თვით ბიბლიოთეკები თავისი პროფილით უნივერსალურია.

70-იან წლებში კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკების ქსელში ჩატარდა რეორგანიზაცია. თითოეულ რეგიონში გამოიყო მსხვილი ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკა, დანარჩენი ბიბლიოთეკები კი გადაექვთდა ამ ბიბლიოთეკის ფილიალებად. ასე ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო-სისტემა, სადაც მასობრივი ბიბლიოთეკები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადაიქცნენ დიდ საბიბლიოთეკო კომპლექსებად, რომელთაც აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ფუნქციებთან ერთად ეცალებოდათ სამეცნიერო-საინფორმაციო ფუნქციებიც.

ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში შეიქმნა საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო განყოფილებები, ბიბლიოგრაფების საშტატო ერთეულით, რომლებიც აწარმოებენ მეთოდურ ნელმძღვანელობას, საცნობო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო მუშაობას მთელ ცენტრალიზებულ სისტემაში. საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციამ პირობები შექმნა ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაშლისათვის, ხელი შეუწყო მკითხველების საწარმოო-პროფესიული დონის ამაღლებას. ეს განაპირობა ცსს საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანამ. საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატში დიდი აღგილი დაიკავა მასალამ, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის სპეციალისტების მომსახურებას.

ნებისმიერი ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი შედგება საში ძირითადი ნაწილისაგან: ბიბლიოთეკის კატალოგები, ბიბლიოგრაფიული კატორთეკები და საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი.

ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემის საცნობო აპარატს



თავისი დამახასიათებელი თავისებურება აქვს. იგი შეღვეული გორც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ისე ფილიალებში ფორმირებული ბიბლიოგრაფიული აპარატისაგან და წარმოადგენს ერთიან მთელს.

ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ამოცანაა ხელი შეუწყოს მთელი სისტემის და არა რომელიმე ერთი ბიბლიოთეკის, მყითხველთა ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას. აქედან ყალიბდება, სწორედ შეერთებული ინფორმაციის ისეთი ელემენტი, როგორიცაა წიგნების შეერთებული ანბანური კატალოგი, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაშია და მთელი საბიბლიოთეკო სისტემის ფონდს ასახავს.

სამეცნიერო, მასობრივი უნივერსალური და დარგობრივი ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის მოცულობა, შემადგენლობა და შინაარსი, ცნადია განსხვავებულია.

მსხვერი საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატია შექმნილი რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში¹, რომლის საცნობო ფონდი 270 ათას ერთეულს, 200-ზე მეტ კატალოგსა და კარტოთეკას ითვლის. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საცნობო ლიტერატურის ფონდი 120 ათას ერთეულს, 10-მდე კატალოგსა და კარტოთეკას შეადგენს. თბილისის ცენტრალურ საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საცნობო ფონდი 1500-მდე ცალს შეადგენს და ამასთან 10-მდე კატალოგსა და კარტოთეკასაც მოიცავს.

სბა-ს ძირითადი ცენტრალური ნაწილი მოთავსებულია ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში, ხოლო ბიბლიოთეკის დარგობრივ (ტექნიკური, სასოფლო-სამეცნიერო, მხარეთმცოდნეობითი და სხვა) განყოფილებებში ყალიბდება საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის დარგობრივი ნაწილები.

ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება ქმნის საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემებისა და შესრულებული ცნობების ფონდს, ადგენს ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს. კატალოგების შედგენა კი ევალება ლიტერატურის დამუშავებისა და კატალოგების ორგანიზაციის განყოფილებას.

მრავალგვარ ფონდის ტიპისა და პროფილის, ყველა ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატში შედის:

¹ ყოფილი ლენინის სახ. საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკა

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი;
2. შესრულებული ცნობების ფონდი;
3. ბიბლიოთეკის კატალოგები;
4. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები.

სალექციო კურსის ამ ნაწილში ძირითადად განხილულია. რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის ორგანიზაციის თავისებურებები, განხილულია აგრეთვე ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის პარატიც.

§ 1. პიაღიოთხევის საცნობო-პიაღიოგრაფიული ფონდი

საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი (სბფ) წარმოადგენს საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის ნაწილს, რომელშიც შედის სახელმძღვანელო და სადირექტივო მასალები, ცნობარები, ბიბლიოგრაფიული წყაროები, შესრულებული ცნობების ფონდი (არქივი).

საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის შერჩევა ხდება ბიბლიოთეკის ტიპის, მუშაობის პროფილის, მკითხველთა მოთხოვნილების გათვალისწინებით.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის დაკომპლექტება ეკისრება ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას და ხდება ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურისა და გამომცემლობის თემატური პროპექტების გადასინჯვით. საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი ადვილად ცელმისაწვდომი უნდა იყოს ბიბლიოგრაფისათვის. როგორც წესი, საცნობო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა თავმოყრილია ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში და მას ამიტომ ხშირად სახელდახველო ფონდსაც უწოდებენ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში არჩევენ ოპერატიულ (ხშირად) და პასიურს (იშვიათად) გამოყენებულ ნაწილს. ეტიური ნაწილი მუდმივი ივსები ახალ შემოსული ლიტერატურით, მასიური კი რეგულარულად იწმინდება მოძველებული გამოცემებისაგან, რომლებზეც არა მკითხველების მოთხოვნა. ასეთი გამოცემები ბიბლიოგრაფიული განყოფილებიდან გადაეცემა ძირითად წიგნსაცავს.

საბიბლიოთეკო ცენტრალიზებულ სისტემაში ხდება საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის ცენტრალიზებული დაკომპლექტება,

რამაც ხელი შეუწყო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებს უფრო
სრულად შეძენას: ცენტრალიზაციის პირობებში ფონდი გამდიდრ-
და ძვირფასი ბიბლიოგრაფიული წყაროებით, რომლებსაც აღრე
მასობრივი ბიბლიოთეკები ვერ იძენდნენ.

საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების განაწილება ნდე-
ბა შემდეგი წესით: ერთადერთი ცალი ინახება ცენტრალური ბიბ-
ლიოთეკის ფონდში. ზოგ შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს ბიბ-
ლიოთეკა-ფილიალს, თუ ის მეტად სჭირდება ამ ფილიალის მკითხ-
ვილებს.

დოკუმენტები, რომელიც შედის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ
ფონდში, შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1. სახელმძღვანელო და
სადირექტივო მასალები; 2. საცნობო გამოცემები; 3. ბიბლიოგრა-
ფიული მაჩვენებლები.

სახელმძღვანელო და სადირექტივო მასალებს მიეცუთვნება
პარლამენტის და მთავრობის დადგენილებანი; კანონები, სახელ-
მწიფოს ხელმძღვანელი და გამოჩენილი მოღვაწეების გამოსვლე-
ბი, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ბიტორიისა და კულტურის ცნობი-
ლი მეცნიერების შრომები.

საცნობო გამოცემები, რომლებიც წარმოადგენს ფონდის მე-
ორე ნაწილს, მეტად მრავალფეროვანია თავისი ტიპის, შინაარსისა
და თემატიკის მიხედვით.

მას ეკუთვნის ენციკლოპედიები და ენციკლოპედიური ლექსი-
კომები (უნივერსალური და დარგობრივი), ცნობარები, ენობრივი
და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სტატისტიკური კრებულე-
ბი, გეოგრაფიული ატლასები, მეგზურები, კალენდრები და ა. შ.

უნივერსალური ენციკლოპედია სტრუქტურულად წარმოად-
გენს ანბანის რიგზე ავებულ სიტყვებისა (ცნებების) და სტატი-
ების ერთობლიობას! ენციკლოპედიებში „სიტყვანის“ განმარტე-
ბა სტატიებშია, რომლებიც მოიცავენ მდიდარ საცნობო მასალას.
ყოველ სტატიას დართული აქტს ძირითადი ლიტერატურის სია
საკითხის შესახებ. ენციკლოპედია დიდ ბიბლიოგრაფიულ ინფორ-
მაციას იძლევა. ამიტომ მათ ფართოდ იყენებენ როგორც ფაქტო-

¹ ენციკლოპედია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცოდნის მოელი წრის სწავლის,
გავრცელებულია ანბანური ენციკლოპედიები, მაგრამ ზოგში მიღებულია მასალის სისტე-
მატური განლაგება („საბავშო ენციკლოპედია“).

გრაფიულ, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ძიების დროს. ამრჩებული, ენციკლოპედია-საცნობო გამოცემაა, რომელიც მოიცავს ყველაზე არსებით ცნობებს (ვრცელს ან მოკლეს) ცოდნის და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა დარგიდან. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ზოგი მათგანი, კერძოდ: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (1975—1987 წწ.) 11 ტომად და ორი დამატებითი ნაკვეთით. მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე. ენციკლოპედიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასალებს საქართველოს შესახებ: საქართველოს ისტორიას, რელიგიას, ეკლესიას, ბუნებას, გეოგრაფიას, მოსახლეობას, საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესრიგების, ეკონომიკას, მრეწველობას, ნოტლის მეურნეობას, ისტორიულ ძეგლებს, მონასტრებს, მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, ხელოვნებას, მუსიკას, თეატრს, ქართულ ლიტერატურას, გამოჩენილ მწერლებს, მსახიობებს, მეცნიერებას, მხატვრებს და სხვა. დამატებითი ნაკვეთები ქართულ და რუსულ ენებზეა და მთლიანად ეძღვნება საქართველოს.

„დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ მესამედ გამოიცა (1969—1978 წწ). შედგება 30 ტომისაგან, რომლებშიც მოთავსებულია 100 ათასი სტატია. 1957 წლიდან გამოდიოდა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის „წელიწდეული“, რომლის 11 განყოფილებაში ასახულია მთლიანად საბჭოთა კავშირი, ცალცალ რესპუბლიკებში და საზოგადოებრივ იმ წელს მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული ცხოვრების მოვლენები. „წელიწდეულის“ ბოლოს მოყვანილია მოქლე ბიოგრაფიული ცნობები გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების, სერტაშორისო და სახელმწიფო პრემიების ლაურეატების შესახებ. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მესამე გამოცემას აქვს სახელთა საძიებელი, რომელშიც შედის 100 ათასი სახელი. ენციკლოპედია მოიცავს დიდი რაოდენობით ილუსტრაციებს, სქემებს, რუკებს.

მოხერხებულია გამოსაყენებლად „საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ერთ ტომად, რომელიც ოთხგერ გამოიცა. მეოთხე — 1989 წელს.

რევოლუციამდელი ენციკლოპედიებიდან აღსანიშნავია: ბროკ-ჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი (1890—1907 წწ.). შედგება 41 ძირითად და ორ დამატებით ტომისაგან

(86 ნახევარტოში), შმები გრანატების ენციკლოპედიური აღმფსისყოფა
ნი (მე-7 გამ., 1910—1948 წწ.). ეს ენციკლოპედიები მდიდარ მა-
სალას მოიცავენ 1917 წლის ოქტომბრამდე რუსეთის შესახებ.

უცხოური ენციკლოპედიებიდან პოპულარულია „ბრიტანეთის ენციკლოპედია“. („ბრიტანიკა“), იბეჭდება ინგლისში (ლონდონი) და აშშ-ში (ჩიკაგო). 1929 წლიდან (მე-14 გამ.) მოიცავს 24 ტომს. რეგულარულად ხდება 1/8 მასალის განახლება. 1938 წლიდან გა-
მოდის ენციკლოპედიის „წელიწდეული“. ბუნებრივია, დიდი ადგი-
ლი უკავია ინგლისურ და ამერიკულ მასალას „ბრიტანეთის ენცი-
კლოპედიაში“. 1974 წელს გამოვიდა მე-15 გამოცემა (22 ტომად).
იბეჭდება თარგმანი რუსულ ენაზე 12 ტომად.

ბიბლიოთეკის საცნობო ფონდში უნდა იყოს „საბავშვო ენცი-
კლოპედია“, ენციკლოპედიური გამოცემები „ჩტო ტაკოე?“, „კტო
ტაქოი?“

დარგობრივი ენციკლოპედიებიდან: „საბჭოთა ისტორიული ენ-
ციკლოპედია“ (16 ტტ.); „ფილოსოფიური ენციკლოპედია“ (6 ტტ.),
„ფილოსოფიური ლექსიკონი“ (თბ., 1987), „ეკონომიკური ენცი-
კლოპედია“, „ტექნიკური ენციკლოპედია“, „სოფლის მეურნეობის ენციკლოპედია“ (6 ტტ.), „მცირე სამედიცინო ენციკლოპედია“, „პედაგოგიური ენ-
ციკლოპედია“ (4 ტტ.), „მოქლე ლიტერატურული ენციკლოპედია“ (8 ტტ.); „თეატრალური ენციკლოპედია“ (5 ტტ.), „მუსიკალური ენციკლოპედია“ (6 ტტ.), „ენციკლოპედიური ლექსიკონი ერთ ტო-
მად „კნიგოვედნიე“ (1982 წ.), „მოქლე გეოგრაფიული ენცი-
კლოპედია“.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში აუცილებლად უნდა იყოს
ტერმინოლოგიური, ლექსიკოლოგიური და ენობრივი ლექსიკო-
ნები.

მათ შორის „ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინების მოქლე
ლექსიკონი“, „მითოლოგიური ლექსიკონი“, „ხელოვნების განმარ-
ტებითი ლექსიკონი (რუსულ-ქართული)“, „ფილოსოფიური ტერ-
მინების ლექსიკონი“, „ეთიკის ლექსიკონი“, „საბიბლიოთეკო ტერ-
მინების ლექსიკონი“ და სხვა.

ენობრივი ლექსიკონებიდან: „უცხო სიტყვების ლექსიკონი“,
„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „ქართული ენის ორ-

თოვრაფიული ლექსიკონი”, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში”, რუსული ენის ლექსიკონები (ვ. დალის, ს. ოუგოვის და სხვა).

იყენებენ მკითხველები ორ ენობრივ ლექსიკონებს: ქართულ-რუსულს, რუსულ-ქართულს, ქართულ-ინგლისურს და სხვას.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში აუცილებლად შედის სტატისტიკური კრებულები: „ბეჭდური სიტყვა... წელს“, „საქართველო ციფრებში... წელს“, ატლასები, საქართველოს, მსოფლიო, საზღვაორგარეთული ქვეყნების რუკები.

განსაკუთრებული აღგილი უჭირავს ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონებს, რომლებშიც მოცემულია ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობები მეცნიერზე, მწერალზე (ი. კაუფმანი „რუსული ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ლექსიკონები“ (1955 წ.), ლექსიკონი-ცნობარი „ქართული მწერლობა“ (1984 წ.), შრავალტომიანი: რუსი მწერლები (პროზაიკები, პოეტები, დრამატურგები).

ფსევდონიმების გახსნაში ემთარება მკითხველს: ფსევდონიმების ლექსიკონები (ი. მასანოვი. რუსი მწერლების, მეცნიერებისა და და საზოგადო მოღვაწეების ლექსიკონი), „გ. მიქაძის „ფსევდონიმების ლექსიკონი“).

დასახელებული ცნობარებიდან ზოგი ნაწილობრივ მოძველდა, მაგრამ ძირითადი მასალა დღესაც წარმატებით გამოიყენება.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაწილს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდისა.

საქართველოს დიდ ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეს ქართული, როგორც მიმდინარე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, ასევე რეტროსპექტული.

მთ შორის:

„ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“. ტტ. 1-3, რომელიც გამოსუა საქართველოს წიგნის პალატამ 1941—1964 წლებში. 1969 წელს გამოვიდა პირველი ტომის დამატებითი ნაკვეთი, მასში რეგისტრირებულია წიგნები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო გამორჩათ პირველი ტომის შემდგენლებს. „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ პირველ ტომში აღრიცხულია ქართული წიგნები 1629—1920 წწ. პირველი წიგნით „ქართულ-იტალიური ლექსიკონით“ (რომი, 1629 წ.) დაწყებული. აღნუსხულია, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ გამოცემული წიგნები, მოს-



ქოვსა და პეტერბურგში. წიგნების აღწერილობანი განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (წიგნის დასტამბვის თარიღის მიხედვით). ტომის ბოლოში მოთავსებულია უთარილო წიგნები. პირველ ტომს თან ერთვის მრავალი დამხმარე საძიებელი: ავტორები, პეტერბურგის ფსევდონიმები — კრიპტონიმები, გეოგრაფიული, თარგმნილი ლიტერატურა, რედაქტორები, მთარგმელები, მეცნიერი გამოცემელნი, საგნობრივი, ილუსტრატორები და სხვა. რველი ქართული წიგნები ანოტირებულია ვრცელი დახასიათებებით.

„ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ მეორე ტომში აღრიცხულია 1921—1945 წლების წიგნები, მესამე ტომში კი 1946—1950 წლებისა. ორივე ტომში მასალა განლაგებულია სისტემატურად (ცოდნის დარგების მიხედვით), გამოყენებულია წიგნის პალატის საკლასიფიკაციო ცხრილი, რომელიც იმ დროს 31 ძირითად განყოფილებას მოიცავდა. მეორე ტომი შედგება სამი ნაკვეთისაგან. პირველ ნაკვეთში აღრიცხულია 21 დარგის წიგნები (1—21), მეორეში — დანარჩენი ათი დარგის (22—31). მესამე ნაკვეთი ყოთობა დამხმარე საძიებლებს. II—III ტომებს აქვს დამხმარე საძიებლები: სახელთა (ავტორები, მასზე, რედაქტორები, მთარგმელები, მხატვრები), გეოგრაფიული, თარგმნილი ლიტერატურა, ქრონოლოგიური, სერიები.

გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ გვაძლევს ცნობებს ქართული პერიოდული გამოცემების შესახებ 1819 წლიდან 1945 წლის ჩათვლით. 1819 წელს გამოვიდა საქართველოში პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი — ქართული გაზეთი“ (1819—1821 წწ.). ყოველ გაზეთის და ჟურნალის შესახებ მითითებულია შემდეგი ცნობები: სახელწოდება, გამოცემის წლები, ადგილი, პერიოდულობა, რედაქტორები, თანამშრომელნი, გამომცემელნი, რამდენი ნომერი გამოვიდა ყოველწლიურად, რომელ ბიბლიოთეკაში დაცულია. პერიოდული გამოცემები ძირითადად განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, გამოცემის პირველი წლის მინედვით. თან ერთვის დამხმარე საძიებლები: ჟურნალ-გაზეთების ანბანური, გეოგრაფიული, სისტემატური, დაწესებულება-ორგანიზაციების, რედაქტორ-გამომცემელთა. გ. ბაქრაძის ნაშრომი გამოსცა საქართველოს წიგნის პალატამ 1946 წელს.

ა. აბრამიშვილის „Грузинская периодика (Аннотированный

каталог грузинской периодики (1819—1917), хранящейся в Национальной библиотеке ГПБ им. М. Е. Салтыкова-Шедрина)».

შრომაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით რეგისტრირებულია 356 ჟურნალი და გაზეთი. მასალა ოღწერილია რუსულ ენაზე. ა. აბრამიშვილის ნაშრომში „ქართული პერიოდიკის ანოტირებული კატალოგი“ აქვს მრავალი დამტმარება საძიებელი. გამოსცა თბილის უნივერსიტეტში 1968 წელს.

8. ჟრალოგის ნაშრომი „Библиография русской периодики Грузии. 1828—1920“. რომელიც გამოსცა საქართველოს წიგნის პალატიმ 1941 წელს. „საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ შეტანილია მასალები დაწყებული საქართველოს პირველი რუსული გაზეთით „ტიფლისკიე ვედომოსტი“ და დამთავრებული 1920 წლის გაზეთებით. უურნალებისა და გაზეთების ოღწერილობანი განლაგებულია ქრონოლოგიურად, გამოცემის დასაწყისი წლის მიხედვით.

ფონდში ოუცილებლად უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები: „ქართული უურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ნაკვ. 1—3), რომელშიც გახსნილია პერიოდული გამოცემების შინაარსი 1852—1905 წწ. პირველი ქართული უურნალით „ცისკარი“ დაწყებული „კვალით“, „მოამბით“, „მოგზაურით“ დამთავრებული; „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (6 ტომი). მასში ოღწერილია 1819—1904 წწ. გაზეთები. მათ შორის „დროება“, „შრომა“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“. ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებში სტატიების აღწერილობანი განლაგებულია დარგების მიხედვით, საკლასიფიკაციო ცხრილი დამუშავებულია ბიბლიოთეკაში სპეციალურად მმ გამოცემისათვის და მოიცავს 20—23 დარგობრივ განყოფილებას. თან ერთვის დამსმარება საძიებლები: პირთა სახელების, ეროვნული, თეატრის რეპერტუარი. შრომაში გახსნილია ბევრი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ფსევდონიმი.

„მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი წიგნი, რომელშიც აღწერილია უურნალი 1924—1982 წწ., „ქართული ლიტერატურული უურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ მოიცავს 1921—1941 წწ. უურნალებში გამოქვეყნებულ მასალების აღწერილობებს.

მკითხველს გამოადგება „საქართველოს მეცნიერებათა აკადემი-



ის გამოცემათა ბიბლიოგრაფია“ (7 წიგნი), რეგისტრირებული დოკუმენტების სალა 1937—1977 წწ., „თბილისის უნივერსიტეტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია (1919—1960 წწ.)“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნაშრომი ქართველ მეცნიერთა ბიო-ბიბლიოგრაფიული სერია. ყოველ მეცნიერს ეძღვნება ბიო-ბიბლიოგრაფიის ცალკე წიგნი. გამოცემულია ივ. ჯავახიშვილზე, კ. კაკალიძეზე აკ. შანიძეზე, გ. ახვლედიანზე, ი. ბერიტაშვილზე, ნ. მუსხელიშვილზე, ი. ვეჯუაზე, შ. წუცუბიძეზე, ნ. ბერძენიშვილზე, ნ. კეცხოველზე, ს. დურმიშიძეზე და სხვა.

უურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. 1949—1980 წწ. „თბ. მეცნიერება, 1987. რეგისტრირებულია 8261 სახელწოდების სტატია. თავმოყრილი მასალა მოყვანილია სისტემაში ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული (ბბ) კლასიფიკაციის მიხედვით. მაჩვენებელს დართული აქვს პირთა სპეციალის საძიებელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის წელიწლები ფილოლოგიის (ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება), ისტორიის ფილოსოფიის საჭითხებზე.

ყოველთვიური ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი „ახალი ლიტერატურა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების შესახებ“ გამოცემული საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ. ეს ცნობარები ამჟამად არ იბეჭდება.

ბოლო წლებში გამოცემული სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები შ. რუსთაველზე, ს. ს. ორბელიანზე, ალ. ჭავჭავაძეზე, გრ. ორბელიანზე, ნ. ბარათაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშვაველაზე, ალ. ყაზბეგზე, უ. შექსპირზე, ტ. შევჩენკოზე, მ. ჯავახიშვილზე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები სხვადასხვათემებზე, ქართველ და რუს მწერლებზე, მხატვრებზე, მსახიობებზე.

მხარეთმცოდნეობითი მაჩვენებლები რესპუბლიკის შესახებ („რუსთავი“, „საქართველოს ძეგლები“).

საქართველოს წიგნის პალატის მამდინარე სახელმწიფო ბიბლი-

ოგრძოფიული მაჩვენებლები — მატიანები, რომლებიც აწყდას სრულ ინფორმაციას ახალ ბეჭდურ ნაწარმოებთა შესახებ.

„წიგნის მატიანე“ — მიმღინარე სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე გამოცემული ყველა წიგნისა და ბროშურის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზეა იგი დაბეჭდილი. „წიგნის მატიანეს“ აქვს ლისერტაციათა უტორეფერატის განყოფილება, რომელთა დაგვიფრთხოება ხდება მეცნიერებათა დარგების მიხედვით.

„წიგნის მატიანის“ ყოველ ნომერს ერთვის დამხმარე საძიებლები: სახელთა, სათაუროთა (სათაურზე აღწერილი წიგნები), საგნობრივი, გეოგრაფიული, გამოცემის აღგილის (გარდა თბილისისა). გამოდის 1926 წ. მეუამად — ყოველთვიურად.

„უურნალის სტატიების მატიანე“ აღნუსხავს რესპუბლიკაში ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული უურნალების, შრომების, მოამბების, პერიოდული და არაპერიოდული, კრებულების სტატიებს, ნარკვევებს და მხატვრულ ნაწარმოებებს. ყოველ ნომერს თან ერთგის სახელთა და გეოგრაფიული დამხმარე საძიებლები. გამოსცემს საქართველოს წიგნის პალატა 1939 წლიდან, ამჟამად გამოიდის ყოველთვიურად.

„გაზეთის სტატიების მატიანე“ აღნუსხავს ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული რესპუბლიკური, სარაიონო გაზეთების სტატიებს, ნარკვევებს და მხატვრულ ნაწარმოებებს. ყოველ ნომერს დაერთვის სახელთა და გეოგრაფიული დამხმარე საძიებლები. რეგულარულად გამოდის 1938 წლიდან. მეუამად გამოდის თვეში ორი ნომერი.

„წიგნის მატიანეში“, „უურნალის სტატიების მატიანეში“ და „გაზეთის სტატიების მატიანეში“ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები განლაგებულია „სსრკ-ში წიგნის გამოცემისათვის ლიტერატურის კლასიფიკაციის ერთიანი სქემის“ მიხედვით. ცხრილი მოიცავს 50 ძირითად დარგობრივ განყოფილებას. 1996 წელს საქართველოს წიგნის პალატა გადასცელს პირებს უდქ-ას ცხრილზე. სამწუხაროდ, მატიანების გამოცემა ვერ ხერხდება დროულად.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ გამოცემების ფონდში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა საყავშირო წიგნის პალატის სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები (მატიანები). 1994 წლამდე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ლებულობდა ხელმოწერით



წიგნის პალატის მიმღინარე ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში და მათ ბიბლიოთეკა ამ გამოცემებს არ ღებულობს. ვარა უდობებ, რომ 1997 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა დაწყებს სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლების მიღებას ხელმოწერით რუსეთის წიგნის პალატიდან. მათ შორის: „Книжная летопись“, „Летопись журнальных статей“, „Летопись газетных статей“ და სხვა.

„Книжная летопись“ („წიგნის მატიანე“). გამოდის 1907 წლიდან. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელია, ყველავირეულია, მოიცავს მიმღინარე ინფორმაციას რუსეთის ფიდერაციის ტერიტორიაზე¹ გამოცემულ წიგნებზე, ცოდნის ყველა დარგიდან და ყველა ენაზე. ასახულია წიგნები დაბეჭდილი ტირაჟით არა ნაკლებ 100 ცალისა. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ხდება რუსულ ენაზე. ტექსტის ენა (გარდა რუსულისა) მითითებულია შენიშვნაში. 1993 წლიდან ჩანაწერების განლაგება ხდება უნივერსალური ათწილავი კლასიფიკაციის (უდკ. მესამე საბჭოთა გამოცემა. 1987 წ.) მიხედვით².

1993 წლიდან ყოველ ნომერში მოთავსებულია სახელთა საძიებელი, ენების საძიებელი (გარდა რუსულისა), რომელმაც დაბეჭდილია წიგნები. სამ თვეში ერთხელ ცალკე წიგნად გამოდის სახელთა, საგნობრივი და გეოგრაფიული საძიებლები. ყოველწლიურად იბეჭდება სერიული გამოცემების საძიებელი³.

„Ежегодник книги Российской Федерации“ („რუსეთის ფედერაციის ფედერაციის წიგნის წელიწელი“) გამოდის 1925 წლიდან წელიწადში ერთხელ და მასში კუმულირებულია „წიგნის მატიანის“ წლიური კომპლექტის (52 ნომრის) მასალა. ამრიგად, აწვდის ინ-

¹ სწორ წიგნები აისახება მცირე რაოდენობით. რუსეთის წიგნის პალატაში შესვლის მიხედვით.

² 1993 წლამდე „Книжная летопись“—ში ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები დაგუფებული იყო წიგნის პალატის ცხრილის — „სსრკ-ში წიგნის გამოცემისათვის ლიტერატურის კლასიფიკაციის ერთიანი სქემის“ მიხედვით.

³ 1961—1992 წწ. „Книжная летопись“ პერიოდი დამტებითი ნაკვეთი, რომელშიც აღირიცხებოდა ვიწრო დანიშნულების წიგნები და ბროშურები (საუწყებო მასალები, თეზისები, სასწავლო პროგრამები და სხვა). გამოდიოდა ყოველთვიურად. 1993 წელს მოხდა ამ ნაკვეთების გაერთიანება ერთ გამოცემაში.

დისერტაციების აკტორეფერატები აისახება ისევ „დისერტაციების აკტორეფერატების მატიანეში“. 1961 წლიდან გამოდის ყოველთვიურად.



ფორმაციას ერთი წლის მანძილზე რუსეთის ტერიტორიაზე გაფურცელდა სული წიგნების შესახებ¹. მასალის განლაგება სისტემატურია, უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. გამოდის ორ ტომად. ტომებს შორის ბიბლიოგრაფიული ოლწერილობანი ნაწილდება დარჩების მიხედვით. 1985 წლიდან ყოველი ტომი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ტომში (ნაწ. 1,2) შედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიური, მხატვრული, საბავშვო წიგნები. აგრეთვე — ხელოვნება, ენათმეცნიერება, საბიბლიოთეკო საქმე, ბიბლიოგრაფია, ბეჭდური სიტყვა, ფიზიკური კულტურა, სპორტი. მეორე ტომში (ნაწ. 1,2) წარმოდგენილია წიგნები შემდეგი დარგის: ბუნებისმეტყველება, ტექნიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა და სხვა. ყოველი ტომის მესამე ნაწილი — დამსმარე საძიებლებია: სახელთა, წიგნების სათურების, საგნობრივი (მასში შეტანილია გეოგრაფიული სახელებიც).

პერიოდული გამოცემების შესახებ ინფორმაციას აწვდის რუსეთის წიგნის პალატის გამოცემა „Летопись пеериодических и продолжжающихся изданий“ („პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების მატიანე“) გამოდის 1933 წლიდან, ამეამად ოთხ ნაწილად: 1. უურნალები; 2. გაზეთები; 3. კრებულები; 4. ბიულეტენები. რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გამოცემული ყველა პერიოდული გამოცემა. დაერთვის უურნალების, გაზეთების სახელწოდებების ანბანური საძიებელი. აგრეთვე თან ახლავს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, გამოცემის აღილის და სხვა საძიებლები. „მატიანე“ გამოდის ხუთწელიწადში ერთხელ, ბოლო გამოცემა მოიცავს 1986—1990 წწ. პერიოდიკას. ყოველწლიური „მატიანე“ იტყობინება ახალი, სახელწოდება შეცვლილი და შეწყვეტილი პერიოდული გამოცემების შესახებ.

„Летопись журнальных статей“ („უურნალების სტატიების მატიანე“). გამოდის 1926 წლიდან) — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელია. იბეჭდება ყოველკვირეულად. მასში იწერება რუსულ უურნალებში, გრძელდებად გამოცემებში და ორგანიზაციების კრებულებში გამოქვეყნებული დოკუმენტები. 1994 წლიდან ბიბლიოგრაფიული ჩინაწერები განლაგე-

¹ საქართველოში დაბეჭდილი წიგნები აღრიცხულია მცირე რაოდენობით. რუსეთის წიგნის პალატაში შესვლის მიხედვით.

ბულა უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიზანდებოთ, 1922 წლიდან ყოველ ნომერში მოთავსებულია სახელთა და გეოგრაფიული საძიებლები. აგრეთვე „სია იმ უურნალების“, გრძელდებადი გამოცემების და თემატური კრებულებისა, რომლის სტატიები ასახულია მატიანეში. სამ თვეში ერთხელ ცალკე წიგნად გამოდის სახელთა და გეოგრაფიული საძიებლები.

„Летопись газетных статей“ (გაზეთების სტატიების მატიანე“. გამოდის 1936 წლიდან) — რუსეთის ფედერაციის სახელშიწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელია. იბეჭდება ყოველკვირეულსა. აწვდის მიმღინარე ინფორმაციას რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი დოკუმენტების შესახებ. 1994 წლიდან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები განლაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით¹. ყოველ ნომერში მოთავსებულია სახელთა და გეოგრაფიული საძიებლები.

საჭიროების მიხედვით ათწილადი კლასიფიკაციაში შეტანილია დროებითი თემატური რუბრიკები: საიუბილეო თარიღებთან, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ქრისტიანური მოვლენებთან დაკავშირებით. წლის ბოლო ნომერში (№ 52) მოთავსებულია დროებითი თემატური რუბრიკების საძიებელი.

„Летопись рецензий“ (რეცენზიების მატიანე“) აღრიცხავს რეცენზიებს რუსული უურნალებიდან და კრებულებიდან. გამოდის 1935 წლიდან. 1977 წლიდან — ყოველთვიურად. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი — რეცენზირებული წიგნი (დოკუმენტი), მეორე რეცენზია. მასალა განლაგებულია სისტემატურად. ყოველ ნომერს ერთვის საძიებლები: ავტორების რედაქტორების, წიგნების სათაურებისა და რეცენზენების. ყოველწლიურად იბეჭდება შეერთებული საძიებელი.

დიდი ბიბლიოთეკების საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში დაცულია წიგნის პალატის გამოცემები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია რუსეთის ტერიტორიაზე დასტამბული მუსიკალური ნაწარმოებების („ნოტების მატიანე“), რუკების („კარტოგრაფიული მატიანე“) და სახვითი ხელოვნების ბეჭდურ ნაწარმოებთა შესახებ.

¹ 1994 წლამდე „Летопись журнальных статей“ და „Летопись газетных статей“-ში მასალა განლაგებული იყო „სსრკ-ში წიგნის გამოცემისათვის ლიტერატურის კლასიფიკაციის ერთიანი სქემის“ მიხედვით.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდის შემადგენლობაში სამცურავებელია შევიდეს რუსული წიგნის რეტროსპექტრული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: „XVIII ს. რუსული სამოქალაქო წიგნის შეერთებული კატალოგი. 1725—1800“; რუსული პერიოდიკის წყაროები (ბელიაევა ლ. ნ. და სხვ. „რუსეთის პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფია. 1901—1916“, ოთხ ტომად; დემენტიევი ა., ჩერეპახოვი მ., ფინგერიტი ე. და სხვა. „რუსული პერიოდული გამოცემები. 1702—1917“, ორ ტომად; სავაგშირო წიგნის პალატის ათტომეული — „სსრკ პერიოდული პრესა. 1917—1949. უურნალები, შრომები, ბიულეტენები“; „სსრკ გაზეთები. 1917—1960“, 5 ტომად; კუზნეცოვი ნ., ფინგერიტი ე. „საბჭოთა კავშირის გაზეთების სამყარო. 1917—1970“, ორ ტომად).

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში საჭიროა იყოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინსტიტუტის (ИНИОН РАН) ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები (ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია) „ახალი ლიტერატურა სოციალური და პუმანიტარული მეცნიერების დარგში“: (სახელმწიფო და სამართლი, ისტორია, არქიოლოგია, ეთნოლოგია, მეცნიერებათა მუნიციპალური, ფილისოფთა და სოციოლოგია, ეკონომიკა, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნება, რელიგია), ასევე რეფერატული უურნალები (რეფერატული ინფორმაცია) საჭიროდ და საზღვარგარეთული ლიტერატურის შესახებ ამავე დარგებში.

სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის სრულიაღ-რუსეთის ინსტიტუტის (ВИНИТИ) რეფერატული უურნალები, რომლებშიც ასახულია რუსული და უცხოური ლიტერატურა ზუსტ მეცნიერებებში, ბუნებისმეტყველებაში, ტექნიკაში, მრეწველობაში.

მსხვილ სამეცნიერო ბიბლიოთეკების საცნობო ფონდში ინახება დარგობრივი სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრების, ინსტიტუტების, ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები და რეფერატული უურნალები მშენებლობის, არქიტექტურის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, პედაგოგიკისა და სხვა დარგებში.

დაინტერესებულ მკითხველს გამოადგება რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია კულტურისა და ხელოვნების დარგში: მუსიკის, თეატრის, ესტრადის, ცირკის, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე.



ფონდში საჭიროა სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფული მაჩვენებლები რუსულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, რუსი და უცხოელი მწერლების პერსონალური ბიბლიოგრაფიები მომზადებული რუსული და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტების, რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის მიერ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდში ფართოდ წარმოდგენილია სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები. რუსეთის სახელმწ. ბიბლიოთეკის შორმები, მათ შორის დიდი ადგილი უკავია რუს მწერლებზე პერსონალურ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს.

ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში ორიენტირებისათვის ბიბლიოგრაფის ხელთ უნდა ჰქონდეს ბიბლიოგრაფიული წყაროების მაჩვენებლები („ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიები“): მ. მაშკოვას, მ. სოფროვას, ნ. ანდრეევას ი. მასანოვის, ნ. ნიკიტინას და ზ. ტიტოვას, ი. კაუფმანის, ი. კირპიჩევას, ე. ნაიდიჩის, წიგნის პალატის წელიწლებული: „რუსეთის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია“¹.

გ 2. უსრულებული ცენავების ფონდი

შესრულებული ცნობების ფონდი წარმოადგენს საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის ნაწილს. შესრულებული ცნობების ფონდი შედგება აღრე შესრულებული ცნობების ასლებისაგან.

რესპუბლიკურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დიდი რაოდენობით სრულდება თემატური წერილობითი ცნობები. წლების მანძილზე ბიბლიოთეკაში გროვდება შესრულებული თემატური ცნობების ასლები, რომლებისაგან შემდეგში დგება შესრულებული ცნობების ფონდი (არქივი), მისი მეორადი გამოყენებისათვის. შესრულებული ცნობების შენახვა აუცილებელია იმიტომ, რომ ხშირად მეითხველი ლიტერატურის შერჩევას მოითხოვს ერთსა და იმავე თემაზე ან მონათესავე საკითხზე. ვიდრე ბიბლიოგრაფი დაი-

1 ქართული და რუსული წიგნის, ქართული და რუსული პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული წყაროების შესახებ უფრო გრცელ ცნობებს ნახავთ სალექციო კურსში: ოთაროვა ა., ფოფხაძე ქ., წიგნის ზოგადი რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მჩქენებლები / თბილისის ს. ს. ოჩელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. თბ., 1989. 36 გვ. ოთაროვა ა.. პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები / თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. თბ., 1988. 38 გვ.

წყებს მკითხველის მოთხოვნით ლიტერატურის შეჩევას, ასული-
ლებლად უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ამ თემაზე აღრე, შეღვე-
ნილი ლიტერატურის სია. შესრულებული ცნობების ფონდი იცავს
ბიბლიოგრაფს ცნობაზე განმეორებითი მუშაობისაგან. მაგალითად,
მკითხველს სჭირდება ლიტერატურა საკითხზე: ღვიძლის დაავადე-
ბანი. ბიბლიოგრაფმა დაადგინა, რომ ამ საკითხზე გაკეთდა გასულ
წლებში ცნობა. ბიბლიოგრაფი იყენებს ამ ცნობას და უმატებს
შემდეგ წლებში გამოსულ ლიტერატურას.

ფონდში დაცული არც ერთი ცნობა განმეორებითი შეცემის
დროს არ უნდა გაიცეს მექანიკურად, დამატებითი დამუშავების
გარეშე: ახალი ლიტერატურის შევსების გარდა, აუცილებელია
მოძველებული დასახელების ამოღება. აუცილებელია ორიენტი-
რება შესრულებული ცნობების ფონდში, ამიტომაც საჭიროა ამ
ფონდის რაციონალური დაცვაც. ბიბლიოგრაფიული სიები, რო-
გორც წესი, ინახება დიდ კონვერტებში, რომლის წინა მხარეზე
იწერება ცნობის რიგითი ნომერი, სრული სახელწოდება და სხვა
მონაცემები ცნობის შესახებ (რა სახის ლიტერატურაა აღრიცხუ-
ლი, რა ენაზე, რომელ წლების, რამდენი სახელწოდებაა, რომელი
მკითხველის შეკვეთით შესრულდა, რომელ ბიბლიოგრაფმა შეა-
რულა, შესრულების თარიღი). კონვერტები ინახება სპეციალურ
ყუთებში, რიგითი ნომრის თაშიმიდევრობით.

შესრულებული ცნობების ფონდში უკეთ ორიენტირების მიზ-
ნით, ყოველ შესრულებულ ცნობაზე დგება ბარათი, სადაც აღნი-
შნულია ყველა ზემოამოთვლილი. მონაცემები (რიგითი ნომერი,
სახელწოდება და ა. შ.). ამ ბარათებისაგან დგება შესრულებული
ცნობების კარტოთეკა. ბარათების განაწილება ხდება საგნობრივ-
ანბანური რუბრიკების, ან დარგების მიხედვით, რომლებიც იწერე-
ბა კონვერტის უკანა მხარეზე.

მასობრივ ბიბლიოთეკებში ცნობები შეჩევით ინახება უმეტე-
სად საქალალდებში.

ხოლო შემდეგში, როცა დაიწყება ელექტრო-გამომთვლელი
მანქანების გამოყენება საბიბლიოთეკო მუშაობაში, ბიბლიოგრაფი-
ული პროცესების კომპიუტერიზაცია, შესრულებული ცნობების
ფონდს შეცვლის ცნობათა ბანკი, რომლის გამოყენება მთლიანად
ავტომატიზებული იქნება.



ს. 8. პიალიოთმების კატალოგისა და კარტოთმების სისტემის შექვემდებრები

საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ბიბლიოთეკის კატალოგები და კარტოთეკები.

კატალოგები ასახავენ ბიბლიოთეკის წიგნად-ფონდს. მათ ფართოდ იყენებენ საცნობო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში. ინინი წიგნების გამოვლინების ძირითად წყაროს წარმოადგენენ. სწორედ მათი მეშვეობით სრულდება მნიშვნელოვანი ნაწილი მკითხველების შეკვეთისა.

არჩევენ სამ ძირითად სახის კატალოგს: ანბანურს, სისტემატურსა და საგნობრივს.

ანბანურ კატალოგს ბიბლიოგრაფები ხშირად იყენებენ თავიანთ მუშაობაში. ანბანური კატალოგი ეწოდება ისეთ კატალოგს, რომელშიც წიგნთა ოღწერილობანი განლაგებულია ავტორთა ვარებისა. ან სათაურების (ანონიმურ ავტორთა წიგნების) დასაწყისი სიტყვების ანბანის რიგზე.

ანბანურ კატალოგს მიმართავენ მაშინ, როდესაც სჭირდებათ წიგნები გარკვეულ ავტორისა (ან მასზე), წიგნის ბიბლიოგრაფიული მონაცემების დაზუსტება (წელი, გამომცემლობა, ადგილი, მთარგმნელი, რედაქტორი, მოცულობა და ა. შ.), ან უნდათ დაადგინონ, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ ავტორისა ან სახელწოდების წიგნი. მაგალითად: „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა, გრ. რობაქიძის რომელი წიგნებია, რამონოვრაფიებია ილია ჭავჭავაძეზე, უ. შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანები, რომელი წიგნებია ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით და ა. შ.

ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დგება შეერთებული ანბანური კატალოგი, რომელშიც ასახულია ცენტრალიზებული სისტემის ყველა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. კატალოგის ბარათის მეორე მხარეზე აღნიშნულია რომელ ბიბლიოთეკა-ფილიალშია დაცული ეს წიგნი.

სისტემატურ კატალოგში წიგნთა ოღწერილობაში დალაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით — მეცნიერებათა კლასიფიკაციის გარკვეული სისტემის მიხედვით. სისტემატურ კატალოგში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შინაარსის მიხედვითაა ასახული ბიბლიოგრაფები სშირად მიმართავენ სისტემატურ კატალოგს,



რომლის გარეშე შეუძლებელია წიგნების შერჩევა გარკვეული დარგის, თემის, საკითხის ირგვლივ. სისტემატური კატალოგის საშუალებით მზადდება თემატური გამოფენები, ლიტერატურის სიცი, პიბლიოგრაფიული მიმოხილვები. მაგალითად, სისტემატური კატალოგის საშუალებით მოიძებნება წიგნები საქართველოს ისტორიის, ქართული კინოს, საბიბლიოთეკო საქმის, აშშ კანონების, საფრანგეთის ფერწერის, რუსული ლიტერატურის, ინდური რელიგიის შესახებ და ა. შ.

საგნობრივ კატალოგში წიგნთა ოღწერილობანი საგნობრივ რუბრიკათა ანბანის მიხედვით არის განლაგებული. საგნობრივი კატალოგიც შინაარსის მიხედვით ხსნის ბიბლიოთეკის წიგნობრივ ფონდს. საგნობრივი კატალოგის შედგენა მეტად რთული და შრომატევაზი პროცესია. საგნობრივი კატალოგი აქვს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას. ბიბლიოგრაფები საგნობრივ კატალოგს მაშინ მიმართავენ, როდესაც ლიტერატურის შერჩევა ვიწრო კონკრეტულ ან, პირიქით, კომპლექსურ საკითხზე სჭირდებათ, მაგალითად: ვიწრო საკითხზე: მონადირეობა; სოფლის ბიბლიოთეკები; 1832 წლის შექმულება საქართველოში; ან კომპლექსურ თემაზე: თბილისი. ამ საგნობრივ რუბრიკაში გაერთიანებულია მასალა თბილისის აღმოჩების, არქიტექტურის, ბირჟის, ბოტანიკური ბაღის, ზოოპარკის, თეატრების, უმაღლესი სასწავლებლების, ქარხნების, ცნობარებისა და სხვათა შესახებ.

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები. ბიბლიოგრაფიული მუშაობის დროს ხშირად არ კმარა კატალოგების გამოყენება, რომლებშიც ასახულია ბიბლიოთეკის მხოლოდ წიგნადი ფონდი, რაღაც მკითხველები მრავალგრძელ მიმართავენ უურნალებსა და გაზიერებს, რომლის რიცხვი ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს და მათში მეტად მნიშვნელოვანი მასალა შევყნდება. პერიოდიკა ყოველთვის ერთ-ერთი წყაროა ცნობებისა ამა თუ იმ საკითხზე, და ხშირად ერთადერთი წყაროა ამა თუ იმ თანამედროვე პრობლემის შესწავლისათვის. ამიტომ აუცილებელია პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალების აღრიცხვა, რომლებიც კარტოთეკებში ძირითადად პოულობენ ასახვას.

ამრიგად, ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის მნიშვნელოვანი ნაწილია, მასში გახსნილია უურნალებისა და გაზიერების, გრძელდებადი გამოცემებისა და კრე-

ბულების შინაარსი. კარტოთეკები არსებითი დამატებაუზრუნველყოფის მოთხოვის კატალოგებისა და ბეჭდურ ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოებისა. ისინი ხელს უწყობენ მცითხველს ამა თუ იმ საქითხის მრავალმხრივ და ღრმა შესწავლაში.

კარტოთეკების შედეგანა ბიბლიოგრაფიების უშუალო მოვალეობაა.

ღიღი სამეცნიერო (რესპუბლიკურ) ბიბლიოთეკებში აუცილებელია შემდეგი კარტოთეკების არსებობა: 1. ეურინალებისა და გაზეთების სტატიების (უნივერსალური) სისტემატური, 2. თემატური, 3. მხარეთმცოდნეობითი, 4. სპეციალური, რომელებსაც მიეკუთვნება: რეცენზიების, პერსონალია, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა სათაურების, ბიბლიოგრაფიული მასალების (საცნობო-ბო-ბიბლიოგრაფიულ ფონდის), ავტორუფერატების და ა. შ.

კარტოთეკებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს სტატიების სისტემატურ კარტოთეკას, რომელშიც ასახულია მხოლოდ პერიოდული გამოცემებში დაბეჭდილი მასალები. შინაარსის მიხედვით ეს კარტოთეკა უნივერსალურია, მოიცავს მასალას ცოდნის ყველა დარჩიდან.

სტატიების სისტემატური კარტოთეკის ორგანიზაციისათვის საქართველოს ბიბლიოთეკებში ხდება საქართველოს ქართული და რუსული ეურინალებისა და გაზეთების ანალიტიკური აღწერა. აიწერება „მნათობი“, „ცისკარი“, „საუნცე“ „განთიადი“, „ხელოვნება“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურნაია გრუზია“, „სეიბოლნაია გრუზია“, „ვეჩერნი ტბილისი“ და სხვა. ანალიტიკურ აღწერილობას ბარათებზე აკეთებენ თვითონ ბიბლიოგრაფები, იმიტომ რომ საქართველოს წიგნის პალატა ვერ ახერხებს ბეჭდური ბარათების გამოცემას რესპუბლიკური პერიოდიკის სტატიებზე.

სტატიების კარტოთეკაში ბარათები განლაგებულია სისტემატურად. განლაგების საფუძვლად იყენებენ წიგნის პალატის ცხრილს, რომელიც მიღებული იყო „მატიანეებში“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა), უდკ-ას, ბბკ-ას (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა).

წიგნის პალატის ცხრილი, გამოყენებული კარტოთეკაში, მოითხოვს შემდგომ დახვეწის. წლების მანძილზე თითოეული რუბრი-

ეს ფარგლებში ბევრი ბარათი გროვდება. ეს იწვევს ახალი ჯეკუმარისა რუბრიკების გახსნას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სტატიების სისტემა-ტურ კარტოთეკაში „შემოღებულია ბევრი ახალი დანაყოფი. მაგა-ლითად, განყოფილებაში „საქართველოს ისტორია“ შედის საქარ-თველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამა, საქართველოს რუკა, საქართველოს დროშა, საქართველოს მეფეები (დავით აღმაშენებე-ლი, თამარ მეფე, ვახტანგ VI, ქავერვან დედოფლი, თემიშვრაზ I; ერეკლე II, სოლომონ II და სხვა), ქართველთა შორის წერა-კი-თხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 1924 წლის აგანყება და სხვა. ბიბლიოთეკა აპირებს გადასვლას უდკა-ს ცხრილზე.

ცერიოდული გამოცემების ანალიტიკური აღწერა და ბარათების კარტოთეკაში ჩართვა ბიბლიოთეკებში ყოველდღიურად ხდება.

აუცილებელია კარტოთეკის რეგულარული გადასინჯვა, მისი შევსება ახალი მასალით და მოძეველებული მასალისაგან გაშემწიდა. ჩვეულებრივ, სწრაფად ძევლდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, განსაკუთრებით მიმღინარე პოლიტიკის საკითხებზე. მასობრივ ბიბლიოთეკებში ძირითად ბოლო 3 წლის სტატიებია დაცული. ქრონილოგიური ფარგლები შეიძლება გადიდლეს სხვა ლიტერატურაზე. ეს ეხება მეცნიერული, ისტორიული და ლიტე-რატურული ხასიათის შრომებს.

მასობრივ ბიბლიოთეკებში (ამჟამად ცენტრალიზებულ საბიბ-ლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკებში) მიღებულია ამავე სახის კარტოთეკები: სტატიების სისტემატური კარტოთეკა, თემატური, მხარეთმცოდნეობითი და სპეციალური კარტოთეკები. მაგრამ მათი მოცულობა და შინაარსი განსხვავდება დიდი სამეცნიერო რესპუ-ბლიური ბიბლიოთეკებისაგან.

სტატიების სისტემატური კარტოთეკა ხშირად მხოლოდ ცენტ-რალურ ბიბლიოთეკაში დგვანა, რადგანაც ცენტრალიზებული საბიბ-ლიოთეკო, სისტემისათვის საცნობი-ბიბლიოგრაფიული აპარატი ერთიანია სისტემაში შემავალი ყველა ბიბლიოთეკისათვის, რომლებიც იყენებენ მას. ზოგი ბიბლიოთეკა — ფილიალი თვლის, რომ ეს კარტოთეკა არ არის აუცილებელი, მის ნაცვლად ბიბლიოთეკა — ფილიალები ქმნიან რამდენიმე თემატურ კარტოთეკას. მაგრამ ეს სადაცა. ბიბლიოთეკა-ფილიალი უნდა ერიდოს მრავალრიცხვან

თემატურ კარტოთეკების შექმნას ერთი სტატიების სისტემატურობუნივერსალური კარტოთეკის ნაცვლად.

მასობრივ ბიბლიოთეკებში სტატიების კარტოთეკაში მასალის განლაგება მიზანშეწონილია იმავე ცხრილის მიხედვით, რომელიც სისტემატურ კატალოგშია გამოყენებული.

თემატური კარტოთეკები. მათი შედგენა ხდება პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკისა და სხვა საჭირობორიტო პრობლემებზე. თემატურ კარტოთეკაში აისახება სტატიები და წიგნები. კარტოთეკის თემა არ უნდა იმეორებდეს სისტემატურ კატალოგში და კარტოთეკაში ასახულ საკითხს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნები და სტატიები ამ საკითხზე სრულყოფილად შეიძლება მოიძებნოს კატალოგისა და კარტოთეკის გარკვეულ განყოფილებაში. ეს ეხება, მაგალითად, ისეთ საკითხებს, როგორიცაა „ქართული თეატრი“, „საქართველოს ისტორია“, „რუსული ლიტერატურა“, „მეცნიერობა“, „ჭადრაკი“, და ა. შ. მიზანშეწონილია კარტოთეკის შექმნა კომპლექსურ საკითხებზე, მაგალითად; „ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობანი“, „საქართველოს პარლამენტის მოღვაწეობა“ და სხვა, რადგან შესაბამისი მასალა ამ თემებზე კატალოგისა და კარტოთეკის სხვადასხვა ნაწილებშია დაფანტული¹.

მასალა თემატურ კარტოთეკებში მოცემულია ქვეთემების ანბანის მახედვით ან ლოგიკური თანმიმდევრობით.

თემატური კარტოთეკები მასობრივ ბიბლიოთეკებში დგება აქტუალურ საკითხებზე. წიგნები და სტატიები თემატურ კარტოთეკაში აისახება შერჩევით. უმეტეს შემთხვევაში მას დროებითი ხასიათი აქვს, სანამ თემა აქტუალურია.

თემატური კარტოთეკების შედგენა გავრცელებულია იმ მასობრივ ბიბლიოთეკებში, სადაც ვერ ხერხდება სტატიების კარტოთეკის ორგანიზაცია და ამ ხარჯების შევსებას ბიბლიოგრაფები თემატური კარტოთეკებით ცდილობენ.

თემატური კარტოთეკებით ზედმეტად გატაცება არაა მიზან-

¹ მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ორგვლევ მასალები თავმოყრილი იქნება: სამართლის, ეკონომიკის, სახელმწიფო წყობილების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საწარმოო ძალებისა და რესურსების, ეკოლოგიის, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის, აღამიანის უფლებების დაცვის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, განათლებისა და სხვა განყოფლებებშიც.

შეწონილი. ბიბლიოთეკებს, რომლებშიც მაღალ დონეზეა მოწყვეტილი
რიგებული სისტემატური კატალოგი და სტატიების სისტემატური
კარტოლეკა, არ ესაჭიროება დიდი რაოდენობით თემატური კარ-
ტოლეკები.

ბიბლიოთეკა-ფილიალებში დგება კარტოთეკები ისეთ თემებზე,
რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს ფილიალის მკითხველებისათ-
ვის.

მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა ასახავს ბარათებს, რომლის
აღწერილობანი შინაარსით დაუკავშირებულია ქვეყნის გარევეულ
ტერიტორიის, რესპუბლიკის, რაიონის, ქალაქის, სოფლის საკი-
ონებთან.

ყოველ ბიბლიოთეკას ევალება მასალის გამოვლენა, აღრიცხვა
და სისტემატიზაცია ბიბლიოთეკის სამოქმედო რაიონის შესახებ.
აღირიცხება წიგნები და სტატიები მხარის ისტორიის, გეოგრაფიის,
ბუნების, ეკონომიკის, საწარმოო ძალების, მრეწველობის, სოფ-
ლის მეურნეობის, ეროვნული მოძრაობის, კულტურის, ეკოლოგიის,
ეკლესიის, განათლების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადო-
ებრივი ორგანიზაციების, პროფესიული ხელოვნების, ხუროთ-
მოძღვრებითი და ისტორიული ძეგლების, გამოჩენილი ადამიანე-
ბის, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის, მეცნიერების, გამო-
ჩენილი ადამიანების, მხატვრული ლიტერატურისა და მწერლების
შესახებ.

ამ მრავალფეროვანი ლიტერატურის ასახვის ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი საშუალებაა მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა, რომე-
ლიც ეხმარება მკითხველს მხარის შესწავლაში. კარტოთეკა ისება
ძირითადად ადგილობრივი პრესის ზედმიწევნით გადასინჯვის სა-
ფუძველზე. მხარეთმცოდნეობითი მასალის გამოვლენისათვის იყე-
ნებენ აგრეთვე საზოგადოებულ პრესს. კარტოთეკაში წიგნებისა
და სტატიების გარდა, შედის წიგნების ცალკეული თავები და პა-
რაგრაფები. მასალის განლაგება ხდება სპეციალურად მხარეთ-
მცოდნეობითი კარტოთეკისათვის დამუშავებული საკლასიფიკაციო
ცხრილის მიხედვით¹.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოგიურ გან-

¹ მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკის შედგენის საკითხი შეისწავლება „მხა-
რეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის კურსში“.



ყოფილებას მხარეთმცოდნეობითი მუშაობის წარმოება ავტორულია რესპუბლიკის მასშტაბით. განყოფილებაში შექმნილია კარტოთეკების სისტემა, რომელიც მოიცავს მასალას მთელ საქართველოს შესახებ. თბილისის საქალაქო ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აისახება ლიტერატურა თბილისის შესახებ. სხვა რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკებს აქვს მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკები, რომლებშიც მათი სამომსახურეო რაიონის (მხარის) მასალა ასახული.

ბევრ მასობრივ ბიბლიოთეკას აქვს სპეციალური საქალალდები, რომლებშიც ინახება უურნალებისა და გამჭეობის ამონაქრები, საილუსტრაციო მასალა ბიბლიოთეკის სამომსახურეო რაიონის შესახებ.

ბიბლიოთეკის კატალოგები, უნივერსალური და თემატური კარტოთეკები ვერ პასუხობენ მყითხველის ბევრ შეკითხვაზე, ამიტომ ასეთ შეკითხვებზე პასუხისათვის ბიბლიოთეკებში დგება სპეციალური ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები.

სპეციალურ კარტოთეკებს ეფუთვნის რეცენზიების კარტოთეკა, საღაც ბარათზე აიწერება რეცენზირებული ნაწარმოები და რეცენზია¹.

საქართველოს უურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ რეცენზიებს თვით ბიბლიოგრაფები აღწერენ². აღწერილობების განლაგება ხდება რეცენზირებული წიგნების ავტორთა და სათაურების ანბანის მიხედვით. დიდ ბიბლიოთეკებში, საღაც რეცენზიების რიცხვი დიდია, შესაძლებელია მათი სისტემატური განლაგება.

პერსონალური კარტოთეკა. პერსონალურ კარტოთეკაში პერსონალურ რუბრიკებში („ბუღებში“) გაერთიანებულია წიგნებისა და სტატიების აღწერილობანი ერთ გამოჩენილ პიროვნებაზე — მწერალზე, მეცნიერზე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეზე.

1 ბარათზე აღინიშნება საჩეცენზიო წიგნის ავტორი, სახელწოდება, ბეჭდოლობითი ცნობები, რეცენზიის ავტორი, სათაური, საღაა გამოქვეყნებული რეცენზია.

2 აღწერილობანი (ბარათზი) რეცენზიების ავტორებზე, როგორც კრიტიკული სტატიები, აისახება სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში — შესატყვის დარგობრივ განყოფილებაში.



პეტრონალური კარტოთეკის არსებობა გამართლებულია იმ ბეჭდებში, სადაც გარკვეული პიროვნების შესახებ მისალის შეგროვება სინტერესო მკითხველებისათვის. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში — მწერლებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში — ქართველ მეცნიერებზე — აკადემიკებზე და ა. შ. მასობრივ ბიბლიოთეკებში პეტრონალური კარტოთეკა ღვება მწერლის იუბილესთან დაკავშირებით (მაგ. აკ. წერეთლის დაბადების 150 წლისთავთან და ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით).

პეტრონალურ კარტოთეკაში აისახება ჯერ ამა თუ მმ მოღვაწის ნაწარმოებები, შემდეგ კი ლიტერატურა მასზე. მასალა კარტოთეკაში განლაგებულია პეტრონალოების გვარების ანბანის მიხედვით.

მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების კარტოთეკა მოიცავს ბარათებს, რომლებზეც აღწერილობა კეთდება სათაურზე, მასზე აღნიშნულია ნაწარმოების უანრი და მითითებულია მისი ავტორი.

ამ კარტოთეკის იყენებენ მასობრივ და საბავშვო ბიბლიოთეკებში. მეითხველს ხშირად ახსოვს მხატვრული ნაწარმოების სახელწოდება და დავიწყებული აქვს მისი ავტორი. ამ შემთხვევაში მიმართავთ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა სათაურების კარტოთეკას.

კარტოთეკაზე მუშაობის დროს ბიბლიოგრაფი აწყდება შედეგ სირთულეს: შეიტანოს შიგ მხოლოდ წიგნად გამოცემული ნაწარმოებების აღწერილობანი, თუ საუკრნალო პუბლიკაციებიც? ცალკეული გამოცემები თუ აღმანახებში და ლიტერატურულ-მხატვრულ კრებულებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები?

მიზანშეწონილი არ არის კარტოთეკაში ლექსების, პატარა მოთხრობების, ერთაქტიანი პიესებისა და სხვა მსგავსი მისალის შეტანა. ამ ნახის ნაწარმოებების აღრიცხვა გადატვირთავს კარტოთეკას, გაართულებს მის ორგანიზაციის და გამოყენებას. კარტოთეკა აგებულია ნაწარმოებთა სათაურების ანბანის რიგზე.

ბიბლიოგრაფიული მასალების კარტოთეკა. ამ კარტოთეკაში, ასახულია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების ცალკეული გამოცემები, პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი საძებლები, ლიტერატურის სიები, რომლებიც თან ერთვის სამეცნიერო ხასიათის წიგნებსა და ტატიებს (წიგნის შიდა ბიბლიოგრაფიული მასალე-



ბის კარტოთეკაში ასახულია ბიბლიოგრაფიული განცულებულების საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების ფონდიც. ბიბლიოგრაფიული მასალების კარტოთეკა ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიაა. ამ კარტოთეკას დიდი მნიშვნელობა აქვს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში. ბიბლიოგრაფიული მასალების კარტოთეკას პირველ რიგში იყენებენ თვით ბიბლიოთეკის მუშავები. შეუძლებელია ყველა არსებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის დამასოვრება ამა თუ იმ საკითხზე. თუ მკითხველს სჭირდება ლიტერატურა აღამიანის კოსმოსში გაფრენის შესახებ, ბიბლიოგრაფია პირველ რიგში უნდა დაადგინოს, არის თუ არა ლიტერატურის სია ამ თემაზე. საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შიბლიოგრაფიულ წყაროების საყაროში გარკვევას ხელს უწყობს ბიბლიოგრაფიული მასალების კარტოთეკა.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოგრაფიული მასალების კარტოთეკაში (რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკშია) ასახულია, როგორც ცენტრალური ბიბლიოთეკის, ასევე მისი ფილიალების საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემები. მრიგად, ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობო გამოცემების შეერთებული (ნაკრები) კარტოთეკა ინფორმაციას იძლევა მთელ ცენტრალიზებულ სისტემაში დაცული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის შესახებ.

ავტორეფერატების კარტოთეკა. ავტორეფერატი იწერება საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაზე და წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის მოყლე გადმოცემას. ავტორეფერატი იწერება დისერტანტის მიერ. ავტორეფერატების კარტოთეკების შედგენა ხდება სამსუნიერო ბიბლიოთეკებში და მას წმინდა საინფორმაციო შინები აქვს. მეცნიერ მუშავეს, რომელიც მუშავებს გარკვეულ მეცნიერულ თემას, ბუნებრივია, აინტერესებს დაცულია თუ არა ამ პრობლემაზე დისერტაცია. კარტოთეკა აქვს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ მეთოდური თვალსაზრისით, არაა მიზანშეწონილი მრავალი კარტოთეკის შექმნა ბიბლიოთეკაში. ყოველი კარტოთეკის არსებობა საფუძვლიანად უნდა იყოს ბიბლიოთეკის მუშაობის პროფილით დასაბუთებული და მკითხველთა მოთხოვნით ნაკარნახევი.

გიგანტური მოსახურება გიგანტური მოსახურება

ბიბლიოგრაფიული მომსახურება, ამ ტერმინის თანამედროვე გაცემით, არც ისე დიდი ხანია, რაც იყენებენ ბიბლიოთეკის პრაქტიკაში. ამჟამად ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების მუშაობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღვილი უკავია.

ბიბლიოგრაფიული მომსახურების დონეზე დიდადა დამოკიდებული ბიბლიოთეკის მუშაობის მრავალი მაჩვენებელი, მათ შორის ბიბლიოთეკის ფონდების გამოყენების ეფექტურობაც.

ბიბლიოგრაფიული მომსახურების სახე, მისი შინაარსი და მოცულობა დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ტიპზე და ამოცანებზე.

ისეთი უნივერსალური ბიბლიოთეკისათვის, როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას განსაზღვრავს რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიკური პროფილი, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების არსებობა და მკითხველთა კონტინგენტი.

საწარმოთა და ორგანიზაციების სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პროფილის არიან ეს დაწესებულებები, არის თუ არა მათ სტრუქტურაში საინფორმაციო ორგანო. ამიტომ ერთი ტიპის ბიბლიოთეკის ფარგლებშიც კი (მაგალითად, სახელმწიფო ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემაში) ბიბლიოგრაფიული მომსახურების სახეები შეიძლება განსხვავებული იყოს.

ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიული მომსახურების ორ სახეს (ან „რეიტის“) ანსხვავებენ საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურება-სა და ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებას.

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მოსახურება გიგანტური მოსახურება

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ყველა სახისა და ტიპის ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული მუშაობის უცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ძირითადად ევალება საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას, მაგრამ მას იგრეთვე ბიბლიოთეკის აბონემენტი და სამკითხველო დარბაზიც ეწევა.



უნივერსალურ ბიბლიოთეკებში, როგორიცაა რესპუბლიკური ცენტრალური მასობრივი ბიბლიოთეკები, ბიბლიოგრაფიული მომსახურება ცოდნის ყველა დარგში მიმღინარეობს, მაგრამ უპირატესად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ თემატიკაზე. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე მხარეთმცოდნეობით საკითხებისაც.

ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ერთ-ერთ წამყვან უბანს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება წარმოადგენს.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების არსი იმაშია, რომ ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ხორციელდება ერთჯერადი შეკითხვის საფუძველზე.

✓ ბიბლიოგრაფიული შეკითხვა (შეკვეთა) წარმოადგენს მკითხველის მოთხოვნას ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაზე, ხოლო პასუხს ქრთხერად შეკითხვაზე, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას შეიცავს, ბიბლიოგრაფიული ცნობა ეწოდება.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება მიმღინარეობს რეაქტში — შეკვეთა (შეკითხვა) — პასუხი (ცნობა).

ცნობის შესრულება და მკითხველზე გაცემა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ძირითადი შედეგია.

ბიბლიოთეკაში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება „პასიურ“ რეაქტში ხორციელდება. სანამ არ შემოვა შეკითხვა, ბიბლიოგრაფი არ იწყებს მუშაობას.

ბიბლიოგრაფმცოდნეობაში ანსხვავებენ ბიბლიოგრაფიულ და ფაქტოგრაფიულ ცნობებს.

ბიბლიოგრაფიული ცნობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მასში ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, ბეჭდურ ნაწარმოებთა და-სახელებას წარმოადგენს. ფაქტოგრაფიული ცნობა შეიცავს ფაქტიურ ინფორმაციას, პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე, ჩვეულებრივ, ბეჭდურ ნაწარმოებთა მითითების გარეშე.

მკითხველთა შეკითხვების მიზანი და თემატიკა მრავალფეროვანია. განასხვავებენ თვითგანათლების, სასწავლო, საწარმოო-პროფესიულ და სამეცნიერო მიზნებს. მოთხოვნის თემატიკაში კი ნათლად აისახება მკითხველების მატერიალური და სულიერი მო-

თხოვნები. ბიბლიოგრაფიული ცნობა უნდა შესრულდეს ამჟღვეული ძლებლობის მაქსიმალური ოპერატორიულობით და მაღალ დონეზე.

ცნობის ხარისხი განისაზღვრება მისი რელევანტურობით: რამდენად შეეფერება (რელევანტურია) ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია მკითხველთა შეკითხვას, აგრეთვე პერტინენტურობით: რამდენად ზუსტად (პერტინენტურია) პასუხობს მკითხველის მოთხოვნას ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების დონეს და ოპერატულობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის ხარისხი, რეგიონის ბიბლიოთეკების კოორდინირებული მუშაობა, ბიბლიოგრაფის კვალიფიკაცია და გამოცდილება, მკითხველების ბიბლიოგრაფიული მომზადება.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების წარმატება ბევრადაა დაკავშირებული ბიბლიოგრაფის პიროვნებაზე, რომელიც უნდა გამოიჩინოდეს მაღალი ზოგადი განათლებით, ბიბლიოთეკის რეგიონის თავისებურებების, ბიბლიოგრაფიული რესურსებისა და შესაძლებლობების ცოდნით, პროფესიული ოსტატობით, ეკრისტიფული ნიჭითა და ინტუიციით, კარგი მესხიერებით, მკითხველთა ფსიქოლოგიის გაცემით, პედაგოგიკური ტაქტით, დაზმარების სურვილითა და უნარით.

მკითხველთა შეკითხვების პროგნოზირება რთული საქმეა. მაგრამ ზოგი მოვლენის წინასწარ განსაზღვრა მაინც შეიძლება. მაგალითად: საშინაო და საგარეო პოლიტიკური, სამეცნიერო-ეკონომიკური მოვლენები, საარჩევნო კამპანიები, იუბილეები, ლირულებისა ნიშავი თარიღები და ა. შ.

V ბიბლიოგრაფმცნეობაში ბიბლიოგრაფიული ცნობების კლასიფიკაცია ორი ნიშნის-გაცემის ფორმისა და შინაარსის მიხედვით ხდება.

ფორმის მიხედვით არსებობს ზეპირი და წერილობითი ცნობა. ზეპირ ცნობას ახასიათებს მცირე მოცულობა, როგორც წესი, იგი სრულდება მკითხველის თანდასწრებით, გაიცემა ზეპირად, ზოგჯერ გადაიცემა ტელეფონით.

წერილობითი ცნობა ფორმდება ბიბლიოთეკის (ან ბიბლიოგრაფიულ განყოფილების) სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც აღნიშნულია: ცნობის შინაარსი, მიზანი, რიგითი ნომერი, მიღებისა და შესრულების თარიღი, შემკვეთი (მკითხველი, დაწესებულება),

შემსრულებელი (ბიბლიოგრაფი). ერთვის ბიბლიოგრაფიულზე ცნობების ტექსტი (ლიტერატურის სია).

(შინაარსობრივად ანსხვავებენ თემატურ, დამაზუსტებელ და სამსახურთო-ბიბლიოთეკურ (ბიბლიოგრაფიულ) ცნობებს.

ყოველი მათგანი შეიძლება გაიცეს ზეპირი და წერილობითი ფორმით. ზეპირი და წერილობითი ცნობების შესრულების მეთოდი დიქა ანალიზითა.

ბიბლიოგრაფიული ცნობის შესრულების ეტაპებია: შეკვეთის მიღება, ძიების პროგრამის (ალგორითმის) შედგენა, გადასასინჯი წყაროების დაღვენა, ლიტერატურის გამოვლინება-ძიება და ოწერა, ცნობის გაფორმება, რეგისტრაცია აღრიცხვის ურჩალში და გაცემა (გავზავნა) მკითხველზე (აბონენტზე).

ლიტერატურის ოწერილობანი სრულდება ბეჭდურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული ოწერის წესების — სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

§ 1. თემატური ცნობების შესრულება

1) თემატური ცნობა წარმოადგენს ლიტერატურის ნუსხას, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას გარკვეული თემის იზვლივ შეიცავს. თემატურ ცნობებზე მუშაობა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია.

თემატური ცნობები მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: სამეცნიერო და საწარმოო-პროფესიული მოღვაწეობისათვის, ნწავლისა და თვითგანათლების დასახმარებლად. უნივერსალურ ბიბლიოთეკებში თემატური შეკითხვების შინაარსობრივი დიაპაზონი მეტად ფართოა. არჩევენ საზოგადო-პოლიტიკური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მხარეთმცოდნეობითი და პერსონალური თემატიკის ცნობებს.

მაგალითად: ი. ჭავჭავაძეზე ქართულ ენაზე ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები, საინგილოს ქართული თეატრის შესახებ, ქართულ ემიგრაციაზე, საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ, ცხენების სახეები, თეირანის კონფერენცია, ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1987—1989 წწ., საქართველოს

პარლამენტის მოღვაწეობა 1996 წელს, მსოფლიოს საეკლესიურო
ცენტრები და სხვა.

თემატური ცნობების დარღობრივი დიფერენციაცია ფიქსირდება ცნობების ორიცხვის უზრნალში. თემატურ წერილობით ცნობებზე მუშაობა, ჩვეულებრივ, სრულდება ლიტერატურის სიის შედგენით.

ნებისმიერი თემატური ცნობის შესრულება შეიცავს შემდეგ პროცესებს: შეკვეთის მიღება, თემის შესწავლა, ძიების გეგმის შედგენა, გადასასიხი წყაროების რიგის დადგენა, ლიტერატურის ძიება, შერჩევა, დაჯგუფება, გაფორმება და გადაცემა მკითხველზე.

თუ შეკვეთა მიღებულია მკითხველის თანდასწრებით, ბიბლიოგრაფი საუბრობს მკითხველთან: ორგვევს მკითხველის ვინაობას, განათლებას, პროფესიას, შეკითხვის მიზანს, რა სახის, რომელი წლების, რა ენაზე და როდისთვის სჭირდება მკითხველს ცნობა, აგრეთვე ბიბლიოგრაფი აზუსტებს თემის შინაარსს.

მკითხველი ავსებს სპეციალურ ბლანქს, სადაც ჩიმოთვლილია ზემოდასაწელებული შეკითხვები.

შეკითხვის შიღების დროს, ბიბლიოგრაფი აზუსტებს თემის შინაარსს ხდება თემის კონკრეტიზაცია/კერძოდ, თუ სრულდება ცნობა თემაზე „ნაციონალური ლიტერატურების ურთიერთობაზი“, უნდა გაირკვეს, რომელ დროის, რომელი ლიტერატურის ურთიერთობანი აინტერესებს მკითხველს, ასევე, თუ აინტერესებს საკითხი — „ტრანსპორტი თბილისში“, უნდა დადგინდეს, რომელი წლების, რომელი ტრანსპორტის და ა. შ.

თემის შესწავლის შემდეგ ბიბლიოგრაფი გადადის ლიტერატურის ძიებაზე/ბუნებრივია, ყოველი ცნობა (გააჩნია თემის) მოითხოვს როგორც ჩვეულებრივ (ტიპურ), ასევე თავისებურ ლიტერატურის ძიებას. გადაისახება ბიბლიოთეკის კატალოგები, კარტოთეკები, ბიბლიოგრაფიული წყაროები. შემდეგ ხდება ლიტერატურის აღრიცხვა (ბიბლიოგრაფიული აღწერა), გადასინჯვა „დევიზ“ (ხილვით), შერჩევა, დაჯგუფება (სისტემატური, ქრონოგრაფი, ანბანური). ბარათებზე აღრიცხული ლიტერატურა გადაიწერება (ან დაიბეჭდება საწერ მანქანაზე), ხდება სიის შედგენა და მისი რედაქტირება.

სიის ერთი ცალი შიეცემა მქითხველს, ასლი ინახება აშენებულებული ცნობების ფონდში და ფიქსირდება ცნობების აღრიცხვის შურნალში.

§ 2. პიგლიოგრაფიული კონვენტაცია

თემატურ ცნობას უახლოვდება ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს პასუხს ერთჯერად შეკითხვაზე¹. ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია შეიცავს დარიგებას (რჩევას) ბიბლიოგრაფიული ძიების გზებსა და საშუალებებზე. კონსულტაციაში მითითებულია წყაროები, რომლის მეშვეობით მკითხველს შეუძლია მიიღოს პასუხი (ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია) თავის შეკითხვაზე. რჩევა შემდეგი სახისაა: „საჭირო მასალას თქვენ ნახავთ კარტოთეკის შემდეგ განყოფილებაში...“ ან „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ და ა. შ. ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია ცელის თემატურ ცნობას, როდესაც ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მარტივი გზით, გარჯვეულ-კონკრეტული წყაროების გამოყენებით.

დისერტაციისათვის, სადიპლომო და საკურსო შრომებისათვეს ლიტერატურის შეჩევის დროს ბიბლიოგრაფი მხოლოდ კონსულტაციას უწევს მკითხველს. ასევე საქმიანისა კონსულტაცია, როცა თემა პერიოდული გამოცემების მთლიანად გადასინჯვეს მოითხოვს.

კონსულტაციის მეთოდური რჩევები ხელს უწყობს მკითხველს ლიტერატურის სიის შედგენაში, ზრდის მკითხველის აქტივობას, ხდის მას ბიბლიოგრაფიული ძიების მონაწილეობა.

ბიბლიოგრაფიული კონსულტაციები გაიცემა აგრეთვე დამაზუსტებელ და სამისამართო-ბიბლიოთეკურ შეკითხვაზე. მაგალითად: ვინაა ამაზე იმ ნაწარმოების აეტორი? კონსულტაცია — პასუხი: გამოიყენეთ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა სათაურების კარტოთეკა.

1 ჯგუფური შეცადინეობა, კონსულტაციები, რომლებიც არა დაკავშირებული ერთჯერად შეკითხვასთან, მიეკუთხნება მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლებას (ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროცეგანდას) და არა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას.

დამაზუსტებელი ცნობა ადგენს (ან აზუსტებს) ბეჭდურ ნაწილ-მოებთა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის რომელიმე ელემენტს (ავტორს, სათაურს, პუბლიკაციის წყაროს, ადგილს, გამომცემლობას, წელს, ეანრს და ა. შ.), რომელიც უცნობია მკითხველისათვის ან დამაზინჯებულია მის მიერ.

დამაზუსტებელი ცნობის სირთულე გამოწვეულია დამაზინჯებების ვარიანტობის სიმრავლით. მკითხველთა მიერ დაშვებულ უზუსტობების შემდეგი ტიპური შეცდომების გამოყოფა შეიძლება: დამაზინჯებულია ავტორის ევარი; არაზუსტია წიგნის ან პერიოდული გამოცემის სახელწოდება; დასახელებულია როგორც წიგნის ავტორი მთარგმნელი ან რედაქტორი; არასწორადა მითითებული პუბლიკაციის წყარო, გამოცემის წელი და ა. შ.

ბიბლიოთეკაში ხშირია შეკითხვები პერიოდულ პრესაში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა პუბლიკაციის შესახებ.

დამაზუსტებელ ცნობებს მოითხოვს, მაგალითად, შეკითხვები: პირველად სად და როდის დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსი „ნიკორწმინდა?“; ეინა ავტორი სტატიისა „ქართული ანბანის 1600 თუ 2300 წელი?“ (1988 წ.); რომელი ეკონომიკური უურნალები გამოდიოდა საქართველოში 1918—1921 წწ.? რომელ რუსულ უურნალში დაიბეჭდი სტატია სარატოვის ქართველ გუბერნატორჩე? (XIX ს. I ნახევარში) ფრ. კაფეს რომანის „პროცესის“ ქართული საეურნალო პუბლიკაცია?; პირველი წიგნები „ნიანგის“ სერიისა, ვინ თარგმნა „ცეცხისტუასანი“ ბერძნულად? და ა. შ.

+ მსუშაობა დამაზუსტებელ ცნობაზე „სად და როგორ ვეძიოთ“ მრავალფეროვანია. გავრცელებულია შემდეგი ვარიანტები: ავტორის დადგენა, სათაურის დაზუსტება, პუბლიკაციის წყაროს გამორჩევა.

დამაზუსტებელი შეკითხვის დროს ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება მეტი მონაცემი უნდა მიიღოს მკითხველისაგან მისი შეკითხვის ორგვლივ. თუ შესაძლებელია, დაადგინოს, რომელ წყარო მბიდან აქვს აღებული მკითხველს მოყვანილი ცნობები ავტორჩე, სათაურჩე, პუბლიკაციის წყაროზე, წელზე და სხვა.. დამატებით მიღებული მონაცემები ხელს უწყობს ძიებას გადასასინჯი წყაროების ზუსტ შეჩევას.



თუ ავტორი ცნობილია, ძიება იწყება ანბანური კატეგორიაში და ხოლო თუ უცნობია, ბიბლიოგრაფი მიმართავს სისტემატურ კატალოგს, სტატიების კარტოთეკას, მხატვრული ლიტერატურის ნაწილში არმოებთა სათაურების კარტოთეკას და სხვა. დამაზუსტებელი ძიება ინდივიდუალური პროცესია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა გზით ხორციელდება.

დამაზუსტებელი ძიების შედეგად მკითხველი ღებულობს ბეჭ-დურ ნაწარმოებების სრულ და ზუსტ აღწერილობას.

გ 4. სამისამართო ცენტრის ზესრულება

სამისამართო-ბიბლიოთეკური (ბიბლიოგრაფიული) ცნობა აწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ფონდში ბეჭდურ ნაწარმოებთა არსებობის შესახებ. მაგალითად, რომელ ბიბლიოთეკაშია დაცული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა? „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (1629 წ.)? უურნალი „საუნჯე“, „ბურდა“, განეთი „მამული“? და ა. შ.

ამ ცნობის შესრულებისათვის იყენებენ კატალოგებს, ახლად შემოსული წიგნების ბიულეტენებს. ძიების შედეგია — პასუხი დოკუმენტის არსებობის შესახებ ბიბლიოთეკის ფონდში, დაცვის (ადგილის) შიფრის მითითებით.

გ 5. ფაქტოგრაფიული ცენტრის ზესრულება

▼ ფაქტოგრაფიული ცნობა მოითხოვს ფაქტის, მოვლენის, აღმიანის ვინაობის, სტატისტიკური მონაცემების, თარიღის, ტერმინის, ტიტატისა და სხვათა დადგენას (გამორკვეული). ▼ მაგალითად: რომელი მწერლები შედიოდნენ ლიტერატურულ გაერთიანებაში „ცისფერყანწელნი“, რომელ წელს ჩამოვიდა ა. პუშკინი საქართველოში, რამდენი ქართველი ტხოვრობს თურქეთში, რომელმა ქართველმა ქალმა დამთავრა „ბესტუევის კურსები“, რომელ წელს მოხდა აღამიანის გაფრენა მთვარეზე, როდის მიიღო რუსთაველის პრემია ირ. აბაშიძემ, კუნძულ მალტის მთავარი ქალაქი, რას ნიშნავს „ბრიფინგი“, რამდენი გენერალისიმუსია მსოფლიოში, ილია ჭავჭავაძის გამოთქმა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ თუ „ენა

მამული, სარწმუნოება”, როდის დაიბადა და გარდაიცვალა მ. ა. შეკვეთისა ხიშვილი, როდის და სად გარდაიცვალა გრ. რობაქიძე, ყველაზე მაღალი ეკლესია საქართველოში, ვის ეკუთვნის ლექსი: „რაც უნდა მტანჯო, მაინც ვიქნები ქირთველი“ და ა. შ.

✓ ფაქტოგრაფიული ცნობა კითხვაზე ფაქტობრივ ინფორმაციას, პირდაპირ პასუხს იძლევა, ჩვეულებრივ, ბეჭდურ ნაწარმოებთა მითითების გარეშე. ფაქტოგრაფიული ცნობა სრულდება ენციკლოპედიების, ლექსიკონების; სტატისტიკური კრებულებისა და სხვა ცნობარების გამოყენებით. ✓

დამაზუსტებელი, სამისამართო-ბიბლიოთეკური და ფაქტოგრაფიული ცნობები უმეტესად ზეპირი ფორმით გაიცემა, მათი აღრიცხვა მხოლოდ ცნობების აღრიცხვის ეურნალში ხდება.

წერილობით გაცემული პასუხის (ცნობის) ასლი რჩება (ინახება) ბიბლიოთეკაში, ზეპირი ცნობები კი აისახება მხოლოდ სააღრიცხვო ეურნალში. ამიტომ ზეპირი ბიბლიოგრაფიული ცნობების ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ სააღრიცხვო ეურნალის ჩანაწერების საფუძველზე, რომელიც გაწეული მუშაობის ერთადერთი საბუთია. ეს ზრდის მათი სწორი აღრიცხვის აუცილებლობას. ✓

ეურნალის ჩანაწერში ნათლად უნდა ჩანდეს, როგორ იყო ფორმულირებული მკითხველის შეკითხვა, მისი შინაარსი, რა მოითხოვდა დაზუსტებას, რა იყო მცდარი, რომელი ფაქტი მოითხოვდა განმარტებას. რა თემაზე, რა ფარგლებში და რა კუთხით სჭირდებოდა ლიტერატურა, საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის რომელი ნაწილი გამოყენებული იქნა პასუხის მომზადების დროს. ეურნალის ჩანაწერიდან უნდა ჩანდეს ძიების პროცესის სირთულე და ბიბლიოგრაფიული შრომის სიძნელეები.

✓ ცნობების აღრიცხვის ეურნალის ფურცელი მოიცავს შემდეგ მონაცემებს: შემოსვლის თარიღი, შეკვეთის შინაარსი (თემა), შეკვეთის და ცნობის ტიპი (თემატური, დამაზუსტებელი, სამისამართო-ბიბლიოთეკური, ფაქტოგრაფიული, კონსულტაცია), მიზანი, ცოდნის დარგი, გამოყენებული წყაროები, შემსრულებელი (ბიბლიოგრაფი), შესრულების თარიღი, შენიშვნა. შენიშვნაში აღინიშნება, თუ რატომ არ შესრულდა ცნობა, რომელ ბიბლიოთეკაში იყო გადაგზავნილი შესრულებისათვის.

ცნობის სააღრიცხვო უურნალის ფურცლის ნიმუში

შემოსავლის თარიღი	რიგითი ნომერი	მიზანის დროისას, რა განისაკვა	უსავეთის — ცნობის შინაგამი (თემა)	შეკვეთის-ცნობის ტიპი	თემატური	დამატებული	სამისამართით-ბიბლიოთური	ფაქტოგრაფიული	საკრიტიკული	უსავეთის — ცნობის გზანი	უსავეთის — ცნობის დაწეს	გამოყენებული წესრიგები	შემსახულებული	ექსპლუატაციის თარიღი	უნიტების განხილვა	

2. პიბლიოგრაფიული ინფორმირება პიბლიოთეკაზი

ბიბლიოგრაფიული ინფორმირება ნიშავს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის სისტემატურ მიწოდებას ინფორმაციის მომხმარებლისათვის, ხანგრძლივად მოქმედი მოთხოვნების შესატყვისად ან ამ მოთხოვნათა გარეშე. ამრიგად ბიბლიოგრაფიული ინფორმირება აუცილებლად გულისხმობს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას ახალი დოკუმენტის შესახებ. საცნობი-ბიბლიოგრაფიული მომსახურება იმით განსხვავდება ბიბლიოგრა-ფიულ ინფორმირებისაგან, რომ ის დაკავშირებულია ცნებასთან.— „ერთჯერადი მოთხოვნა“.

ბიბლიოგრაფიული ინფორმირება პირობითად შეიძლება განი-საზღვროს, როგორც ბიბლიოთეკის მუშაობა „აქტიურ“ რეჟიმში, ხოლო საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება — „პასიურ“ რე-ჟიმში.

მომსახურების დასახელებული სახეების შეფარდება, სხვადა-სხვა ბიბლიოთეკებში ერთგვარი არაა.

უნივერსალურ ბიბლიოთეკებში (როგორც სამეცნიერო, ისევე მასობრივში), სჭარბობს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურე-ბა. ეს იმით აისნება, რომ ამ ბიბლიოთეკების მომსახურების ზო-ნებში ცხოვრობენ და მუშაობენ სხვადასხვა პროფესიული ჯგუ-50

ფეხის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო და უმცველესობის სპეციალური სასწავლებლების მკითხველები. მითომ უნივერსიტეტი ბიბლიოთეკებს, რომელთა ქსელი ტერიტორიული პრინციპითაა ორგანიზებული, მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნათა მრავალფეროვნების გამო არ შეუძლიათ მათი მომსახურება.

თანამედროვე პირობებში შესამჩნევად ვაიზარდა უნივერსიტეტი სამეცნიერო ბიბლიოთეკების როლი, რამეთუ ისინი ახდენენ რეგიონული ცენტრების კოორდინირებას საბიბლიოთეკო მუშაობის ყველა დარგში, მათ შორის ბიბლიოგრაფიული მომსახურებისაც (საბიბლიოთეკო საქმის შესახებ არსებული დებულებით ეს ფუნქცია ეკისრებათ მათ).

სპეციალური ბიბლიოთეკების უმრავლესობისათვის (სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური) უმთავრესად დამახსიათებელია ბიბლიოგრაფიული ინფორმირება. უფრო მცირეა აქ პასუხები ერთჯერად შეკითხვებზე. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ შემთხვევაში ინფორმირებას აქვს გამაფრთხილებული (წინასწარი) ხასიათი.

ბიბლიოგრაფიული ინფორმირებიდან შეიძლება გამოყოფილი შემდეგი საკითხები: ღიფერენციული (ინდივიდუალური და ჯგუფური) და არაღიფერენცირებული (მასობრივი).

ამ დაყოფას საფუძვლად უდევს თვისობრივი ნიშნები, რომლებიც შეესატყვისება ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკას. ინდივიდუალური ბიბლიოგრაფიული ინფორმირება გულისხმობს კონკრეტულ პიროვნებას (ინფორმაციის მომხმარებელს), რომლის ინფორმირება ხდება მისი მოთხოვნების გათვალისწინებით. ჯგუფური კი ინფორმაციის მომხმარებელთა განსაზღვრულ ჯგუფს, რომელიც გამოიყოფა რაიმე ნიშნით და აქვს შინაარსობრივად მსგავსი ინფორმაციული მოთხოვნები. ხშირად მათ აერთიანებთ პროფესია ან საერთო დავალება, რომელსაც სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები ასრულებენ (მაგ. სამეცნიერო-საკვლევი თემატიკა, ამა თუ იმ ობიექტის დაპროექტება და ა. შ.).

§ 1. ღიფერენციული და მასობრივი ზოგადიობრივი მიზანები

ღიფერენციულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებას, განსაკუთრებით ინგივიდუალურს (როგორც ყველაზე ეფექტურს), ამჟამად



ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში. რაც მეტად მართვა
ბა მის გავრცელებას უპირატესად სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლი-
ოთეკებში, ეს აისანება მათი უშუალო კავშირით სამეცნიერო-სა-
წარმოო კოლექტივებთან. ინფორმაციის მომხმარებელთა შედარე-
ბით სტაბილური შემადგენლობა და მათი პროფესიული საინფორ-
მაციო მოთხოვნების თემატიკის განსაზღვრა ხელს უწყობს
დიფერენციული ბიბლიოგრაფიული ინფორმირების განვითარებას
სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სპეციალურ ბიბლიოთეკებში.

ინფორმირების ამ ფორმის შემდგომი სრულყოფა დამკიდე-
ბულია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სის-
ტემის შექმნასა და ბიბლიოგრაფიულ პროცესებში მექანიზაციისა
და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენებაზე.

დიფერენციული ბიბლიოგრაფიული ინფორმირების ამოცანაა,
რეგულარულად უზრუნველყოს სამეცნიერო დაწესებულებებში,
საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, სამრეწველო და
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და სასწავლო დაწესებულე-
ბებში მომუშავე სპეციალისტები ინფორმაციით იმ ახალი დოკუ-
მენტური წყაროების შესახებ, რომელიც აუცილებელია მათი
პროფესიული საქმიანობისათვის. ცნობილია, რომ საჭირო ინფორ-
მაციის დამოუკიდებელ ძებნაზე სპეციალისტი უშუალოდ ხარჯას
თავისი სამუშაოს დროის 30—40%.

ამიტომ სამეცნიერო, ტექნიკური და მასობრივი ბიბლიოთეკე-
ბის უშუალო მოვალეობაა: ფართოდ გაავრცელონ მეცნიერებისა
და ტექნიკის მიღწევები მკითხველებში და სრულყონ სპეციალის-
ტების დიფერენციული ინფორმირება.

უცილებელია დიფერენციული ბიბლიოგრაფიული ინფორმი-
რების სისტემაში მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ჩართვა. ეს
განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: სახალხო შეურნეობაში სპე-
ციალისტთა ყოველწლიური მატება, ყველა კატეგორიის სპეცია-
ლისტთა მოთხოვნების ზრდა ინფორმაციის დოკუმენტურ წყარო-
ებზე და სახალხო მეურნეობის ისეთი დარვების არსებობა, რომე-
ლთაც არ გააჩნიათ სპეციალური ბიბლიოთეკები და საინფორმა-
ციონ სამსახურები.

ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის შექმნამ, ნაწილობრივ
შეძლო მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნების დაქმაყოფილე-
ბა, მაგრამ ყველა ბიბლიოთეკა ქრისტიანულ პირობებში არა; მაგალი-

თად დიდ ქალაქებში, გარდა ცსს-ისა, ბევრია სხვა სისტემების უფლებულებების ბიბლიოთეკები, საშუალო და პატარა ქალაქებში კი ცსს-თან ერთად მცირე რაოდენობით არის სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკები. ჩვენში, ყველაზე მრავალრიცხვანია ცსს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ზონაშია და იქ თითქმის სრულებით არაა სხვა ბიბლიოთეკები; ცხადია, რომ ასეთ პირობებში საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა და მისი კოორდინაცია გართულებულია, და ამიტომ აქ მცველობა იზრდება ბიბლიოთეკათშორისი (ბშა) აბონემენტის ფუნქციები.

დღებულებით, რომელშიც განსაზღვრულია მკითხველთა უფლებები, ინფორმაციის მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკის საცნობო-საინფორმაციო მომსახურებით.

დიფერენციულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებას (განსაკუთრებით ინდივიდუალურს) ახასიათებს დიდი შრომატევადობა, რაც არ აძლევს საშუალებას ბიბლიოთეკას, რომ მომსახურების ეს სახე გამოიყენოს ინფორმაციის უველა მომხმარებელზე. ეს ეხება ყველა ტიპის ბიბლიოთეკას და ამიტომ დიფერენციული ბიბლიოგრაფიული ინფორმარების ამ სახეს იყენებენ, როგორც აბონენტთა ქალკეული კატეგორიების პრიორიტეტული მომსახურების ფორმას. ასეთი აბონენტების შემადგენლობა და რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რომელ უწყებას ეკუთვნის ბიბლიოთეკა, რა ამოცანები დგას მის წინაშე, როგორია მისი შტატის შემადგენლობა და საინფორმაციო რესურსები.

ამრიგად, ბიბლიოგრაფიული ინფორმირების ორგანიზაციის დროს, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს აბონენტთა შემადგენლობა (გამომგონებლები, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ჯგუფი, მხარეთმცოდნები, უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი პედაგოგები, პარლამენტის დეპუტატები და ა. შ.).

აბონენტთა შემადგენლობის განსაზღვრა ხელს უწყობს მათი საინფორმაციო მოთხოვნათა შესწავლას. უნივერსალურ ბიბლიოთეკებში ეს სამუშაო გაძნელებულია, რადგან უშუალო კონტაქტები ბიბლიოგრაფს მხოლოდ რამდენიმე აბონენტთან აქვს. რაც შეეხება კოლექტიურ აბონენტებს, ისინი ხშირად ისე შორს არიან ტერიტორიულად ბიბლიოთეკიდან, რომ ბიბლიოთეკები ხშირად იძულებული არიან თვითონ განსაზღვრონ მათი საინფორმაციო მოთხოვნები.



სპეციალურ ბიბლიოთეკებში კი აბონენტთა მოთხოვნეულებებისა, წავლა მნიშვნელოვნად არის გადავილებული. მას ატარებს საინფორმაციო სამსახური, ბიბლიოთეკართა ქტიური ხელისშეწყვიბით. მეთოდები, რომელსაც იყენებს ბიბლიოთეკა დახასიათებულია მოკლედ პირველ თავში (იხ. გვ. 8), თუ მათი გამოყენება შეუძლებელია, მაშინ მიმართავენ უფრო მარტივ საშუალებას — თვით ინფორმაციის მომხმარებელი განსაზღვრავს მისთვის საინტერესო თემებს. ამისათვის მას ეგზავნება შემდეგი სახის სპეციალური „გამოკითხვის ფურცელი“ ბ-ნო (ან პატივცემული)... თუ თქვენ გსურთ, რომ რეგულარულად მიიღოთ ინფორმაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შესახებ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, შეავსეთ ეს გამოკითხვის ფურცელი“ (აბონენტმა უნდა დაწეროს გვარი, სახელი, მამის სახელი, სამსახურის აღგილი, თანამდებობა, ტელეფონი... ან მისამართი), რომელი საკითხები აინტერესებს მას (მკაფიოდ განსაზღვრული), რომელ ენებზე, რომელი სპეციალური ფურნალებით სურს სარგებლობა სისტემატურად, თარიღი და ხელისმოწერა. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ამ ფურცელს დაემატოს სხვა შეკითხვები. მთავარია თემის მკაფიოდ განსაზღვრა, რადგან ამის გარეშე შეიძლება ბიბლიოთეკამ მკითხველს მიაწოდოს ზედმეტი ან შეზღუდული (ვიწრო) ინფორმაცია, რაც არაა სასურველი. ერთი იწვევს ინფორმაციის სიჭარბეს, ხოლო მეორე — უკარგავს მკითხველს საჭირო მასალას. ორივე ერთად კი მკითხველში იწვევს უარყოფით რეაქციას და ის კარგავს ნდობას ბიბლიოთეკის საინფორმაციო სამსახურისაღმი.

მიმდინარე ბიბლიოგრაფიული ინფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია ინდივიდუალური და ჯგუფური აბონენტების განსაზღვრა და მათი საინფორმაციო მოთხოვნათა შესწავლა. ამ ეტაპზე დგება აგრეთვე „გამოკითხვის ფურცლების“ და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ბარათების ორი კომპლექტი. ერთი საჭიროა ინდივიდუალური და (ან) ჯგუფური აბონენტების რეგისტრაციისათვის, ხოლო მეორე — მათი თემებისათვის („გამოკითხვის ფურცლების“ საფუძველზე). ბარათის პირველ გვერდზე მითითებულია ცნობები „გამოკითხვის ფურცლებიდან“, ხოლო მეორე გვერდზე კეთდება გაგზავნილი ინფორმაციის აღრიცხვა.

მიმდინარე ინფორმირებაზე მუშაობა იწყება ახლად მიღებული



მასალების რეგულარული გადასინჯვით. ამას აკეთებენ ბიბლიოგრაფიული კარები, რომლებზეც მიმაგრებული არიან კონკრეტული აბონენტები.

ცს-ში ბიბლიოგრაფიულ ინფორმირებას აწარმოებენ სამკითხველო დარბაზისა და აბონემენტის ბიბლიოთეკარები. საერთო ხელმძღვანელობა ეყისრება ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფის. სასურველია, რომ ამ ბიბლიოთეკებში კოლექტიური აბონენტების მომსახურება დაევალოს ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას, ხოლო ინდივიდუალურის — სამკითხველო დარბაზს და აბონემენტს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მკითხველთან,

მოვალეობის განაწილება სპეციალურ ბიბლიოთეკებში დამოკიდებულია როგორც ბიბლიოთეკის სტრუქტურაზე, ასევე იმაზე, არის თუ არა მასში ინფორმაციის განყოფილება. ხშირად სპეციალურ ბიბლიოთეკებში, ბიბლიოგრაფები თვითონ ატარებენ ინდივიდუალური და ჯგუფური აბონენტების მომსახურებას.

ბიბლიოთეკებში ინდივიდუალური და ჯგუფური აბონენტების ბიბლიოგრაფიული ინფორმირების ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ბიბლიოთეკების საინფორმაციო ბაზა შეტაც შეზღუდულია (ეს განსაკუთრებით ქხება უნივერსალურ ბიბლიოთეკებს). ამ სამუშაოს შრომატევადობა, მცირე შტატები, მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნების სუსტი ცოდნა იწვევს იმას, რომ ახლად შემოსული ლიტერატურიდან მხოლოდ წიგნების გადასინჯვა ხდება, უფრო იშვიათად — უურნალების და გრძელდებადი გამოცემების, მაშინ როდესაც ბიბლიოგრაფიული ინფორმირების სისრულისათვის საჭიროა მიმღინარე ბიბლიოგრაფიული წყაროების, რეფერატული უურნალების და წიგნის პალატის მატიანებების გადასინჯვა. ბუნებრივია, რომ აუცილებელია ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის სისრულესთან ერთად მისი რელევანტურობა. ამიტომ ბიბლიოგრაფი კარგად უნდა ერკვეოდეს შესატყვის პრობლემებში და ტერმინოლოგიაში.

ბიბლიოთეკა მათვეის შერჩეული ლიტერატურის შესახებ აბონენტთა ინფორმირებას ახდენს კონკრეტული პირობების შესატყვისად, ჩვეულებრივ აგზავნის წერილობით შეტყობინებას სპეციალურ ბლანკზე, თუმცა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევენ ბარათებზე ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მიწოდებას, რადგან ეს საშუალებას აღლეს აბონენტს, შეაღინოს პირადი კარტოთეკა მისთვის საინტერესო თემაზე. ზოგ ბიბლიოთეკაში შერჩე-

ული მასალების კარტოთეკა იდება მუყაოშე დაწებებულ ჭყაფებული შემცველება
ში, რომელსაც აბონენტის გვარი აწერია. ეს გულისხმობს, რომ
მკითხველი სისტემატურად უნდა დადიოდეს ბიბლიოთეკაში. ოუ
ბიბლიოთეკის აბონენტთა რიცხვი მცირეა, მაშინ შეტყობინება
ზეპირად ხდება, ტელეფონის საშუალებით ან აბონენტის ბიბლი-
ოთეკაში მისვლისას. ამას ის უპირატესობა აქვს, რომ შეტყობინე-
ბა უფრო ოპერატორულია და ბიბლიოგრაფს საშუალება ეძლევა
ასეთი კონტაქტის დროს გაარვეოს აბონენტის დამოკიდებულება
შერჩეული მისალისადმი.

ზემოთ ნათქვაში ეხება აგრეთვე ჯგუფურ აბონენტსაც, რაღაც
ინფორმაციის მიღება აქ დავალებული აქვს ერთ პიროვნებას, რო-
მელიც პასუხისმგებელია მასზე, იგი თავის კოლექტივს ინფორმა-
ციას აცნობს და აწარჩონებს თემატურ კარტოთეკას. უნივერსალუ-
რი ბიბლიოთეკები ფართოდ იყენებენ ლიტერატურის. სიებით შე-
ტყობინებას. ის ეგზავნება აბონენტს, როგორც ბიბლიოთეკაში ახ-
ლად შემოსული ლიტერატურის სია და მოიცავს საკითხთა ფართო
წრეს; განკუთვნილს ერთი პროფესიის მქონე საწარმოს სპეცია-
ლისტთავის. ზოგიერთი ბიბლიოთეკა სიებს ადგენს სხვა ბიბლიო-
თეკასთან ერთად (კოოპერირებით).

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრები ანალოგი-
ურად ახდენენ თემატური სიებით მომსახურების ორგანიზაციის. თე-
მატური სიების გაგზავნით ინფორმირებასაც უნდა ჰქონდეს რე-
ზულარული და ოპერატორული ხასიათი. უნივერსალურ ბიბლიო-
თეკაში დასაშვებია საინფორმაციო ინტერვალი — ერთი თვე,
დღიდან ლიტერატურის შესვლისა ბიბლიოთეკის ფონდში და მის
ბიბლიოგრაფიულ სიაში შეტანაშედე. ხშირად ეს ინტერვალი სამ
თვემდე გრძელდება, რაც პოლიგრაფიული ბაზის სისუსტეს მოწ-
მობს.

ბიბლიოგრაფიული სიებით ინფორმირების გარდა, სპეციალურ
ბიბლიოთეკებში იყენებენ ინდიელუალური და ჯგუფური ინფორ-
მირების სხვა ხერხებსაც. ასე, მაგალითად ახლად შემოსული ლი-
ტერატურის გასაცნობად გამოყოფილია კარაღა, სადაც ცალკე
„ბუდე“ აქვს მიჩნეული თითოეულ აბონენტს, მოთხოვნების მი-
ხედვით შერჩეულ ლიტერატურას ათავსებენ მასში იმ მიზნით, რომ
მკითხველი გაეცნოს მას და მოითხოვოს ბიბლიოთეკიდან მისთვის
საჭირო გამოცემა.

დიფერენციული ბიბლიოგრაფიული ინფორმირების ნაკლებად ასეთი
რომ არაა უკუკავშირი აბონენტთან. როდესაც ატყობინებენ აბო-
ნენტს მის მიერ მოთხოვნილი თემის მიხედვით, ფონდში ღირებულების
მიღების შესახებ, ბიბლიოთეკის მუშაյმა ხშირად არც კი
იცის, რამდენად პასუხობს ეს მასალა აბონენტის საინფორმაციო
მოთხოვნას... ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზოგიერთი ბიბ-
ლიოთეკა წლის ბოლოს მიმართავს აბონენტებს, რომ მიაწოდონ
მათ ცნობები ბიბლიოთეკას, საინფორმაციო მომსახურების ხარი-
სხის შესახებ. სპეციალურ ბიბლიოთეკებს აქვთ შედარებით რეგუ-
ლარული კონტაქტი მკითხველთან, რაც მათ აძლევს საშუალებას
თვალყური აღევნონ რას ითხოვენ ისინი, ინფორმაციის მიღების
შემდეგ, ბიბლიოთეკიდან. ინფორმაციის შერჩევითი გავრცელება
განსხვავდება ტრადიციული ფორმებისაგან იმით, რომ საშუალე-
ბას იძლევა თვალყური აღევნონ მკითხველის რეაქციას საინფორ-
მაციო შეტყობინებაზე, ეს ითვლება მკითხველთა დიფერენციული
მომსახურების პროგრესულ ფორმად. ეს სისტემა ჩამოყალიბდა და
გავრცელდა ინფორმაციის ორგანოებში, მაგრამ მას საფუძვლად
უღევს ბიბლიოთეკაში გამოყენებული ინდივიდუალური და ჯგუ-
ფური ინფორმაციის ტრადიციული პრაქტიკა.

ინფორმაციის შერჩევითი გავრცელების სისტემა უნდა პასუ-
ხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: აბონენტზე მიწოდებული ბიბლიო-
გრაფიული ინფორმაციის მაქსიმალური სისრულე, მასალის შინა-
არსის გახსნა მოქლედ, რეფერატის (ანოტაციის) და (ან) ძირითადი
სიტყვების შერჩევით, ინფორმაციის მიწოდების ოპერატულობა და
რეგულარობა, მუდმივი უკუკავშირი აბონენტთან, ბიბლიოგრაფი-
ული ინფორმაციის სისრულის მოთხოვნა, განსაკუთრებით ამ რე-
ჟიტში ჩართული მეცნიერ-მუშაქთა მომსახურებისას, აბონენტთა
უზრუნველყოფა პირველადი დოკუმენტებით ან მათი ასლებით,
მათზე მოთხოვნის მიღების შემთხვევაში. ბიბლიოთეკაში შემოსუ-
ლი პირველადი დოკუმენტების შერჩევასა და მათი ინფორმაციის
შერჩევითი რეემის სისტემაში ჩართვის გარდა, სისრულის გარა-
ტიის მიზნით ხდება მიმდინარე ბიბლიოგრაფიული წყაროების შე-
მოწმება, სადაც შეიძლება იყოს ცნობები იმ პირველად დოკუმენ-
ტებზე, რომლებსაც არ იძეს ბიბლიოთეკა, მაგრამ შეესატყვისება
აბონენტის საინფორმაციო მოთხოვნებს. ჩვეულებრივ ამ მიზნით

იყენებენ ინფორმაციის ორგანოების რეფერატულ უფრნავულ წყაროებს.

ქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სწრაფვა მაქსიმალური სისრულისაკენ არა გამართლებული, რადგან მეცნიერი თვითონ ამოწმებს პერიოდულ გამოცემებს და სხვადასხვა წყაროებს მისთვის საინტერესო საკითხზე მასალის მოსაპოვებლად. ამიტომ ზედმეტი მუშაობა, რომ არ გასწიოს, ბიბლიოთეკარს უნდა ჰქონდეს ცნობები მეცნიერების მიერ ამ წყაროების გამოყენების შესახებ და აღარ მოახდენს მასალის დუბლირებას.

სისტემაში შესატანი მასალის შინაარსის გახსნას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რადგან რეფერატი, ანოტაცია ან ძირითადი სიტყვების ნუსხა საშუალებას აძლევს აბონენტს გამოიტანოს დასკვნა, რამდენად საჭიროა ინფორმაცია მისთვის. მეორე მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამუშაო მოითხოვს შტატში სპეციალისტების ყოფნას ამა თუ იმ დარგში.

აბონენტთა ინფორმაციული ინტერესების შესწევლას შეტ მოთხოვნებს უყენებს ინფორმაციის შერჩევითი გავრცელების რეეიმი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მან გამოიწვიოს უნდობლობა სისტემის მიმართ, რაც აეტორიტეტს უკარგავს ბიბლიოთეკას, როგორც საინფორმაციო სამსახურს. რადგან სისტემის მომსახურება მეტად შრომატევადი პროცესია, მისი დანერგვა თანამედროვე პირობებში არ ხერხდება ყველა ბიბლიოთეკაში.

მასობრივი ბიბლიოგრაფიული ინფორმირება ბიბლიოგრაფიული ინფორმირების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ევალება ნეიტრალური ფართო წრეების ხელის შეწყობა ბიბლიოთეკის ფონდში შესული ლიტერატურის შესახებ.

მასობრივი ბიბლიოგრაფიული მომსახურების გავრცელებული ფორმა — საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა, რომლებშიც ცნობები ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული ლიტერატურის შესახებ განსაზღვრული წენით ლაგდება (უფრო ხშირად სისტემატურად). ჩვეულებრივ, ამ ბიულეტენებში ათავსებენ ინფორმაციას მხოლოდ წიგნებზე, მაგრამ ბევრი სპეციალური ბიბლიოთეკა ათავსებს ცნობებს სხვადასხვა დოკუმენტების შესახებაც, ზოგიც მიუთითებს წიგნის შიფრს და საკლასიფიკაციო სქემის ინდექსს, რაც აკდემიულებს მეცნიერების მოთხოვნით მის მოძებნას. ბიულეტენებისადმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მათი ოპერატი-



ულად გამოცემა, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საინფორმაციული ციონ ინტერვალი წიგნის ბიბლიოთეკაში შესვლიდან ბიულეტენის გამოცემამდე. ოპტიმალურ ვარიანტად არის მიჩნეული ერთი თვე.

დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში შესული ლიტერატურის სიმრავლე, აძნელებს ბიულეტენების დროულად გამოცემას და მიზომ ზოგიერთი ბიბლიოთეკა უპირატესობას ანიჭებს ახალ ლიტერატურაზე დარგობრივი ან თემატური სიების გამოცემას.

საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა აუცილებელია ცსს-ის ცენტრალური ბიბლიოთეკებისათვის. აღწერილობის დაერთვის სიგლი (კ. ი. მითითებულია სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების ნომრები, რომელთაც მიიღეს ეს წიგნი). ბიულეტენის გამოცემა დაკავშირებულია ბიბლიოთეკების მატერიალურ შესაძლებლობებთან, გასამრავლებელი ტექნიკის უქონლობის შემთხვევაში, შეიძლება მისი გამრავლება ხელით საბეჭდ მანქანაზეც და ვრცელდება მხოლოდ ცენტრალიზებულ სისტემაში, ამის მიხედვით განისაზღვრება პერიოდულობაც.

ბიულეტენის საშუალებით ინფორმირებას ახდენენ სპეციალური ბიბლიოთეკებიც, როგორიცაა უმაღლესი სკოლის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სხვა ბიბლიოთეკები, რომელთაც აქვთ თავისი პოლიგრაფიული ბაზა. ბიულეტენის გავრცელების საკითხს განვეხს ბიბლიოთეკა.

მცირე ბიბლიოთეკებში ახლად შემოსული ლიტერატურის სიებს ბეჭდავენ მანქანაზე და აქრავენ თვალსაჩინო ადგილზე, წიგნების გაცემის მაგიდასთან, ხშირად სიების მაგიერ აქეთებენ კარტოთეკას. ყველა შემთხვევაში ინფორმირებას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, განსაზღვრული პერიოდულობით, რაც ცნობილი უნდა იყოს ბიბლიოთეკის მეთხველთათვის.

ახლად შემოსული ლიტერატურის ინფორმირებისათვის ბიბლიოთეკები იყენებენ აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ბეჭდავენ სიებს და ლიტერატურის მიმოხილვებს, ან აწესებენ სისტემატურ რუბრიკას „წიგნის თარო“, „ახალი წიგნები“ და ა. შ. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემები. ასევე ეფექტურად შეიძლება ინფორმაციის გავრცელებისათვის ტელეფონის გამოყენებაც.



ახლად შემოსული ლიტერატურის გასაცნობად ბიბლიოთეკის მუნიციპალიტეტის აწყობენ „ინფორმაციის დღეს“, „სპეციალისტის დღეს“.

„ინფორმაციის დღე“ არის კომპლექსური ღონისძიება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ახლად შემოსული ლიტერატურის შესახებ. ამ დღის ჩატარების პერიოდულობა დამოკიდებულია შემოსული ლიტერატურის რაოდენობაზე. ჩვეულებრივ იგი ოვეში ერთხელ ტარდება.

„ინფორმაციის დღის“ ჩატარებას ბიბლიოთეკა წინასწარ განსაზღვრავს, რომელიც ცნობილია მკითხველებისათვის.

„ინფორმაციის დღე“ ტარდება ძირითადად სამკითხველო დარბაზში, სადაც ეწყობა ახლად შემოსული ლიტერატურის გამოფენა, გამოქრულია ბიბლიოგრაფიული სიები და ტარდება ბიბლიოგრაფიული მიმონილვა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლის მიერ.

„ინფორმაციის დღის“ დროს მკითხველი უშუალოდ ეცნობა ახალ წიგნს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაიტანოს წიგნი ბიბლიოთეკიდან.

„სპეციალისტის დღე“ აგრეთვე არის მომსახურების კომპლექსური ფორმა, იგი განსხვავდება ინფორმაციის დღისაგან იმით, რომ აյ ინფორმირება ხდება დარგობრივი ლიტერატურის შესახებ და ის განკუთვნილია ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებისათვის (სოფლის მეურნეობის, მედიცინის, ტექნიკის და სხვ.). ლიტერატურის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ დარგის სპეციალისტი. სასურველია პერიოდულობა განისაზღვროს ექვს თვეში ერთხელ.

ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის წარმატებით განვითარება, მათ შორის სპეციალისტების ბიბლიოგრაფიული ინფორმირება, შეუძლებელია სხვა უწყებათა ბიბლიოთეკებთან და საინფორმაციო სამსახურებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების, ამ მუშაობის კოორდინირების გარეშე.

ბიბლიოთეკების ურთიერთკავშირის დამყარების ინიციატივას ჩვეულებრივ კულტურის სამინისტროს უნივერსალური ბიბლიოთეკები იჩენენ ამ მხრივ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რაც გამოიხატა უწყებრივ კარჩაკეტილობაში და ზოგიერთი ბიბლიოთეკის მუშავთა ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაში, ეს დიდი ერთვნული საქმეა, ხელს უწყობს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო-ბიბლი-



ოგრაფიული და საინფორმაციო სამსახურის სრულყოფას, მთხვეობის
ხლეობის სულიერ გაჯანსაღებას, იგი არის რესპუბლიკის ტექნიკუ-
რი პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების გარანტია.

თ ა ვ ი IV

გიბლიოგრაფიულის ორგანიზაცია და მეთოდიკა (გიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შეღწევის მეთოდიკა)

გ 1. ზოგადი საპითხები

ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ძირითადი ამოცანაა არსებულ
ლიტერატურაზე მცითხველთა ინფორმირება. ბიბლიოგრაფიული
ინფორმაცია მოიცავს ცნობებს დოკუმენტის (ბეჭდური ნაწარმო-
ების) შესახებ, მისი ძირითადი ელემენტია ბიბლიოგრაფიული შე-
ტყობინება. მასში გარკვეული წესების (ბიბლიოგრაფიული აღწე-
რის) მიხედვით მოცემულია ცნობები დოკუმენტის შესახებ. დო-
კუმენტური სახით ფაქტირებულ ბიბლიოგრაფიულ შეტყობინებას
ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ეწოდება, რომელიც ბიბლიოგრა-
ფიული აღწერილობის, ახოტაციის, საკლასიფიკაციი ინდექსის,
საგნობრივი რუბრიკებისა და სხვა ლექტერებისაგან შედგება.

ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ხორციელდება ბიბლიოგრა-
ფიული მაჩვენებლის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ბიბ-
ლიოგრაფიული ჩანაწერების ერთობლიობას, მოწესრიგებულს გარ-
კვეული გამის მიხედვით. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების
გარდა იყენებენ ბიბლიოგრაფიულ სიებს, რომელთაც ახასიათებს
მარტივი წყობა.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი წარმოადგენს როლი სტრუქ-
ტურის ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოს, რომელშიც შედის
მრავალი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, გაერთიანებული ერ-
თიანი საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით. მას დაერთვის დამხმარე
საძიებლები, ქვეს წინასიტყვაობა, სარჩევი და ა. შ.

ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა-
ზე მუშაობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მისი მეთოდიკა გან-

პირობებულია მრავალი ფაქტორით: ბიბლიოგრაფიულებული (პალიო-ცხული) დოკუმენტების შინაარსით, მკითხველური და მიზნობრივი დანიშნულებით.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: მოსამზადებელი, ძირითადი (ანალიტიკური, სინთეტიკური) და დასკვნითი.

§ 2. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს შემდეგ პროცესებს: 1. თემის შერჩევა და მისი შესწავლა. 2. მაჩვენებლის გეგმის (პროსპექტის) დამუშავება (შედგენა). 3. ლიტერატურის გამოვლენა (ძიება).

თემა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოების საჭიროებით, წარმოადგენდეს მისთვის გარკვეულ ინტერესს, პასუხობდეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების ამოცანებს. თემის შერჩევის დროს აუცილებელია რაიონის ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობების გათვალისწინება. შემდგენელი კარგიდ უნდა ერკვეოდეს თემის პრობლემებში. ამისათვის კი საჭიროა თემის ირგვლივ პრესებული სამეცნიერო და საცნობო ლიტერატურის შესწავლა, რომ არ გამორჩეს შემდგენელს საკითხის არც ერთი ასპექტი და არ იყოს დაშვებული ხარვეზები და შეცდომები. საჭიროა იმის გათვალისწინებაც თუ რამდენადა თემა აღჭურვილი ბიბლიოგრაფიული ლიტერატურით და რამდენად მიზანშეწონილია ახალი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენა, რომ ღუბლირება და პარალელიზმი გამოიჩინოს.

თემის შესწავლის შემდეგ იწყება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის გეგმის (პროსპექტის) შედგენა, რაც მუშაობის რეგლამენტირებას ახდენს.

პროსპექტში, ჩვეულებრივ, დასაბუთებულია თემის არჩევის მიზეზები, ახსნილია მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გარკვეულია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის მიზნობრივი და მკითხველური დანიშნულება, განსაზღვრულია ლიტერატურის შერჩევის პრინციპები.

პროსპექტში აღნიშნულია აგრეთვე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ქრონოლოგიური ფარგლები, რომელი წლების მასალა შე-

ვა მაჩვენებელში: პირველი პუბლიკაციიდან, თუ მხოლოდ შემდგომია ათი წლისა და ა. შ. მაგალითიდ, „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“ იწყება 1629 წლით — პირველი ქართული წიგნის გამოცემიდან. „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ — 1819 წლით — პირველი ქართული გაზეთის გამოსვლიდან და ა. შ. საერთოდ, ლიტერატურის აღრიცხვის ფარგლები მკაფიოდ გამოიხატება სამეცნიერო-დამსახურებაზე და სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიულ წყაროებში, ნაკლებად ჩანს ის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სარეკომენდაციო გამოცემებში ძირითადად შეტანილია ბოლო ათი წლის ლიტერატურა, ზოგჯერ მეტი წლებისაც. სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში ქრონოლოგიური ფარგლები არაა მკაფიოდ გამოხატული, აյ მთავარია სრულფასოვანი მასალის ასახვა.

პროსპექტში მითითებულია თუ რა სახის ლიტერატურა შევა მაჩვენებელში (წიგნები, სტატიები, უურნალები, გაზეთები და ა. შ.). შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ საყურნალო სტატიები. ბოლო წლებში, საგაზეთო მასალების მნიშვნელობის გაზრდასთან დაკავშირებით, როგორც წესი, აისახება აგრეთვე გაზეთების სტატიებიც. პროსპექტში მითითებულია თუ რომელ ენაზე აისახება ლიტერატურა მაჩვენებელში.

პროსპექტში მოცემულია აგრეთვე სია, იმ გადასასინჯი წყაროებისა, რომლის მიხედვით ვარსულობენ ლიტერატურის გამოვლენას. ასეთია: ბიბლიოთეკის კატალოგები, ცნობარები, ენციკლოპედიები, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები. ხშირ შემთხვევაში საჭიროა პერიოდული გამოცემების (უურნალებისა და გაზეთების) მთლიანი გადასინჯვა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ გამოცემების ანალიტიკური აღწერილობა არ არსებობს. მაგალითად, როგორიც არის ქართული უურნალების 1911—1920 წწ. მასალა. ამ შემთხვევაში დგება გადასასინჯი პერიოდული /გამოცემების სია.

პროსპექტი ითვალისწინებს აგრეთვე ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის სტრუქტურასაც — მასალის დაჯგუფებას (სისტემატური, ქრონოლოგიური, თემატური, ანბანური). მოყვანილია საკლასიფიკაციო ცხრილი, რომლის საფუძველზე ხდება ლიტერატურის დაჯგუფება ბიბლიოგრაფიულ წყაროში.

პროსპექტში აღინიშნება მასალის დახასიათების ხერხები: ბიბ-



ლიოგრაფიული აღწერილობა, ანოტაცია, რეფერატი ჭავჭავაძეს
მითითებულია, თუ რა სახის დამსმარე საძიებლები დასკვირდება
მაჩვენებელს: სახელთა (თითქმის ყველა ბიბლიოგრაფიულ მაჩვე-
ნებელს ერთვის), გეოგრაფიული, საგნოპრივი, ქრონილოგიური და
სხვა.

პროსპექტში განსაზღვრულია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის
მოცულობა, შედგენის ვადა, შემდგენლები, რედაქტორები. პროს-
პექტი განხილვის შემდეგ მტკიცდება ბიბლიოთეკის საბჭოზე და
ღებულობს ოფიციალური დოკუმენტის სახეს.

ამრიგად, პროსპექტში ძირითადად აისახება: 1. თემის აქტუ-
ალობის დასაბუთება; 2. მაჩვენებლის მიზნობრივი და ჩეითხველუ-
რი დანიშნულება; 3. მაჩვენებლის აღვილი ამ დარგის სხვა ბიბლი-
ოგრაფიული წყაროების სისტემაში; 4. მასალის გამოვლენის წყა-
როები; 5. მასალის შერჩევის ზოგადი პრინციპები (შინაარსობრი-
ვი, ფორმალური, ხარისხობრივი); 6. მაჩვენებლის სტრუქტურა; 7.
ანოტირების დამახასიათებელი თავისებურებანი; 8. საცნობო
პარატი;

სწორად და დეტალურად დამუშავებული პროსპექტი ბიბლიო-
გრაფიულ მაჩვენებლის შედგენაზე მუშაობის კვალიფიციური ორ-
განიზაციისა და ერთსახოვანი მეთოდიების საწინდარია. გეგმის მნი-
შვენელობა განსაკუთრებით ისტორია, როდესაც ბიბლიოგრაფიულ
მაჩვენებელზე ავტორთა კოლექტივი მუშაობს.

მოსამზადებელი ეტაპის შემდეგი პროცესია ლიტერატურის
გამოვლენა (მიება), რაც პროსპექტში ფიქსირებული გრძასასინჯი
წყაროების მიხედვით ხორციელდება. ამ პროცესის მთავარი ამო-
ცანაა მასალის შეგროვება შესაძლებელი მაქსიმალური სიზუსტით.
ლიტერატურის გამოვლენის მეთოდიკა გულისხმობს წყაროების
სწორ დადგენასა და მისი გამოყენების ზუსტი ხერხების განზოგა-
დებას.

წყაროები იყოფა ორ ჯგუფად: მეორადი ანუ ბიბლიოგრაფი-
ული (მიმდინარე, რეტროსპექტული, უნივერსალური, დაზობრი-
ვი მაჩვენებლები, მძოხილვები, წიგნის შიდა ბიბლიოგრაფიული
სიები, კატალოგები, კარტოგრაფები) და პირველადი ანუ ლიტერა-
ტურული (პერიოდული გამოცემები, დოკუმენტების კრებულები,
ცნობარები, თხზულებათა კრებულები, ქრესტომათიები).

წყაროები არის აგრეთვე ძირითადი და დამატებითი. ეს პირო-



ბითი დაყოფაა. ძიების დროს შეიძლება შეიცვალოს მათი აღმართული ძირითადი წყაროები გადაისინჯება მაქსიმალური სიზუსტით, და მატებითი შერჩევით.

ძირითადი წყაროა ის პერიოდული გამოცემები, რომლის ანალიტიკური აღწერილობა არა გაკეთებული. ამ შემთხვევაში მათი მთლიანი გადასინჯვა ლიტერატურის ძიების ერთადერთი წყაროა.

ადრე გამოცემული რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი დამატებით წყაროდ ითვლება, რადგანაც მასში აღრიცხული მასალა უკვე „შერჩეული“ იქნა, შერჩევის პრინციპები კი იცვლება. შერჩევის აღრინდელი პრინციპები შეიძლება მოძველდეს მეცნიერულად და პოლიტიკურად.

ახალი პრობლემების შესახებ არსებული ლიტერატურის გამოსავალენად იყენებენ „თოვლის გუნდის“ მეთოდს, მისი არსი შემდევშია: საჭირო საკითხებზე იღებენ ახალ პუბლიკაციას (მაგალითად, სტატიას სამეცნიერო უზრნალიდან). სტატიიდან ამონიშერენ ცნობებს ამავე თემის სხვა სტატიებზე, შემდეგ ხდება ამ სტატიების გადასინჯვა; ბიბლიოგრაფი აქვთანაც აკეთებს ამონაშერებს (მითითებებს) სხვა სტატიებზე და ა. შ., ვიდრე მითითებანი განმეორდება.

ბიბლიოგრაფიული წყაროები გადაისინჯება, როგორც მთლიანად, ისე შერჩევითაც. შერჩევით ისინჯება ის წყაროები, რომლებშიც მასალა განლაგებულია სისტემატურად (მაგალითად, „მატიანები“). ამ შემთხვევაში გადაისინჯება ის განყოფილებები, რომლებიც თემას შეეხება ან ახლოსაა მის შინაარსთან.

ბიბლიოგრაფი აღრიცხავს (აღწერს) გამოვლენილი ლიტერატურის თითოეულ სახელშოდებას, ადგენს ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას, რომელიც სრულდება ცალკე ბარათზე (ფურცელზე). ამ პირველად ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას ეძლევა „პირველადი“ (შავი) რიგითი ნომერი. ამ ბარათებისაგან ბიბლიოგრაფი ადგენს სამუშაო კარტოთეკს, რომელშიც ასახულია ლიტერატურა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის თემაზე.

ბიბლიოგრაფი ქმნის კიდევ ერთ სამუშაო კარტოთეკას, რომელშიც ისახება გადასინჯული ბიბლიოგრაფიული და ლიტერატურული წყაროები (ძირითადი და ზამატებელი). მუშაობის დასრულებისას ეს კარტოთეკა „გადასინჯული ბიბლიოგრაფიული წყარო-



ების სიის“ საფუძველია, რომელიც დაურთვის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელს. დგება აგრეთვე გადასინჯული პერიოდული შემსტუკებელი მების სია.

§ 8. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ზედგენის ძირითადი ეტაპი

ძირითად ეტაპში, შედის ანალიტიკური და სინთეტიკური ქვე-ეტაპები.

ანალიტიკური ქვეეტაპის ძირითადი ამოცანაა გამოვლენილი ლიტერატურის საბოლოო ანალიზი. იგი შედგება შემდეგი პროცე-სებისაგან: ლიტერატურის (დოკუმენტების) ზოგადი ბიბლიოგრა-ფიული ანალიზი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საბოლოო შედგენა, ანოტირება, რუბრიკაცია (ან ინდექსაცია), ბიბლიოგრა-ფიული ჩანაწერის საბოლოო გაფორმება.

ზოგადი ბიბლიოგრაფიული ანალიზის დროს ბიბლიოგრაფი ეცნობა ევტორის შეხედულებების, დოკუმენტის შინაარსსა და ფორმას, მის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას, სტრუქ-ტურას, ჟანრს, მხატვრულ და პოლიგრაფიულ გაფორმებას. ად-გენს, თუ რამდენად შეიფერება გამოვლენილი ლიტერატურა ბიბ-ლიოგრაფიული მაჩვენებლის თემას, მის მიზნობრივ და მკითხვე-ლურ დანიშნულებას. ბიბლიოგრაფიული წყაროების მიხედვით მოძებნილი ლიტერატურა ისინჭება „დე ვიზუ“ (ხილვით). დოკუ-მენტი, რომელიც აღწერილია პერიოდული გამოცემების უშუალო გადასინჯვით, არ მოითხოვს დამატებით შემოწმებას (ანალიზს), მა-შინვე იწერება ანოტაცია, რუბრიკა.

დოკუმენტის ზოგადი ბიბლიოგრაფიული ანალიზი ხორციელ-დება დოკუმენტის უშუალო შესწავლით და მისი შინაარსისა და ევტორის შესახებ დამატებითი მასალების წაყითხვით.

დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ანალიზის ორგანიზაციის დროს ხდება თავფურცლის, სარჩევის, წინასიტყვაობის, შენიშვნების თან-მიმდევრული შესწავლა და საჭირო შემთხვევაში ტექსტის შერჩე-ვითი წაყითხვა.

დოკუმენტის ოპერატიული და ღრმად ჩატარებული ბიბლიო-გრაფიული ანალიზი მეტყველებს ბიბლიოგრაფის პროფესიულ უნარზე.

ბიბლიოგრაფიული ანალიზის ძირითადი მიზანია ნიადაგის ეჭვიშემოვა
ზადება იმისათვის, რომ შემდგენელმა შეძლოს ბიბლიოგრაფიული
აღწერილობის, ანოტაციისა და რუბრიკის დაწერა.

ანალიტიკურ ქვეტაზე ხდება ბიბლიოგრაფიული აღწერილო-
ბების დაზუსტება, რადგან მათი უმრავლესობა, მოსამზადებელი
მტაპის დროს გადმოწერილია ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან.
შეცდომების აცილების მიზნით, შემდგენელი ამოწმებს ბიბლიო-
გრაფიულ აღწერილობას უშუალოდ ბეჭდურ ნაწარმოებთან შედა-
რებით.

ამრიგად, ანალიტიკურ ქვეტაზე ხდება ბიბლიოგრაფიული
აღწერილობის საბოლოო შედეგისა. ბიბლიოგრაფიულ აღწერილო-
ბაში დოკუმენტის შესახებ მოცემული ინფორმაცია ხშირად შეიძ-
ლება არ იყოს საქმარისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მკი-
თხველს სჭირდება დამატებითი ცნობები ავტორის, თემის, უანრის,
დანიშნულებისა და სხვათა შესახებ. ამ ამოცანას ანოტაცია ასრუ-
ლებს.

ანოტაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შენიშვნას. ანოტა-
ციაში მოცემულია ბეჭდურ ნაწარმოებთა მოკლე დახსიათება და-
ნიშნულების, შინაარსის, ფორმისა და სხვა თავისებურებათა მი-
ხედვით.

ანოტაციების კლასიფიკაცია ხდება ორი ძირითადი ნიშნის —
ფუნქციონალური დანიშნულებისა და დახსიათების ხერხის მი-
ხედვით.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით არჩევენ საცნობო
და სარეკომენდაციო ანოტაციებს.

საცნობო ანოტაცია აზუსტებს გაურკვეველ სათაურს, მოიცავს
დამატებით ცხობებს ნაწარმოების ავტორის, ფორმის, უანრის და
სხვათა შესახებ. საცნობო ანოტაციები მეტად მოკლეა, ისინი აზუს-
ტებენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ზოგიერთ ელემენტებს,
მათში არა ნაწარმოების შეფასება, რეკომენდაცია. საცნობო ანო-
ტაციებს ძირითადად იყენებენ სარეგისტრაციო, სამეცნიერო-დამ-
ხმარე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში.

სარეკომენდაციო ანოტაციაში მოცემულია ბეჭდურ ნაწარმო-
ებთა დახსიათება და შეფასება. ამ ანოტაციაში გათვალისწინებუ-
ლია მკითხველთა მოთხოვნები, ინტერესები, მომზადების დონე,
ასაკი და სხვა. სარეკომენდაციო ანოტაცია ითვალისწინებს იმ მკი-



თხველთა ჯუფის თავისებურებას, რომლისთვისაც განკუზვნისათვის
სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. სარეკომენდა-
ციო ანოტაციის ამოცანაა საუკეთესო, ახალი წიგნის რეკომენდა-
ცია მკითხველისადმი. ანოტაციის მიზანია, დააინტერესოს მკითხ-
ველი, ყურადღება მისაცევინოს წიგნზე, გავლენა მოახდინოს მკი-
თხველზე წიგნის გონივრული და ემოციური აოვისების თვალსაზ-
რისით.

წიგნის შეფასებისათვის ბიბლიოგრაფი იყენებს კრიტიკულ
სტატიებს, რეცენზიებს, მაგრამ ამასთან ერთად, დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს თვით ბიბლიოგრაფის შეხედულებებს, განათლებას და ერუ-
დიციას.

სარეკომენდაციო ანოტაცია მოცულობით უფრო ვრცელია.
სარეკომენდაციო ანოტაციები გავრცელებულია ოვითგანათლების
დასახმარებლად გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში.

ბეჭდურ ნაწარმოებთა დახასიათების ხერხის მიხედვით არსე-
ბობს: ზოგადი, ანალიტიკური და ჯუფური ანოტაციები.

ზოგადი ანოტაცია ნაწარმოებს ახასიათებს მთლიანად, მას იყე-
ნებენ მაშინ, როდესაც ნაწარმოები თავისი შინაარსით მთლიანად
ეხება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის თემას.

ზოგადი ანოტაცია მოიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს ავტორის
შესახებ, როდის და რა პირობებში შეიქმნა ნაწარმოები და ა. შ.
ზოგად ანოტაციაში მთავარია. ნაწარმოების შინაარსის ისეთი განს-
ნა, რომ მისი კავშირი მაჩვენებლის თემისთან ნათლად ჩანდეს.

ანალიტიკურ ანოტაციაში გახსნილია ნაწარმოებების შინაარსის
გარკვეული ნაწილი, მას იყენებენ ამ შემთხვევაში, როდესაც ნა-
წარმოები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ბიბლიოგრაფიული მაჩვე-
ნებლის თემას. ანალიტიკური ანოტაციის ორი სისტემა გარკვეულებუ-
ლი: ერთია, რომელშიც გარკვეული ასევეტითაა დახასიათებული
ნაწარმოები, და მეორეა, როცა იღებულია ნაწარმოების მხოლოდ
ნაწილი (თავი, პარაგრაფი, ცალკეული გამოთქმა).

ჯუფური ანოტაცია ერთიანებს შინაარსის (ან სხვა საერთო
ნიშნის მიხედვით) რამდენიმე მსგავს ნაწარმოებს. ანოტაციაში მო-
ცემულია მათი განხოგადებული, შეგამებული დახასიათებული

გარკვეული ანოტაცია შეიძლება შეეხებოდეს ერთ ან რამდენიმე
ავტორის რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებს (წიგნს, სტატიას), ან
ერთ გამოცემაში (თემატურ კრებულში) გაერთიანებულ ნაწარმო-
ნაწილი (თავი, პარაგრაფი, ცალკეული გამოთქმა).

ებს. შემთხვევაში, ანოტაციაში მოცემულია კრებულის შემადგენლობა, დასახელიბულია მასში მოთავსებული თხზულებანი. ზოგჯერ ჯგუფური ანოტაცია ეხება ერთ ნაწარმოებს, ხოლო ანოტაციის ტექსტში მოყვანილია ცნობები სხვა ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც რამდენადმე დაკავშირებულია ანოტაციებულ ნაწარმოებთან.

კლასიფიკაციის ორივე ნიშანი, როგორც ფუნქციონალური, ისე დახსასიათების ხერხის მიხედვით, შეიძლება შერწყმული იყოს ერთსა და მაგვე ანოტაციაში.

ანოტაციების კლასიფიკაცია შეიძლება წარმოვადგინოთ ტაბულის სახითაც:

	ზოგადი	ანალიტიკური	ჯგუფური
საცნობო	1	2	3'
სარეკომენდაციო	4	5	6

ანოტაციის ტიპი, რომელიც ტაბულაში ციფრითაა აღნიშნული, დგინდება ანოტაციის ნიშნების ფაზაკეთის გზით: 1. საცნობო / ზოგადი; 3. საცნობო / ჯგუფური; 5. სარეკომენდაციო / ანალიტიკური და ა. შ.

მოვიყვანთ ანოტაციის რამდენიმე მაგალითს:

საცნობო / ზოგადი

გოზალიშვილი შ. ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები. თბ., საბჭ. საქართველო, 1973. 103 გვ.

წიგნი ეხება ილია ჭავჭავაძის და მისი საზღვარგარეთელი მეგობრების გერმანელი (არტურ ლაისტი, პუგო შუხჰარდტი), ინგლისელი (უ. ჩ. მორფილი, მარჯორი უორდროპი, ე. კაზალეტი), ფრანგი (ჟაკ ბერტილონი, ბარონ დე ბაი) და იტალიელი (გულიელმო პასილი და ე. მადალენა) მოწინავე მოღვაწეების საზოგადოებრივი, მეცნიერული და ლიტერატურული ურთიერთობის ზოგიერთ ეპიზოდს.

(ილია ჭავჭავაძე, ლიტ. სარეკომ. საბ. — თბ., 1987, გვ. 123—124) //
ცანავა ა. იუმორი ნოდარ დუმბაძის აღრინდელ რომანებში //
მნათობი. 1982. № 10. გვ. 119—124.

წერილის ავტორი განიხილავს რა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებს
ცალ-ცალჭე აღნიშნავს, რომ ყველა მის რომანში იუმორი დიდი
ტაქტითა და ზომიერების დაცვითაა გამოყენებული.

საცნობო / ანალიტიკური

რადიანი შ. ქართული მწერლობის ათი წელი // მნათობი. —
1931. — № 1—2. — გვ. 217—233; № 3. — გვ. 178—213.

ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით განხილულია
მ. ჯავახიშვილის შემოქმედება და კრებული „არიფონი“.

(მიხეილ ჯავახიშვილი: ბიბლ. მაჩ. — თბ., 1989, გვ. 105).

ხუციშვილი მ. ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმანის
პრობლემები. თბ.: მეცნიერება, 1989. — 125 გვ.

ნაშრომში (გვ. 22—84) განხილულია ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-
ფშაველას, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის პასტერნაკისე-
ული თარგმანები.

(ბორის პასტერნაკი და საქართველო: ლიტ. სარეკომ. საბ.-თბ.,
1989, გვ. 13).

სარეკომენდაციო / ზოგადი

ღვინჯილია ჭ. გზა სინათლისაკენ // განთიადი. — 1982. — № 4.
გვ. 108—127.

დიდი ტრადიციებისა და მდიდარი სალაროს მქონე მწერალი
ნოდარ დუმბაძე ქართულ პროზაში მანამდე უცნობი და განუმე-
ორებელი სამყაროთი მოვიდა. წერილის ავტორი საინტერესოდ
განიხილავს მწერლის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ ნოდარ
დუმბაძისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იუმორს. —
„ეს გახლდათ მისთვის ყველაზე დიდი იარაღი ამ ქვეყანაზე. ამ
იარაღით ამარცხებდა იგი ტკივილის მარწუხებს, უბედურებას,
თვით სიკვდილსაც კი“.

ანოტაციები მეტად მრავალფეროვანია. ბიბლიოგრაფმა ყოველ
კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ უნდა გადაწყვიტოს რომელი

ანოტაცია უფრო შევფერება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შემსრულებლას, ნაარსს, ანოტირებულ ნაწარმოებთა მნიშვნელობას.

ანოტირების შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ მეთოდური წესების ცოდნით. წესების ცოდნა მხოლოდ აუცილებელი დასაწყისია. ანოტირება კი შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ბიბლიოგრაფისაგან საერთო განათლებას, პროფესიულ ცოდნას, ურუდიციას, გამოცდილებას, გარევაზე ლიტერატურულ ნიჭის მოითხოვს.

ანოტაცია უნდა იყოს ლავონიური და გამსროტული ენით დაწერილი. მასში არ უნდა მეორდებოდეს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მონაცემები. ანოტაციაში არ არის დაშვებული შინაარსის მოყოლა.

ანოტაციის შედეგნის დროს ბიბლიოგრაფი იყენებს თავფურცელს, სარჩევს, წინასიტყვაობას, შენიშვნებს, გარეშე წყაროებს (კრიტიკულ სტატიებს, ცნობარებს). საჭირო შემთხვევაში შერჩევით კითხულობს ანოტირებული ნაწარმოების ტექსტს („ბიბლიოგრაფიული გადათვალიერების შეთოდით“).

მტრივად, ანალიტიკური ქვეეტაპის შედეგად ვღებულობთ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, რომელიც ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა და ანოტაციისაგან შედგება.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სწორად უნდა იყოს გაფორმებული. პირველყოველისა დაცული უნდა იყოს აღწერილობის წესები, დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყველა ელემენტი (ბიბლიოგრაფიული აღწერა, ანოტაცია, რუბრიკა) თავსდება ახალი სტრიქონიდან, მათ შორის ინტერვალის დაცვით.

სინთეტიკური ქვეეტაპი მოიცავს ლიტერატურის შერჩევას და დაჯგუფებას (ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების განლაგებას).

ბიბლიოგრაფიული შერჩევა ეწოდება ბიბლიოგრაფირებული დოკუმენტების შერჩევას განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

შერჩევის პროცესი იწყება ლიტერატურის „დე ვიზუ“ გადასინჯვის დროს. მასალის შერჩევა დამახასიათებელია ყველა სახის მაჩვენებლებისათვის (სამეცნიერო-დამსარე, სახელმწიფო, სარეკომენდაციო).

დოკუმენტების შერჩევა შეიძლება იყოს: შემზღვდელი (მხრავი ნაარსობრივი, ფორმალური), და თვისობრივი.

შინაარსობრივი შერჩევის დროს გამოირიცხება ის ჩანაწერები, რომლებიც არ პასუხობს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის თემას. ამგვარ შერჩევას ერთგვარი უპირატესობა ეძლევა, მაგრამ არ გამოირიცხება შერჩევის ფორმალური ნიშნებიც: პუბლიკაციის სახე, ადგილი, ქრონოლოგიური ფარგლები, ენა. მაგალითად, „წიგნის მატიანეში“ დოკუმენტების შერჩევა ხდება მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხედვით: წიგნები (სახე), საქართველო (ადგილი), ყოველთვიური (დრო), რუსული, აფხაზური, ოსური, უკრაინური (ენა).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვისობრივ შერჩევას, რომელშიც ადგილი აქვს ბიბლიოგრაფიის შემფასებლურ ფუნქციას. ეს ფუნქცია სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიაში უფრო მკეთრადაა გამოხატული. თვისობრივი შერჩევის დროს გამოირიცხება მასალა, რომელიც არ შეეფერება მაჩვენებლის მიზნობრივ და მყითხველურ დანიშნულებას არ აქმაყოფილებს მყითხველის მოთხოვნებს, მის ინტერესებს, დონეს. თვისობრივ შერჩევას იყენებენ აგრეთვე სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებშიც. არაა მიზანშეწონილი მასში სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პოპულარული შრომების შეტანა.

ფორმალური, შინაარსობრივი და თვისობრივი შერჩევა ურთიერთყავშირშია. ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკაში ერთი კრიტერიუმი შეთავსებულია დანარჩენებთან.

სინთეტიკური ქვეეტაპის შემდეგი პროცესია ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების დაჯგუფება, რომელიც აწესრიგებს შერჩეულ ლიტერატურას, ამყარებს კავშირს ბეჭდურ ნაწარმოებთა შორის, უადვილებს მყითხველს კონკრეტულ საკითხებზე მასალის ძიებას.

ცნობილია მასალის განლაგება: ფორმალური და შინაარსობრივი.

ფორმალური დაჯგუფება ხელს უწყობს კონკრეტული დოკუმენტების ძიებას მათი გარეგნული ნიშნების საფუძველზე. ფორმალურ დაჯგუფებას იყენებენ ავტორთა გვარებისა და სათაურების ანბანის, გამოცემის წელის, ადგილის, სახის, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიხედვით. ფორმალური განლაგების დროს სრულებით არ ღებულობენ მხედველობაში დოკუმენტის შინაარსს.

მთელ რიგ შემთხვევაში ფორმალური განლაგება შეიცავს ში-

ნაარსობრივ ინფორმაციას. მაგალითად, „ქართული წიგნის შეხვეძეების ოგრაფიის“ პირველი ტომის ქრონოლოგიური განლაგება ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართული წიგნის ბეჭდვის ჩამოყალიბების ისტორიაზე.

მასალის შინაარსობრივი განლაგება აერთიანებს ნაწარმოებებს საერთო თემატიკის, შინაარსის მიხედვით. ის სამი სახისაა: სისტემატური, თემატური და საგნობრივი.

სისტემატური განლაგების დროს იყენებენ საკლასიფიკაციო ცხრილებს (უდკ-ს, წიგნის პალატის, ბბკ-ს). სხვადასხვა მაჩვენებლებში, რომლებიც აგებულია ერთი საკლასიფიკაციო ცხრილის მიხედვით, მასლის დაჯგუფება იდენტურია (განყოფილებების დასახელება, თანმიმდევრობა და ა. შ.), მას ახასიათებს მტკიცე სტრუქტურა. მაგალითად, წიგნის პალატის უმოცემებში — „მატიანე ებში“.

თემატური დაჯგუფების დროს მასალა გაერთიანებულია მნიშვნელოვანი თემების (საკითხების) ირგვლივ. თემატური განლაგება არ არის მყარი, მისი შინაგანი სტრუქტურა უფრო თავისიუფალია, განყოფილებების რიცხვი, თანმიმდევრობა, ფორმულირება ერთ თემაზე შედგენილ სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში არაა ერთიანი. თემატური დაჯგუფება გავრცელებულია სარეკომენდაციო სახელმწყვანელოებში.

საგნობრივი დაჯგუფება აერთიანებს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს მსგავსი თემატივის რუბრიკებში, რომელთა განლაგება ანბანის რიგზე ხდება, ფართო შინაარსის რუბრიკის ფარგლებში გამოიყოფა ქვერუბრიკები. საგნობრივი დაჯგუფება შეითხველს ვიწრო საკითხებზე აწვდის ინფორმაციას. საგნობრივ დაჯგუფებას იშვიათად იყენებენ პუმანიტარული პროფილის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შიდა სტრუქტურაში გვხვდება მარტივი და რთული დაჯგუფებანი.

მარტივი დაჯგუფების დროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები განლაგებულია ერთი გარეკვეული თანმიმდევრობით, ის არ ნაწილდება განყოფილებებში და ქვეგანყოფილებებში. მასალის მარტივ განლაგებას იყენებენ მოკლე სიტყვი, მიმოხილვებში, სამახსოვროებში და ა. შ., საღაც მცირე რაოდენობის ჩანაწერებია.

რთული დაჯგუფება მოიცავს განყოფილებებს, ქვეგანყოფილე-

ბებს, რუბრიკებს, ქვერუბრიკებს, ყოველი მათგანის ფარგლებშიც
ჩანაწერები მოცემულია ანბანურად, ქრონოლოგიურად და ა. შ.
რთული სტრუქტურა გვაქვს, მაგალითად, „გაზეთის სტატიების
მატიანეში“. რთული სტრუქტურა ხელს უწყობს მაჩვენებელში
ასახული ლიტერატურის შინაარსის მრავალმხრივ გახსნას.

§ 4. ბიბლიოგრაფიული მაჩვენეალის ზედგენის დასკვნითი ეთაპი

ბიბლიოგრაფირების დასკვნითი ეტაპი მოიცავს ბიბლიოგრაფი-
ული მაჩვენებლის საცნობო აპარატის მომზადებას, რედაქტირებას
და გაფორმებას.

საცნობო აპარატში შედის: დამსმარე საძიებლები, წინასიტყვა-
ობა, შესავალი წერილი, დამატებანი, სარჩევი.

დამხმარე საძიებლები. ყოველი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებე-
ლი შედგება ძირითადი ნაწილისაგან (ბეჭდურ ნაწარმოებთა აღწე-
რილობების ნუსხა — ძირითადი ტექსტი) და დამატებითი (დამსმა-
რე საძიებლები).

რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს მაჩვენებელში მასალის დაჭ-
გუფება, ის ვერ უზრუნველყოფს პასუხს მკითხველის ყვე-
ლა შეკითხვაზე. ნებისმიერი ჩანაწერების განლაგებას შეიძ-
ლება ჰქონდეს ხარვეზები, რომელთა გადალაზვა დამხმარე
საძიებლების მეშვეობით ხდება. დამსმარე საძიებელი არის ბიბ-
ლიოგრაფიული მაჩვენებლის შემაღვენელი ნაწილი, რომელშიც
ძირითადი ნაწილისაგან (ტექსტი) განსხვავებით, ცალკეული ცნო-
ბები ბეჭდურ ნაწარმოებთა შესახებ სხვა ასპექტითაა ასახული.
დამხმარე საძიებელი წარმოადგენს საერთო ნიშნით გაერთიანებულ
ცნებების (პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელები, საგნობრივი
რუბრიკები, წლები, სერიები და სხვა) ნუსხას, რომლებიც ანბანუ-
რადაა განლაგებული. დამსმარე საძიებლის ყოველი რუბრიკიდან
კეთდება მითითება ბიბლიოგრაფიულ-ჩანაწერის რიგით ნომერზე.

დამხმარე საძიებლების სახეები მრავალია. მათი შერჩევა დამო-
კიდებულია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ძირითად ნაწილში!

1 „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ პირველ ტომს დასჭირდა საგნობრივი
საძიებელი, მეორე და მესამე ტომს კი ქრონოლოგიური.

შასალის დაჯგუფებით, მისი მიზნობრივი და მკითხველური დანიშნულებით. გავრცელებულია შემდეგი სახის დამხმარე საძიებლები: სახელთა, გეოგრაფიული, საგნობრივი, ქრონოლოგიური, ენების, სერიების.

ყველაზე გავრცელებულია სახელთა დამხმარე საძიებელი, მასში ჩამოთვლილია იმ ბეჭედურ ნაწარმოებთა ავტორები, რედაქტორები, შემდგენლები, მხატვრები, მთარგმნელები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში. სახელთა საძიებელში აისახება აგრეთვე იმ პიროვნებათა გვარები, რომელთაც ეძღვნება ნაწარმოებები — პერსონალია (მასზე). პერსონალიაში შევა როგორც სათაურში ასევე ანოტაციაში მოხსენებული სახელები.

წიგნის პალატის ეამოცემებში („მატიანეებში“) რიგითი ნომერი, რომელიც მიგვითითებს პერსონალიაზე ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში. მაგ., რუსთაველი შ. (15). ზოგ წყაროებში გვარს დართული აქვს შენიშვნა „მასზე“. ანალოგიურად (რედ.), (მხატვ.), (მთარგ.), (შემდგ.), — რედაქტორი, მხატვარი, მთარგმნელი, შემდგენელი, რომლების გვარებიც შეტანილია სახელთა საძიებელში. მაგ.: რუსთაველი შ. (მასზე) 15.

ავტორების და სხვათა სახელები ჩამოთვლილია ანბანის რიგზე.

გეოგრაფიულ საძიებელში ანბანის რიგზე ჩამოთვლილია შაჩვენებლის ძირითად ნაწილში (ტექსტში) მოხსენებული გეოგრაფიული სახელები (საქართველო, მცხეთა, მტკვარი, ბაზალეთის ტბა და სხვა).

საგნობრივ საძიებელში აბნაბურ რიგზე მოცემულია საგნობრივი რუბრიკები. აქ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები შინაარსის მიხედვითაა განაწილებული. საგნობრივი რუბრიკების შედეგენისას ითვალისწინებენ იმ თემებს და პრობლემებს, რომლებიც გაშუქებულია ბიბლიოგრაფიულ დოკუმენტებში. ეს ნაწარმოებებისა და საკითხების კარგ ცოდნას მოითხოვს. საგნობრივი საძიებლის მსხვილ რუბრიკებში გამოიყოფა უფრო ვიწრო (ცერძო) ქვერუბრიკები. იყენებენ აგრეთვე ინკერსიას.

ხშირად აღვენენ ქრონოლოგიურ („ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“, ტტ. 2, 3; ა. აბრამიშვილის „გრუზინსკაია პერიოდიკა“),

ენების („კნიუნაია ლეტოპის“), გმოცემის ადგილის („წიგნის ძატიანე“, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (ვ. ბაქრაძე-ქართული პერიოდული; „პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების მატიანე“), სერიების („ქართული წიგნი“. ტ. 2, 3; „კნიუნაია ლეტოპის“) საძიებლებს.

დამხმარე საძიებლების შეღუნის ტექნიკა შემდეგია: ულდას-მით ისინჯება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ძირითადი ტექსტი და მოიწერება შესატყვისი ცნობები (გვარები, გეოგრაფიული სახელები და სხვა). ყოველი ცნება იწერება ცალკე ბარათზე (ფურცელზე), ჩანაწერის რიგითი ნომრის მითითებით. შემდეგ ხდება ბარათების აწყობა ანბანურად — ერთნაირი ცნებები ერთიანდება ერთ ბარათზე, ყველა ნომრის აღნიშვნით. ბოლოს გადაიწერება ფურცელზე ერთ ან ორ სვეტად.

წინასიტყვაობით იხსნება ნებისმიერი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.

წინასიტყვაობაში მოცემულია ცნობები მაჩვენებლის თემის, მიზნობრივი და მკითხველური დანიშნულების, ძირითადი ამოცანების, მეთოდური ხერხებისა და ქრონოლოგიური ფარგლების შესახებ. შეკუმშული სახით გადმოცემულია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის პროსპექტი (გეგმა).

შესავალი სტატია წამდლეარებული აქვს დიდ რეტროსპექტულ სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს. მასში მოცემულია მაჩვენებელში ასახული ლიტერატურის მიმოხილვა. შესავალი სტატიის დაწერა მოითხოვს მაჩვენებლის თემის ღრმა ცოდნას, მას წერს დარგის სპეციალისტი. შესავალი წერილი აქვს „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ პირველ ტომს, წელიწადეულს. „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია“, ქართველ მეცნიერების ბიობიბლიოგრაფიულ სერიას“ და სხვა.

დამატებანში შედის გადასინჯული წყაროების სია, რომელიც ქმნის ნათელ სურათს ჩატარებული ბიბლიოგრაფიული მუშაობის რეალური საფუძვლების შესახებ. სიაში დასახელებული უნდა იყოს ყველა გადასინჯული წყარო (ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები, კატალოგები, მაჩვენებლები, ცნობარები, პერიოდული გამოცემები), მიუხედავად იმისა აღმოჩენილი იყო თუ არა მასში



მასალა. ეს ანთავისუფლებს მკითხველს და ბიბლიოგრაფს შემცირებულ
ში წყაროების განმეორებითი გადასინჯვისაგან.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ძირითადი ნაწილები და საც-
ნობო აპარატის ელემენტები ასახულია „სარჩევში“, რომელიც
ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის დასაწყისში ან ბოლოში თავს-
დება.

ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელზე მუშაობა მთავრდება რედაქ-
ტირებით. არჩევენ სამეცნიერო, ლიტერატურულ და ბიბლიოგრა-
ფიულ რედაქტორებას.

სამეცნიერო რედაქტორება ევალება კვალიფიციურ ბიბლიო-
გრაფს (დახელოვნებულს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის თემატი-
კაში) ან დარგის სპეციალისტს. სამეცნიერო რედაქტორის ამოცა-
ნებში შედის: ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ტექსტისა და პროს-
პექტის შესატყვისობის დადგენა, ლიტერატურის შერჩევის, დაჭ-
გუფების, ანოტაციებისა და საცნობო აპარატის შეცნიერული ანა-
ლიზი. სამეცნიერო რედაქტორისა და შემდგენლის თანამშრომლო-
ბა მაჩვენებლის შედგენის ყველა ეტაპზე ერძელდება.

ლიტერატურული რედაქტორება გულისხმობს მაჩვენებლის
ტექსტის მრავალგზის და გულდასმით წაკითხვას, მისი მიზანია აღ-
მოფხვრას სტილისტური შეცდომები, სიტყვების ზედმეტი განმე-
ორება, არაზუსტი და არასწორი გმოთქმები. განსაკუთრებული
ყურადღება ექცევა წინასიტყვითობას, შესავალ წერილს, ანოტაცი-
ების ენას, განყოფილებების სახელწოდების ფორმულირებას.

ბიბლიოგრაფიულ რედაქტორების ამოცანაა, რომ მაჩვენებლის
ჩანაწერებში დაცული იყოს მოქმედი სახელმწიფო სტანდარტი
„ბეჭდურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგე-
ნის შესების“ შესახებ. რედაქტორების დროს მოწმდება ჩანაწერე-
ბის თანმიმდევრობა, დანომვრის სისწორე, ძირითადი ტექსტის მა-
სალის სრული ასახვა დამხმარე საძიებლებში. ბიბლიოგრაფიული
რედაქტორების როლი იზრდება მაჩვენებლის დასაბეჭდად მომზა-
დების დროს, განსაკუთრებით იშ შემთხვევაში, როდესაც მისი
შემდგენელი დარგის სპეციალისტია და ბიბლიოგრაფიული მომზა-
დება არა აქვს.



ნებისმიერი ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელო იხსნება შემდგენლის ფურცლით, რომელზეც მითითებულია ავტორის (შემდგენლის) გვარი ინიციალებით, სახელწოდება, ცნობები სათაურის შესახებ (ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, ლიტერატურის სია, სახელმწიფო მაჩვენებელი, „საუბრები წიგნის შესახებ“), ტომი (ნაწილი, ნაკვეთი), ბეჭდილობითი ცნობები (აღვილი, გამომცემლობა, წელი), ბიბლიოთეკა ან სხვა დაწესებულება, რომელმაც მოამზადა მაჩვენებლი. არ არის სწორი, როდესაც შემდგენლის გვარი აღნიშნულია თავფურცლის მეორე გვერდზე ან ბოლოში. ეს მეტყველებს ბიბლიოგრაფის შემოქმედებითი შრომის შეუფასებლობაზე.

თანამედროვე პირობებში გაიზარდა ოპერატული პოლიგრაფიისა და გასამრავლებელი ტექნიკის საშუალებით გამოცემული ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლთა რიცხვი. ოპერატული პოლიგრაფია მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო ციკლს, ხელს უწყობს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ოპერატულობას. მაგრამ ამავე დროს ძალაან იზრდება მასალის რედაქტირების როლი. რედაქტორის მიერ დაშვებული შეცდომები ვერ გასწორდება წარმოების შემდეგ ეტაპებზე, რაღაც ამითხვინალის ამოკითხვა წარმოადგენს რედაქტირების ბოლო ეტაპს. ამ ქერთით ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ბეჭდვას არა აქვთ კორექტურა, სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა ხელნაწერის რედაქტირებას.

დოკუმენტების ნიაღვრის განცხრელმა ზრდამ, მკითხველთა მოცხვნების სფეროს გაფართოებამ და სირთულემ დასვა სპეციალისტი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების ოპერატიული გამოცემისა და მათზე მატერიალური ხარჯების შემცირებაზე. ამ საყითხის ერთერთი გადაწყვეტის გზაა ავტომატიზაციის ხერხების გამოყენება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის დროს. საინფორმაციო-საძიებო ავტომატიზებულ სისტემა (АИПС) იძლევა დამუშავებული დოკუმენტის კომპიუტერში ერთჯერად შეყვანის და შემდეგ ამ დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის მრავალჯერადი მიღების საშუალებას. მანქანაში შეიძლება ბიბლიოგრაფირების თითქმის ყველა პროცესის შეყვანა. მანქანის ტექნოლოგია ბიბლიოგრაფ-შემდგენლისაგან მოითხოვს საინფორმაციო-საძიებო სისტემის ენის ცოდნას.

გიგლიოგრაფული კულტურის ცოდნის განვითარება და
 გიგლიოგრაფიული ცოდნის განვითარება
 გიგლიოგრაფიული ცოდნის განვითარება

§ 1. ზოგადი საკითხები

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გაფრცელება ბიბლიოთეკის მუშაობის ტრადიციული მძმართულებაა. მიუხედავად იმისა, რომ თეული წლების განმავლობაში მუშაობები ბიბლიოთეკები მკითხველებში ბიბლიოგრაფიული კულტურის ამაღლებაზე, სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ჩვენი მკითხველების ბიბლიოგრაფიული კულტურა. ასე, მაგ.: ირკვევა, რომ მე-19—10 კლასის მოსწავლეების 3,8% ახერხებს მხოლოდ კატალოგის და კარტოთეკის დახმარებით წიგნების შერჩევას. მხოლოდ გამოკითხულთა 23% ესმის, რა განსხვავებაა სისტემატურ და ანბანურ კატალოგებს შორის. სტუდენტთა ძალზე მცირე რიცხვი ერკვევა თავის დარგში არსებულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაში. თვით სპეციალისტებსაც კი, რომლებიც მუშაობენ ფართო საინფორმაციო სამსახურის მქონე დაწესებულებებში, მეტად დაბალი საინფორმაციო კულტურა გააჩნიათ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთათვის და სპეციალისტებისათვის ბეჭდური პროფესიისა და ღოყუმენტების ნაყადში ბიბლიოგრაფიული ორიენტაციის ჩვევების გამომუშავება მათი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ნაწილია. გამოკვლევები აღიასტურებენ, რომ არა მარტო მეცნიერები, არამედ ყველა მკითხველი — სპეციალისტი, რომელსაც აქვს ბიბლიოგრაფიული მომზადება, უფრო მკვეთრად აყალიბებს თავის ინფორმაციულ მოხსენებს, იყენებს ცნობარებს და ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, ადვილად ამყარებს კონტაქტს ბიბლიოგრაფიულთან.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გააზრებული და სერიოზული ბიბლიოგრაფიული მომზადება განპირობებულია თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებით.

ბიბლიოთეკის მუშაობაში ბიბლიოგრაფიული კულტურის ფორმირებასა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდაზე დღევან-

დელ პირობებში, შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი მძიმე უფლებები: დაქმარება პროფესიულ საქმიანობაში, სწავლების პროცესსა და ზოგად თვითგანათლებაში.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციის და მკითხველთა ბიბლიოგრაფიული სწავლების ძირითადი მიზანია ინფორმაციული რესურსების ეფექტური გამოყენებისადმი ხელის შეწყობა, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

მისათვის კი აუცილებელია: ინფორმაციის მომხმარებელთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოება, იმ ბიბლიოგრაფიული წყაროების ცოდნა, რომელიც აუცილებელია მკითხველისათვის, ბიბლიოგრაფიული ძიების და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომზადების ელემენტარული ჩვევების გამომუშავება, რომ მკითხველმა შეძლოს გარკვევა ბიბლიოგრაფიული მომსახურების სტრუქტურასა და შინაარსში.

პროექტი, რომელსაც ადგენს ბიბლიოთეკა მკითხველთა ბიბლიოგრაფიული სწავლებისათვის, მოიცავს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო ქსელის, მისი ბიბლიოგრაფიული პროდუქციის და პიბლიოგრაფიული წყაროების ძიების შეთოდის გაცნობას. მკითხველი უნდა ფლობდეს ბიბლიოგრაფიული მეთოდით.

ამრიგად ბიბლიოგრაფიული ცოდნის პრინციპია ბიბლიოთეკების საინფორმაციო სამსახურისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახეა, მისი ომოცანა ცოდნის გავრცელება ბიბლიოგრაფიული წყაროების გამოყენების მეთოდების შესახებ, მათი აქტიური გამოყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებია: ცენტრალიზაცია, კოორდინაცია და კონკრიტება. ცენტრალიზაცია უწყებრივად ხორციელდება და ეს იმაში ვლინდება, რომ მთელი მუშაობა ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელებაზე ბიბლიოთეკებს — სამეცნიერო მეთოდურ ცენტრებს ეკისრება. ისინი ადგვნენ პროგრამებს, სანიმუშო დებულებებს და მეთოდურ რეკომენდაციებს. ასე, მაგალითად, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის ამ სამუშაოს პრიულებს საქართველოს საბავშვო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. ი. ჯავახიშვილის სახელ-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა — აკადემიურა დღესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა — რესპუბლიკის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო ქსელისათვის, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა — აკადემიის სისტემაში შემავალი სამეცნიერო-დარგობრივი ბიბლიოთეკებისათვის და ა. შ.

მკითხველთა ბიბლიოგრაფიული სწავლების კოორდინირება და კოოპირირება ხორციელდება რეგიონალურად. მასთანავე აუცილებლად ხდება თითოეული ბიბლიოთეკის აღგილის, მისი პროფილისა და მკითხველთა შემადგენლობის გათვალისწინება ამ ტერიტორიის საბიბლიოთეკო ქსელში.

ცსს ძირითად ყურადღებას უთმობენ პროპაგანდისტებს, ლექტორებს, მასწავლებლებს და ა. შ. — ყველას ვისაც ხელში მიღებული ცოდნისა და ჩვევების გადაცემა თავის მნიშვნელებსა და მოსწავლეებზე.

ახალგაზრდობის ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში. ძირითადი როლი ეკისრებათ სასწავლებლების ბიბლიოთეკებს.

დარგობრივი, სპეციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები თავიანთ მკითხველებში ბიბლიოგრაფიულ პროპაგანდას მათი პროფესიული მოთხოვნებისა და მომზადების დონის გათვალისწინებით ეწევიან.

თითოეულ ბიბლიოთეკაში მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში მონაწილეობს ყველა ის განყოფილება, რომელიც ახორციელებს ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას: აბონემენტი, სამკითხველო დაბბაზები. დიდ უნივერსალურ ბიბლიოთეკებში — დარგობრივი განყოფილებები. ასე, მაგალითად, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში — მხარეთმცოდნეობის, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის განყოფილებები და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავარი როლი ექვთვნის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას, სადაც მკითხველების ბიბლიოგრაფიული სწავლების ყველა ფორმას უშუალოდ ხელმძღვანელობენ ამ განყოფილების თანამშრომელები. ისინი ახდენენ აგრეთვე ამ სამუშაოს დაგეგმვას, კოორდინაციას, აღრიცხვას და ანგარიშგებას მის შესახებ.

ამ ბიბლიოთეკებში, სადაც არაა ბიბლიოგრაფიული განყოფილება, ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელებას ხელმძღვანელობს



კვალიფიციური, ბიბლიოგრაფიული მუშაობის მცოდნე ბიბლიოგრაფიული კარი.

იმისათვის, რომ შედეგი პქონდეს ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელებას, აუცილებელია შემდეგი პირობები: 1) ბიბლიოგრაფიმა კარგად უნდა იცოდეს მკითხველთა ძირითადი ჯგუფების ინფორმაციული მოთხოვნილებები, ბიბლიოთეკაში უნდა იყოს შემუშავებული მათი შესწავლის სისტემა (იხ. თავი: ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომტმარებლები და მათი ინფორმაციული მოთხოვნები). 2) უნდა შეძლოს მკითხველთა დაინტერესება ბიბლიოგრაფიული ცოდნით (ინდივიდუალური საუბრით, თავზე მოხვევის გარეშე აჩვენოს მკითხველს, დამოუკიდებელი ბიბლიოგრაფიული ძიების სიკეთე, რომ ხელი შეუწყოს მისი შემეცნებითი ბიბლიოგრაფიული აქტივობის გაღვივებას. 3) ბიბლიოთეკაში კარგად ორგანიზებული საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. რაც უფრო ლოგიური და მკაფიო მისი სტრუქტურა, მით უფრო ალვილია მკითხველისათვის მისი გამოყენების ჩვევების დაუფლება. 4) ბიბლიოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაცია განუწყვეტლად უნდა ხდებოდეს, იმ მიზნით, რომ მკითხველმა ბიბლიოთეკაში მუშაობისას სისტემატურად სრულყოფს ფონდების, საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატისა და საინფორმაციო სამსახურის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი და ჩვევები. ამისათვის, გარდა სპეციალური ლონისძიებებისა, ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა უნდა ხდებოდეს მკითხველებთან ნებისმიერი კონტაქტის დროს: ბიბლიოთეკაში ჩაწერისას, მომსახურების პროცესში და სხვა.

ბიბლიოგრაფიული სწავლება მოითხოვს კომპლექსურ მიღვომას. ეს გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას ბიბლიოგრაფიული კულტურის ასამაღლებლად. ასე, მაგალითად, ბოლო წლებში ამ მიზნით ტარდება „ბიბლიოგრაფიის დღე“.

ბიბლიოგრაფიული სწავლების ეფექტურობის ამაღლებას ხელს უწყობს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება. მაგნიტურ ფირზე წერენ ლექციებს და კონსულტაციებს, მაჩვენებლების მიმოხილვებს და მათზე საუბრებს, რომელთა გამოყენება შეიძლება მკითხველებთან მუშაობის დროს. მაგნიტოფონთან ერთად იყენებენ ფრეთვე გრამფირფიტებს, სლაიდებს, დიაპოზიტივებს და სასწავლო ფილმებს.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელება ხდება როგორმაც ჩატარდება
ლიოთეკაში (სტაციონალურად) ასევე მის გარეთაც (გასვლით). ამ
დროს ბიბლიოგრაფიული სწავლების სხვადასხვა ფორმას იყენე-
ბენ: 1. ინფორმაციის გადაცემის და II. აუდიტორიის მოცვის მიზ-
ნით.

ინფორმაციის გადაცემის შემდეგი სახეებია: 1. თვალსაჩინო
(გამოფენები, პლაკატები, ალბომები, კედლის გაზეთები, ბაულე-
ტენები). 2. ჟეპირი (ექსკურსიები, კონსულტაციები, მიმოხილვე-
ბი, ლექციები, კონფერენციები, ზეპირი უზრნალები, გადვეთილე-
ბი, სემინარები, რალიოგადაცემა, მაგნიტური ჩანაწერი, გრამჩანა-
წერი). 3. ბეჭდური (გზამკვლევები, სამახსოვროები, კონსულტაცი-
ები, სასწავლო და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები, ინ-
ფორმაცია პერიოდულ პრესაში). 4. კომპლექსური ბიბლიოგრაფი-
ის დღეები (კვირეულები და ერთთვიურები), ბიბლიოგრაფიული
ცოდნის უნივერსიტეტი, ტელეგადაცემები, ტელეფონმები.

აუდიტორიის შემადგენლობის მიხედვით არის შემდეგი ფორ-
მები: 1. ინდივიდუალური (კონსულტაციები), 2. მასობრივი და
3. ჯგუფური.

§ 2. ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების მასობრივი ფორმები

ძირითადი მასობრივი ფორმაა: პლაკატები, გამოფენები, ბიბ-
ლიოგრაფიის დღეები, კვირეულები, სრულთვიურები, საყოველთაო
ბიბლიოგრაფიული სწავლება, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული
ცოდნის უნივერსიტეტები, ბიბლიოგრაფიული სწავლების ბეჭდუ-
რი საშუალებანი, მკითხველთა კონფერენციები.

პლაკატი — მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალებაა ბიბლი-
ოგრაფიული ცოდნის თვალსაჩინო სწავლებაში. პლაკატის დამა-
რებით, თუ ის მკითხველისათვის მისაწვდომ აღვილზეა გაკრული,
შეიძლება საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის, ბიბლიოგრაფი-
ული ძიების, საინფორმაციო მომსახურების და სხვა საშუალებათა
პროპაგანდა. საბიბლიოთეკო პლაკატები განსხვავდება თავისი და-
ნიშნულებით. პლაკატი — გზამკვლევი ცენობს ბიბლიოთეკის
სტრუქტურას, მიუთითებს იმ განყოფილებების აღვილსამყოფელ-
ზე რომლებიც მცითხველთა მომსახურებას ეწევიან (მათ შორის
ბიბლიოგრაფიულ ქვედანაყოფებზედაც). ეს პლაკატი ასახავს საც-



ნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის შემაღენლობას და მეცნიერებას ლენის განლაგების თანმიმდევრობას. პლაკატი — სქემა მყითხველს აწვდის ცნობებს სხვადასხვა კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ. ხოლო ბიბლიოთეკის საინფორმაციო სამსახურის გასაცნობად აფორმებენ ე. წ. პლაკატ-შეტყობინებას. მისი ასლები შეიძლება გაიგზავნოს წარმოება-დაწესებულებებში. პლაკატის გამოყენება ხდება აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ბეჭდურ ერთეულთა ერთიანი წესებით აღწერილობის ნიმუშების გასაცნობად. პლაკატი აწვდის ცნობებს მყითხველს ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ დარგში, ან თემაზე. არსებულ ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე.

ჩვეულებრივ პლაკატი შეიცავს ტექსტს და ილუსტრირებულ მასალას. ზოგიერთი პლაკატის (მაგ. „როგორ ვისარგებლოთ სისტემატური კატალოგით“ ან „როგორ ვისარგებლოთ ანბანური კატალოგით“) შეძენა შეიძლება საბიბლიოთეკო კოლექტორში, ხოლო სხვა სახის პლაკატებს ბიბლიოთეკები დამოუკიდებლად აფორმებენ თავისი საჭიროების მიხედვით.

გამოცემის მიზანით საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემებისადმი, აცნობს მყითხველს ახალ საინფორმაციო გამოცემებს ან აქტუალური თემატიკის მქონე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, გამოფენა შეიძლება იყოს მუდმივი (მასალის სისტემატური განახლებით. მაგ. „ახალი საცნობო-ბიბლიოგრაფიული გამოცემები“) ან დროებითი (მნიშვნელოვან მოვლენებსა და თარიღებთან დაკავშირებით). ეს გამოფენა შეიძლება მოეწყოს ცალკე ანდა წიგნების გამოფენასთან ერთად (ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკის ახალი წიგნების გამოფენაზე, გამოიყოფა ცალკე — „საინფორმაციო გამოცემები“).

გამოფენა შედევრიანია, თუ მასში კარგადაა შერჩეული საინფორმაციო გამოცემები. არ შეიძლება გამოფენის გადატვირთვა, რადგან გამოფენილი მასალის სიმრავლე ფანტაზის მყითხველის ყურადღებას და აძნელებს საჭირო გამოცემის მოქებნას სტენდზე. გამოფენის ეფექტურობას ხელს უწყობს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების დაჯგუფება მათი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით. გამოფენას და მის ცალკეულ ნაწილებს უნდა ჰქონდეს მკაფიო სახელწოდება ცნობარებს და ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს კი ანოტაციები, რომელიც მკითხველს ეხმარება გაარყვიოს მათი დანიშნულება და გამოყენების შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების მასობრივ ფარგლებში განეკუთვნება ბიბლიოგრაფიის დღე (კვირეული, დექადა, ერთოთი ური). ამ ღონისძიების ჩატარებისათვის საჭიროა გაეგმის შედეგენა, მოვალეობის განაწილება ბიბლიოთეკის სხვადასხვა განკოფილების თანამშრომლებზე, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ამ ფორმას ის უპირატესობა აქვს, რომ მოიცავს ფართო აუდიტორიას და შეიძლება მრავალფეროვანი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში. ასე, მაგალითად, „ბიბლიოგრაფიის დღის“ ჩატარებისას ერთმანეთს ერწმის ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების თვალსაჩინო და ბეჭდური ფორმები: მაჩვენებლების მიმოხილვა, მეთოდური საუბრები (როგორ ვადევნოთ თვალი ახალი ლიტერატურის გამოცემას“), ბიბლიოგრაფიის საფუძვლების შესწავლისადმი მიძღვნილი სემინარები, საინფორმაციო გამოცემათა გამოფენა და ა. შ.

ბიბლიოგრაფიული სწავლების საშუალებებში, შედარებით ახალი ფორმაა საყოველთაო საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიული სწავლება. ეს არის ბიბლიოგრაფიული ცოდნის დიფერენციული გავრცელება, რომელიც ითვალისწინებს მკითხველთა ასაკს, განათლების დონეს და პროფესიულ ინტერესებს. ზოგი ბიბლიოთეკა ამ ფორმას იყენებს ახალგაზრდობის სწავლებაში. ჩვეულებრივ მასში მონაწილეობენ ბიბლიოთეკები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანიზები, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება და სხვა. ამ ფორმის ჩასატარებლად საჭიროა სერიოზული მომზადება: უნდა მომზადდეს „დემოულება“ და გავრცელდეს ფართო ინფორმაცია ამ ღონისძიების ჩატარებაზე, შედეგს უწყებათშორისი საკოორდინაციო გეგმა ძომზადდეს მეთოდური მასალების კომპლექსი: სამახსოვროების სერია ინფორმაციული რესურსების შესახებ, რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისათვის, ბიბლიოგრაფიული სწავლების ყველაზე ეფექტური ფორმების გამოყენებისათვის (ასეთებია საბიბლიოთეკო — გაკვეთილები, საუბრები, კონსულტაციები და ა. შ.). საყოველთაო ბიბლიოგრაფიული სწავლებისათვის ჰქებირი ჟურნალის, ბიბლიოგრაფიული კიქტორინის, თემატურ საღამოების მოწყობა და სხვა.

მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს ბეჭდურ ნაწარმოებებს. მრავალფეროვან სახელმძღვანელო მასალას, რომელიც ბიბლიოგრაფიული ცოდნის პასულარიზაციას ეწევა, გამოსცემენ დიდი ბიბლიოთეკები. დანიშნული

ლების მიხედვით მათი დაყოფა ასე შეიძლება: 1) საცნობო-საჭრონო სულტაციო; 2) მეთოდური და 3) საინფორმაციო. აქედან პირველი მკითხველს აწელის ცნობებს ბიბლიოთეკის, მკითხველის უფლება-მოვალეობის, ბიბლიოთეკის საინფორმაციო მომსახურების, საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატისა და მისი გამოყენების შესახებ.

მეთოდური სახელმძღვანელოები განკუთვნილია როგორც ბიბლიოგრაფიული მეცადინეობისათვის, ასევე მკითხველთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

საინფორმაციო გამოცემებში შეიძლება გამოიყოს ცნობარი ბიბლიოთეკებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების შესახებ (მაგ. „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა“, „საქართველოს რესპუბლიკური წიგნის პალატა“ და სხვა).

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გაფრცელების მასობრივი ფორმებია აგრეთვე ალბომი, ქედლის გაზეთი, ბიულეტენი. ალბომები მეთოდური კონსულტაციების კომპლექსს წარმოადგენენ. შეიძლება გაფორმდეს ალბომი, რომელიც მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ძიების სხვადასხვა სახეებისადმია მიღლვნილი: ახალ ლიტერატურაზე თვალყურის დევნება, სხვადასხვა სიღრმის რეტროსპექტული ძიება, ფაქტოგრაფიული ინფორმაციის ძიება.

მკითხველთა კონფერენცია ყველაზე ეფექტური საშუალებაა მკითხველისა და ბიბლიოთეკის ურთიერთკავშირის განსახორციელებლად. კონფერენცია ეხმარება ბიბლიოთეკას ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო სამსახურის და რესურსების პოპულარიზაციასა და ანალიზიში, მკითხველთა ბიბლიოგრაფიული კულტურის შესწავლაში. მიზანშეწონილია ამ საქმეში მონაწილეობისათვის ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტ-პრაქტიკოსთა მიწვევა. მათ შეუძლიათ მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა როლი შეასრულა მათ პროფესიულ მოღვაწეობაში და თვითგანათლებაში ბიბლიოგრაფიამ. მეცნიერ-მუშავთათვის შეიძლება სპეციალური კონფერენციის ჩატარება თემაზე: „ბიბლიოგრაფიის როლი სამეცნიერო კვლევის დასახმარებლად“. უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები, რომლებიც ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობის ჩატარების — ატარებენ ყონფერენციებს თემაზე: — ბიბლიოგრაფიის ამოცანები ჩატარების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებში“, „ბიბლიოგრაფიის როლი ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაში“ და ა. შ.



ჩამოთვლილი ფორმების ეფუძნებულობის მიუწედვად, ზოგჯერ მცირდებული ცოდნის ციალისტს მიაჩნია, რომ მკითხველებში ბიბლიოგრაფიული ცოდნის სისტემატური და თანმიმდევრული გავრცელებისათვის საჭიროა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული უნივერსიტეტები. უფრო ხშირად ისინი სპეციალისტებისათვის იქმნება, რაღაც სტატისტიკის მონაცემებით, უმაღლესი განათლების მქონე მკითხველთა 70% არ გააჩნია საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ჩვეულები.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელებაში პერსპექტიულია აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება, როგორიცაა: ტელევიზია, რადიო და პერიოდული პრესა. ამ შემთხვევაში მთავარია სისტემის შექმნა, რომელიც გააცნობს დაინტერესებულ მკითხველს დიდი ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ პროდუქციას.

§ 3. პიაღიობრაფიული ცოდნის გამოცვლების ჯგუფური ფორმები

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების მასობრივ ფორმებთან ერთად, ბიბლიოთეკები ფართოდ იყენებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმებსაც. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა კონსულტაციები, რომელიც არის ჯგუფური და ინდივიდუალური.

ჯგუფური კონსულტაციები ტარდება იმ მკითხველებისათვის, რომელთაც სქირდებათ რჩევა-დარიგება, როგორ გამოიყენონ ბიბლიოთეკის საინფორმაციო სამსახური, მისი საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. მკითხველთა ჯგუფებისათვის შეიძლება თემატური ჯგუფური კონსულტაციების „ჩატარება, მაგალითად, „ცნობარები ისტორიკოსის დასახმარებლად“, „ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ და ა. შ.

ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება წინასწარ იგეგმება და ბიბლიოთეკარს ყოველთვის აქვს საშუალება, რომ წინასწარ მოემზადოს. საჭიროა აგრეთვე შეტყობინება კონსულტაციის თარიღის და დროის შესახებ. უმჯობესია თუ მოცერხდება კონსულტაციების დღეებისა და დროის თავიდანვე დადგენა.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების მნიშვნელოვანი ფორმაა აგრეთვე ინდივიდუალური კონსულტაციები. მკითხველებთან უშუალო საუბრისს უფრო ადვილია მათი საინფორმაციო



მოთხოვნებისა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის დონის გამჭველებრივა
ინდივიდუალური კონსულტაციის სირთულე იმაშია, რომ მეი-
თხველთან საუბრისას წამოქრალი საკითხებისათვის შეიძლება
ბიბლიოგრაფი არ აღმოჩნდეს შზად, რადგან ინდივიდუალური კონ-
სულტაცია ტარდება წინასწარი მომზადების გარეშე. ეს კიდევ
ერთხელ აყენებს საკითხს ბიბლიოგრაფის კომპეტენტურობის, მი-
სი შალალი ბიბლიოგრაფიული კულტურის აუცილებლობის შესა-
ხებ.

კარგი შედეგები აქვს მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლე-
ბას მათ შეკითხვებზე მუშაობის პროცესში. ამ დროს მკითხველი
უშუალოდაა დაინტერესებული და ეს ქმნის დადებით განწყობას
ინფორმაციის აღმისათვის. ამიტომ საცნობო-ბიბლიოგრაფიული
მომსახურება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს,. როგორც
ბიბლიოგრაფიული სწავლების საბაზო ფორმა. ამ დროს ხდება
მკითხველთა მიერ ბიბლიოგრაფიული ანგანის შეთვისება და ბიბ-
ლიოგრაფიული წყაროების დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევე-
ბის განმტკიცება.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გაფრცელების ჯგუფურ ფორმებს
განეკუთვნება აგრეთვე საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცე-
მების, მათ შორის ახლად გამოცემული ბიბლიოგრაფიული მაჩვე-
ნებლების მიმოხილვები, უფრო ხშირად მიმოხილვებს უკავშირებენ
ახალი ლიტერატურის გამოფენებს. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებ-
ლები შეიძლება მიმოხილული იქნეს თემატურად. ამ შემთხვევაში
მათი შინაარსი განისაზღვრება სხვადასხვა ჯგუფის მკითხველთა
ინტერესებით. შეიძლება მიმოხილვების ჩატარება მკითხველთა
ცალკე ჯგუფებისათვის: ახალგაზრდა სპეციალისტთათვის (მასწავ-
ლებლების, საინჟინრო-ტექნიკური დარგის მუშავების და სხვ.).

მიმოხილვის მომზადებისა და ჩატარების შეთოდიყა დამოკიდე-
ბულია მის მკითხველურ დანიშნულებაზე. თუ მიმოხილვა ტარდე-
ბა თვითგანათლების მიზნით, მაშინ საკმარისია ბიბლიოგრაფიული
მაჩვენებლების რამდენიმე გამოცემა. ამ დროს მკითხველთან ვსა-
უბრობთ არა მარტო ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებზე და მათი
გამოყენების საშუალებაზე, არამედ მასში აღნუსხული წიგნების
შესახებაც. თუ მიმოხილვა სპეციალისტებისათვისაა განკუთვნი-
ლი, მაშინ შეიძლება მეტი მაჩვენებლების მიმოხილვა. შეიძლება

ჩატარდეს მათ შესახებ მოქლე საუბარი, მაგრამ აუცილებლად უნდა გაყეოთდეს აქცენტი იმაზე, თუ რა როლი ენიჭება თითოეულ მაჩვენებელს დარგის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემაში.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების ტრადიციული ფორმა ექსკურსიები. სწორედ ამით იწყება საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაცნობა მკითხველებზე. ექსკურსიებზე ისინი ეცნობიან მთელს ბიბლიოთეკას, მის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ პარატს, იმ განყოფილებებს, რომელთაც თავისი სპეციალიზებული ფონდები გააჩნიათ. თუ მკითხველები გამოთქვამენ სურვილს, მათვის ბიბლიოთეკამ შეიძლება მოაწყოს ექსკურსიები სხვა ბიბლიოთეკებში და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცანტრებში.

ამ ღონისძიების შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა მომზადებული იგი მეთოდურად. ამიტომ ექსკურსია იმპროვიზაციული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა მომზადდეს მისი ჩატარების გეგმა, ექსკურსიის გამძლოლის ტექსტი და ზუსტი მარშრუტი. ექსკურსიის თავისებურებაა — მისი თეალსაჩინოება. ექსკურსიისათვის უნდა შეიძრჩეს ერთგვარი ინტერესების მქონე მკითხველები, რაც აამაღლებს მის ეფექტურობას.

ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელებას მკითხველთა შორის, ხელს უწყობს ლექციები, რომელიც ტარდება მასობრივი მკითხველებისა და სპეციალისტებისათვის.

ლექციების ჩატარება მიზანშეწონილია კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, თათბირებზე, სეშინარებზე, სხვადასხვა გაერთიანებულ შეხვედრებზე (ბიბლიოგრაფიის დღე, სპეციალისტის დღე და ა. შ.). ბიბლიოგრაფიული ცოდნის ღრმად შეთვისებას ხელს უწყობს ლექციების ციკლი.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ბიბლიოგრაფიული სწავლება ხდება სპეციალურ კურსში „სპეციალობის შესავალი“, სადაც შეისწავლება „ინფორმატიკის საბიბლიოთეკო საქმის და ბიბლიოგრაფიის საფუძვლები“. მეცნიერება ტარდება სასწავლო პროცესის შესატყვისად, რაც იწვევს დაინტერესებას სტუდენტ ახალგაზრდობაში.

სკოლაში საბიბლიოთეკო გაყვეთილების ჩატარებისას შეიძლება



ბიბლიოგრაფიული სწავლება დაფუქავშიროთ საუკეთესო საბჭომაში მათ მიმოხილვას. წიგნების გაცნობას. მათ მიმოხილვას.

ახალგაზრდობის ბიბლიოგრაფიული სწავლება რომ უფრო საინტერესო იყოს, სასურველია ვიქტორინის ჩატარება ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ბიბლიოგრაფიული პროდუქციის და კატალოგების სისტემის შესახებ.

თავი VI

ბიბლიოთეკის თანამშრომალთა ბიბლიოგრაფიული ცეკვლება

§ 1. ზოგადი საკითხები

პრაქტიკა აღასტურებს, რომ მყითხველთა ბიბლიოგრაფიული კულტურა, უშუალოდ დამოკიდებულია ბიბლიოთეკართა კულტურაზე, იმაზე თუ როგორ ფლობენ ისინი ბიბლიოგრაფიული მუშაობის ჩვევებს და ხერხებს, როგორ შეუძლიათ ბიბლიოთეკის ინფორმაციული და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურის შესაძლებლობების წარმოქმნა მყითხველთა წინაშე.

ბიბლიოთეკართა ბიბლიოგრაფიული სწავლება, პირველ რიგში გულისხმობს მათი ზოგადი ბიბლიოგრაფიული კულტურის დონის ამაღლებას.

იმ განყოფილებების თანამშრომელების ბიბლიოგრაფიული მომზადება რომელთაც უშუალოდ არ ევალებათ ბიბლიოგრაფიული მომსახურება — ერთგვარი არაა, მათ სხვადასხვა თანამდებობები უკავიათ, მუშაობენ სხვადასხვა ტიპისა და პროფილის ბიბლიოთეკაში. ეს ყველაფერი კი ახდენს გავლენას მათ ბიბლიოგრაფიულ მომზადებაზე. ეს ეხება იმ ბიბლიოთეკარებს, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომზადება.

დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომელი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ბიბლიოგრაფიულ წყაროებში, რომელიც მას ყოველდღიურად სჭირდება. მან უნდა შეძლოს სამუშაო კარტოთეკის წარმოება.

დარგობრივი განყოფილების ბიბლიოთეკარი უნდა იცნობდეს



ამ დარგის საინფორმაციო სისტემას უნდა ფლობდეს დარჯის მიზანით ბიბლიოგრაფიული და მკითხველთა მომსახურების ჩვევებს.

ბიბლიოგრაფიული მომზადება განსაკუთრებულად სჭირდებათ მომსახურების განყოფილების თანამშრომლების. ისინი სხვა არაბი-ბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლებთან შედარებით, მეტად არიან დაყავშირებული ბიბლიოგრაფიულ საქმიანობასთან. ასე, მაგალითად, აბონემენტის ბიბლიოთეკარები არა მარტო სარგებლობენ ბიბლიოგრაფიული მასალებით თავისი ფონდის შესწავლის პროცესში და მკითხველებთან მუშაობაში, არამედ მონაწილეობენ თავისი მკითხველებისათვის სარეკომენდაციო სიების, თემატური კარტოთეკის და კითხვის გეგმების შედგენაშიც.

ასევე სჭირდებათ ბიბლიოგრაფიული ცოდნა განყოფილების გამგებებს, თავის განყოფილებაში ყველა ბიბლიოგრაფიული პროცესის წარმატებით მართვისათვის.

§ 2. პიპლიოთეკის თანამშრომელთა პიპლიოგრაფიული წევალების ფორმები და მათოდები

ბიბლიოთეკართა ბიბლიოგრაფიული კულტურის ასამაღლებლად საჭიროა როგორც ბიბლიოგრაფიული სწავლების ორგანიზაცია, ასევე თვითგანათლება:

ბიბლიოგრაფიული სწავლების მოწყობა, ეს ივივე ქვალიფიკაციის ამაღლებაა, რომლის დროსაც ხდება ბიბლიოთეკართა პროფესიული დაოსტატება, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და საბიბლიოთეკო საქმის მიღწევების საფუძველზე. სწავლება დიფერენციულია ბიბლიოთეკის ტიპის, თანამშრომელთა კადრების კვალიფიკაციის, კატეგორიის, პროფესიული მუშაობის სტაჟისა და მათ მიერ შესასრულებელი ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მიხედვით.

ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში, უმაღლეს კურსებზე, რომელსაც აწყობს კულტურის სამინისტრო, ეროვნული ბიბლიოთეკა, ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკები, სხვადასხვა სამინისტროთა მეთოდური ცენტრები და სხვა.

ჩვენთან დამკვიდრებული სისტემა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებას ატარებს ხუთ წელიწადში ერთხელ. ამიტომ

ჭრუნვა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაზე უხდებათ აღვიფრთხოებულის კულტურის ხელმძღვანელობას, რომლებიც ატარებენ სემინარებს, პრაქტიკულებს და ა.შ.

ბიბლიოგრაფიული სწავლების განსაკუთრებით გავრცელებული ფორმაა თემატური სემინარები, რომელიც დიფერენცირებულია ბიბლიოთეკის ტიპისა და ბიბლიოთეკართა საქმიანობის მიხედვით.

პრაქტიკული ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში უტარდებათ ახლად მიღებულ თანამშრომლებს და იმათ, ვისაც არა აქვს სპეციალური განათლება.

სტაჟირება ხდება იმ ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოგრაფიული მუშაობა კარგადაა დაყენებული სტაჟიორისათვის საჭირო სახეებში. მისი სწავლების პროგრამა დგება სტაჟიორისა და მისი გამომგზავნელი ბიბლიოთეკის სურვილის შესაბამისად.

ბიბლიოგრაფიული სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია აგრეთვე მოწინავე ბიბლიოგრაფთა გამოცდილების გაზიარებაზე.

ჩამოთვლილი ფორმების გარდა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს — თვითგანათლებას. ბიბლიოთეკარი უნდა ეცნობოდეს სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც გამოსცემენ ბიბლიოგრაფიულ წყაროებს. თვითგანათლებაზე მომუშავე ბიბლიოთეკარს, ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას უდგენს საკნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

თავი VII

პიგლიოთეკის პიგლიოგრაფიული საჭირანობის მართვა

§ 1. პიგლიოგრაფიული მუშაობის დაგენერაცია

თანამედროვე უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები, რთული სისტემებია, რომელიც ვითარდება მთელი რიგი შინაგანი და გარეშე ფაქტორების გავლენის შედეგად. ამ რთულ სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიული სამსახური, რომ-

ლის მართვა მიზნად ისახავს დაგეგმვის, ორგანიზაციის, კონტროლის, აღრიცხვის და რეგულირების საფუძველზე, ამ საშახურის შედეგის მუშაობას.

დაგეგმვის ორ სახეს არჩევენ: პერსპექტიულს და ოპერატიულს (მიმღინარეს). პერსპექტიული გეგმა ჩვეულებრივ დგება ხუთი წლით და ასახავს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის განვითარების ტენდენციებს. მასში ასახება ძირითადი სამუშაოები საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედეგნისა და ბიბლიოგრაფიული მომსახურების სრულყოფის შესახებ და ა. შ.

ოპერატიული დაგეგმვა აუცილებელია ყველა ბიბლიოთეკისათვის. წლიურ გეგმისში ასახება ტექსტი, სალაც გადმოცემულია ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანები წლის განმავლობაში, ყველა ქვედანაყოფის სამუშაოთა სია ციფრობრივი მონაცემებით და განმარტებითი ბაზათი, რომელიც გეგმს დაერთვის. ბიბლიოგრაფიული მუშაობის უკანა, ბიბლიოთეკის საერთო წლიური გეგმის სტრუქტურული ნაწილია.

სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში, ერთგვაროვნად არ ხდება ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ასახვა. ეს ტენდენცია მეთოდიკურად გამართლებულია, მაგრამ არის მონაცემები, რომელთა გარეშე არ შეიძლება დიდი ბიბლიოთეკების წლიური გეგმის შედეგნა. ასე, მაგალითად, გეგმაში უნდა აისახოს:

1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ფორმირება (საცნობო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების ფონდის დაკომპლექტება, კატალოგებისა და კატოთეკების შევსება, მათი რედაქტირება და ა. შ.).
2. ბიბლიოგრაფიული ინფორმირება.
3. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედეგენა და მათი გამოყენება მკითხველებთან მუშაობაში.
4. მკითხველთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული სწავლება.
5. ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მონაწილეობა.
6. მეთოდიკური დახმარება ბიბლიოთეკებზე ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციაში.
7. ბიბლიოგრაფიული სამსახურის მუშაოთა კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ.

წლიური გეგმის როლი უფრო იზრდება, როდესაც იყენებენ ბიბლიოგრაფიული პროცესების შესრულებაზე დასახარჯ დროის ნორმებს. ეს საშუალებას იძლევა, საჭმაოდ ზუსტად განისაზღვროს

ბიბლიოგრაფიული პროცესების მოცულობა და მასზე ღმართებული დრო, დასაბუთებულ იქნეს აღრიცხვა და ანგარიშება.

ამჟამად ნორმირებისათვის იყენებენ დადგენილ „ტიპიურ ნორმებს“. ნორმების მიხედვით დაგეგმვის დროს უცილებელია სამუშაოს და მისი აღრიცხვის წორი განსაზღვრა.

ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვის მეთოდიკა უპირველესად ითვალისწინებს 1. ამოცანების შესწავლას, რაც დასახული აქვს ბიბლიოთეკას, მომავალი წლისათვის. 2. გასული წლის გეგმის შესრულების მონაცემების შესწავლას. ამაში ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვის წიგნის ანალიზი.

გეგმის ცალკეული სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება მისი მოცულობით, სირთულით.

წლიური გეგმის პროექტის განხილვა ხდება ბიბლიოგრაფიული სამსახურის თანამშრომელთა მიერ, რომელსაც ამტკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

დამტკიცებული წლიური გეგმის საფუძველზე დგება ბიბლიოგრაფთა კვარტალური სამუშაო გეგმა. ამ დროს ითვალისწინებენ კვარტალის სეზონურ თავისებურებებს (მკითხველთა მოსვლას ბიბლიოთეკაში) და იმ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოვლენებს, რომელთა წლიური დაგეგმვა შეუძლებელია. წლიური და კვარტალური გეგმების გარდა, ბიბლიოგრაფიული სამსახური დაგენს მიზნობრივ გეგმებს: სამეცნიერო კვლევის ჩატარებაზე, რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე და ო. შ. შეიძლება სკუვე ერთჯერდი ბიბლიოგრაფიული გეგმის შედგენა ისეთ წერილმან საყითხებზე, რომელიც ვერ პპოვებს ასახვას წლიურ და კვარტალურ გეგმებში.

§ 2. პიპლიოთების პიპლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშება

ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვა ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციის სრულყოფას და ამავე დროს საშუალებას იძლევა, რომ დაწესდეს კონტროლი კონცესზე, ე. ი. განხორციელდეს აღრიცხვა და ანგარიშება. თავის მხრივ ეს ეხმარება ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მართვას ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვის მრავალი საშუალებებით
ბიბლიოგრაფის მიმდინარე მუშაობა აისახება „ინდივიდუალურ
დღიურებში და აგრეთვე განყოფილების ერთიან ურჩნალში, სადაც
აღრიცხვა კეთდება გეგმვის აღნიშნული ძირითადი ნაწილების მი-
ხედვით. ზოგიერთი ბიბლიოთეკა იყენებს სპეციალურ ფორმას —
„აღრიცხვის ფურცელს“, სადაც ბიბლიოთეკის მუშავი ყოველდღი-
ურად ახდენს ბიბლიოგრაფიული პროცესების აღნუსხვას, შესრუ-
ლებული სამუშაოს მოცულობისა და მასზე დახარჯული დროის
ფიქსირებით. ასეთი პირველადი აღრიცხვა ხელს უწყობს ჩატარე-
ბულ მუშაობის შეჯამებას და კვარტალური ანგარიშის შედგენას.

აღრიცხვის უნიფიკაციისათვის საჭიროა არსებული ნორმატი-
ული დოკუმენტების გამოყენება, სადაც განსაზღვრულია აღრი-
ცხვის ერთეულები მკითხველთა მოთხოვნებზე და მასობრივ ღო-
ნისძიებებზე.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვას სპეციფიკუ-
რი თავისებურებანი ახსიათებს. საჭიროა მისი წარმოება ერთიანი
ფორმით, როგორც ბიბლიოგრაფიულ, ასევე ბიბლიოთეკის იმ გან-
ყოფილებებში, რომლებიც ეწევიან ბიბლიოგრაფიულ მომსახურე-
ბას. ერთიანი უნიფიცირებული აღრიცხვის შემოღება ხელს
უწყობს სამუშაოს სწორ და დასაბუთებულ დაგეგმვას, შეკითხვე-
ბის ნაკადის შესწავლას, საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის
სრულყოფას და ბიბლიოთეკის მუშავთა კვალიფიციის ამაღლე-
ბას.

აღრიცხვის ერთეულებია აგრეთვე მკითხველთა ბიბლიოგრაფი-
ული და ფაქტოგრაფიული შეკითხვები და პასუხი მასზე, რომე-
ლიც შესრულებულია ცნობისა და კონსულტაციის სახით (მასში
შედის უარებიც), აგრეთვე ის შეკითხვებიც, რომლებიც გადაეცა
სხვა ბიბლიოთეკას. აღრიცხვის ერთეულია აგრეთვე მოთხოვნა
(მკითხველის ზეპირი ან წერილობითი შეკითხვა) და პასუხი მას-
ზე — ზეპირი ან წერილობითი ცნობა (თემატური). ის შეიცავს
ცნობებს ბეჭდური ნაწარმოების შესახებ, ამა თუ იმ თემაზე, ან
ერთ რომელიმე ბიბლიოგრაფიულ დაზუსტებულ ცნობას, ან ცნო-
ბას კონკრეტული გამოცემის ადგილსამყოფელის შესახებ (სამისა-
მართო — ბიბლიოგრაფიული), ან ცნობას გამოვლენილი ფაქტის
შესახებ (ფაქტოგრაფიული), ამრიგად შესრულებული ცნობების
ჯამი კეთდება ზოგადი იმ გაცემული ცნობის შეკრების შემდეგ,



რომლებიც ბიბლიოთეკაში მიღებული სააღრიცხვო ფორმების შედევნითაა რეგისტრირებული.

ერთჯერადი შეკითხვები, რომელიც შემოდის ბიბლიოთეკაში შევადასწვა არხით (უშუალოდ მქითხველისაგან, ტელეფონით, ფოსტით, ტელეტაპით) და მასზე გაცემული პასუხები ტარდება სპეციალური აღრიცხვის წიგნში, ერთიანი ფორმით, ბიბლიოთეკის ყველა სტრუქტურულ განაყოფებში (იხ. ქვემოთ).

თუ შეკითხველის მოთხოვნის შესასრულებლად დიდი დროა საჭირო, მასზე ივსება სპეციალური ბლანკი (იხ. თემატური ცნობის შესრულება), რომელიც კონტროლს უწევს შესრულების მეთოდიკას და ვადებს. აღრიცხვის წიგნი და მოთხოვნის ბლანკი მნიშვნელოვანი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტებია, რომლის საფუძველზე ხდება საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მდგომარეობის ანალიზი და ანგარიშება.

ცსს-თვის საჭიროა აგრეთვე აღრიცხვის ერთიანი უნიფიცირებული ფორმა, რომელიც მიახლოებულია რესპუბლიკის ბიბლიოთეკის სააღრიცხვო ფორმასთან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ცენტრალიზაციამდე მასობრივ ბიბლიოთეკებში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვა არ იყო სავალდებულო და ამდენად არც უნიფიცირებული, ამჟამად მისი შემოღება ცსს-ში უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი სისტემაში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სრულყოფისათვის.

ცსს-ის მუშაობის პრაქტიკაში, მიუხედავად სახელმძღვანელო მასალების არსებობისა და ცენტრალიზაციის წლებში დაგროვილი გამოცდილებისა, შეინიშნება სხვადასხვაგვარი მიღებომა შესრულებული ცნობების აღრიცხვისადმი. კერ ერთი, ყველა ცსს-ში არაა მოგვარებული იმ ცნობების აღრიცხვა, რომელსაც ასრულებს აბონეენტი, სამყითხველო დარბაზი და სხვა. მეორე მხრივ თვით ცსს-ის ბიბლიოგრაფები შესრულებული ცნობების აღრიცხვას სხვადასხვაგვარუდ ახდენენ: ზოგი აღრიცხვას აბონენტზე გაცემულ ყველა პასუხს, ზოგი უბრალო მითითებასაც კი. სხვები პირიქით — მხოლოდ თემატურ ცნობებს აღნიშნავენ აღრიცხვის წიგნში, რომელსაც დიდი დრო მოახმარეს და გამოიყენეს სათანადო წყაროები. ამის შედეგად ერთგვარ პირობებში ცსს-ის ბიბლიოთეკების შესრულებული ცნობების რიცხვი იძლევა განსხვავებას 300—500-

დან, რამდენიმე ათასშემცირ. ზოგჯერ ამის ახსნა შეიძლება იმისა, რომ
მასობრივი ბიბლიოთეკების თანამშრომელთა დიდ ნაწილს არ გა-
აჩნია საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების გამოცდილება.
თუმცა ეს იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ყველა შეკითხვა გათა-
ნაბრებულია ცნობათა კატეგორიასთან, რაც იწვევს სუბიექტურ
გადაწყვეტას.

ცს-ში, სახელმძღვანელო მასალების თანახმად, აღრიცხვის
წიგნში უნდა მოხდეს ყველა ტიპის ცნობის ფიქსირება. სპეცია-
ლისტთა აზრით, ასეთი აღრიცხვა საშუალებას იძლევა, რომ ობი-
ექტურად შეფასდეს ცს-ის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახუ-
რება.

ცხადია, საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვის
სისტემის სწორად წარმოება, ესმარება ბიბლიოთეკას გააანალიზოს
თვითი მონაცემები და სრულყოს საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპა-
რატი.

ანალიზისათვის საჭიროა სააღრიცხვო ფორმების ყველა მონა-
ცემების კორექცია. ამის საშუალებას კი არ იძლევა არსებული
აღრიცხვის ფორმები. ასე, მაგალითად, მთელ რიგ სპეციალისტებს
მიაჩნიათ, რომ დამაზუსტებელი, საბიბლიოთეკო (მისამართის და-
მადასტურებელი) და ფაქტოგრაფიული ცნობა არ უნდა გატარდეს -
აღრიცხვის წიგნში, რადგან მის ჩაწერას შეტი დრო სკირდება,
ვიდრე მოძებნას. ზოგი ბიბლიოთეკა უფრო რაციონალურად უძლ-
ვება ამ საქმეს, აღრიცხვს მხოლოდ თემატურ ცნობებს, დანარ-
ჩენს ფარავს და გამოჰყავს რაოდენობითი მაჩვენებელი.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის სხვა ფორმების აღრიცხვა ხდება
ნებისმიერად, მაგრამ აუცილებელია აღრიცხვის იმ ერთეულების
გათვალისწინება, რომლებიც გეგმაშია შეტანილი.

მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია, უეგმის მონაცემებზე კონ-
ტროლის დაწესება. დიდ ბიბლიოთეკებში სისტემატურად განიხი-
ლება კონტროლის შედეგები. აქ კონტროლი დავალებული აქვს
ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეს, ხოლო იქ, სადაც ეს
განყოფილება არ არის, მეთოდური და ბიბლიოგრაფიული განყო-
ფილების უფროს ბიბლიოგრაფს.

მართვის პროცესისათვის აუცილებელია ინფორმაცია ცალკე-
ული განყოფილებების შესახებ. ამ მხრივ ძირითად ფორმას წარ-

მოადგენს თითოეული განყოფილების თანამშრომელთა ანგარიში, გეგმის შესრულების შესახებ.

კვარტალური და წლიური გეგმის შესრულების შედეგები ჯამდება ანგარიშებში, რომლებიც აღრიცხვის კონტროლის და ანგარიშების საბოლოო საფეხურს წარმოადგენენ. ბიბლიოგრაფიული განყოფილების ანგარიში დგება ბიბლიოგრაფთა კვარტალური ანგარიშების საფუძველზე.

ზოგიერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში არა მითითება ბიბლიოგრაფიული მუშაობის მონაცემების შესახებ, ბიბლიოთეკის ანგარიშებში შეტანაზე. ეს ეხება, როგორც უნივერსალურ, ასევე სპეციალურ ბიბლიოთეკებსაც. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ბიბლიოთეკებს სრულყოფილი აღრიცხვის სისტემა. საჭიროა პერსპექტივაში დაგევმვისა და ანგარიშების უნიფიცირებული ფორმების შექმნა, რომელიც ბიბლიოგრაფიულ მუშაობასაც ერთიანი ფორმით ასახავს ყველა ბიბლიოთეკაში.

ეს, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის თვით ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში სტატისტიკური მონაცემების წარმოების აუცილებლობას, რადგან იგი განყოფილების ფარგლებში ბიბლიოგრაფიული პროცესების რეგულირებისა და კონტროლის საშუალებას იძლევა.

გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, წლიურ ანგარიშს დართული ქვეს ტექსტი, სადაც ყოველმხრივ ხასიათდება ბიბლიოგრაფიული მუშაობა.

ანგარიში ავლენს აგრეთვე, როგორც მიღწევებს, ასევე ხარჯებს ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში. ცნობილია, რომ საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დახასიათებისათვის საქმარისი არაა შხოლოდ რაოდენობრივი მონაცემები. ამიტომ ანგარიშში უნდა აისახოს შესრულებული ცნობები დარგობრივად, როგორი უარები გასცა ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ, საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის შევსების შინაარსი, ბიბლიოგრაფთა პროფესიული მომზადების დონე და ა. შ.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია ძირითადი შედეგები და წინადადებები ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახურის სრულყოფის შესახებ.

§ 3. გიგანტური გრაფიკული საქმიანობის მეთოდური
 ხელშეღვაწელა

მეთოდური ხელშეღვანელობა ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მართვის ერთ-ერთი ფორმაა.

მეთოდური ხელშეღვანელობის არსი მდგომარეობს ბიბლიოთეკებზე მეთოდური დახმარების გაწევაში დიდი ბიბლიოთეკების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრების მიერ. განსაზღვრულია ეს ბიბლიოთეკებიც, ასე, მაგალითად: მასობრივ ბიბლიოთეკებს ხელშეღვანელობენ ეროვნული, ცენტრალური რაიონული და ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკები. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ხელშეღვანელობს აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებს — რესპუბლიკის ეროვნული საბავშვო ბიბლიოთეკა და ა. შ.

ამრიგად, მეთოდური ხელშეღვანელობის სისტემა იერარქიულია.

როდესაც საუბარია უშუალო, მეთოდურ ზეგავლენაზე, უპირველესად იგულისხმება მეთოდური ცენტრის საქმიანობა მასზე დაქვემდებარებული ბიბლიოთეკების ქსელის მუშაობის ანალიზზე, მეთოდური ხელშეღვანელობის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების დამუშავება გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ანალიზის ძირითადი წყაროა წლიური ანგარიში, რომელსაც წარუდგენს ბიბლიოთეკა შესატყვის მეთოდურ ცენტრს. ანალიზის შედეგი, წერილობით გადაეცემა ბიბლიოთეკის დირექტიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის სტატისტიკური ნაწილი მხოლოდ უმაღლესი სკოლების ბიბლიოთეკების ანგარიშებშია წარმოდგენილი საქმაოდ დეტალურად. ეს მაჩვენებლები ადასტურებენ ბიბლიოთეკების მრავალმხრივ ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. რაც შეეხება სხვა ტიპის ბიბლიოთეკების ანგარიშებს, მათში ძალიან მცირეა მასალა ბიბლიოგრაფიული პროცესების შესახებ.

ცნობების მიღების მეორე საშუალება არის უშუალო გაცნობა ქსელის ბიბლიოგრაფიული მუშაობისა. მისი უპირატესობა ისაა, რომ უშუალოდ შეიძლება გაცნოს შემმოწმებელი ბიბლიოთეკების მუშაობას ადგილზე. ასეთი შემმოწმება ხორციელდება ბიბლი-



ოთხეის გეგმიური შემოწმების დროს, მაგრამ შეიძლება ასტყარებულის ბისმიერი შესაძლებლობის გამოყენებაც (ბიბლიოთეკაში მისვლა, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე დასწრება და ა. შ.).

გეგმიური შემოწმება შეიძლება იყოს ზოგადი (როდესაც მოწმდება ბიბლიოთეკის მუშაობის ყველა უბანი) ან ნაწილობრივი (მოიცავს ცალკეულ უბნებს, ამოწმებს ამა თუ იმ დებულების რეალიზაციას, მართვის ორგანოთა და მეთოდური ცენტრების რეკომენდაციების დანერგვას პრაქტიკაში და ა. შ.). ორივე შემთხვევაში უნდა შემუშავდეს შეკითხვები, რომელსაც კომისიის წევრებმა განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება, ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმებისას. შემოწმების შედეგებზე, ჩვეულებრივ, იწერება აქტი — წერილობითი დასკვნები, სადაც მოცემულია შენიშვნები და წინადადებები გამოვლენილი ხარჯების გასასწორებლად. მეთოდური ცენტრის მუშაკი, ბიბლიოთეკაში მისვლის დროს ამოწმებს კომისიის რეკომენდაციებისა და წინადადებების. რეალიზაციას.

შემოწმების შედეგებს იყენებენ მართვის ორგანოები, ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სამწუხაროდ, არც ისე ხშირია მეთოდური ცენტრის მუშაკების მიერ ბიბლიოთეკების მუშაობის შესწავლის ფაქტები. გეგმიური შემოწმება იშვიათად ტარდება, რადგან უნდა შეიქმნას კომისია, არა მარტო მეთოდური ცენტრის, არამედ აგრეთვე სხვა ბიბლიოთეკების თანამშრომლებისაგან. ამ პერიოდში კომისიის წევრები უნდა მოსწყლნენ მათ უშუალო საქმეს. გარდა ამისა შემოწმებაზე მცირე თანხები გამოიყოფა, მივლინების ხარჯების სახით. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საჭიროა ბიბლიოთეკის საგეგმო-საანგარიშო დოკუმენტაციის უნიფიკაცია.

გარდა დასახელებული სამუშაოსი, მეთოდური ცენტრები ხელს უწყობენ მეთოდური მასალების დანერგვას ბიბლიოთეკებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცსს-ისათვის მეთოდურ მასალებს გამოსცემს ეროვნული ბიბლიოთეკა. მათი დახმარებით ხდება ყველა ტიპის ბიბლიოთეკაში ნორმატივებისა და ნორმების დანერგვა, რომელიც აუცილებელია ყველა ტიპის, ან რომელიმე განსაზღვრული ტიპის ბიბლიოთეკისათვის. სხვა ღონისძიებათა შორის უნდა ითქვას აგრეთვე იმ რეკომენდაციების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მეცნიერული კვლევის შედეგებს. ყველაფერი ეს თავის

მხრივ მოწმობს, რომ მეთოდური ხელმძღვანელობა, ბიბლიოთეკური მომღერალი განვითარების პირობის მართვის დამოუკიდებელი ნაწილია.

ბიბლიოთეკის ანგარიშებთან ერთად, მართვის ფორმალურ წყაროს განცემულობა ე. წ. პირველადი და მეორადი დოკუმენტები, როგორიცაა სტატიები პერიოდულ პრესაში, მათი მთავარი დადებითი მხარეა მისაწვდომობა. ამ მასალის გამოვლენაზე, პირველიგში, მუშაობენ თვით ბიბლიოთეკები. ისინი სწავლობენ ბიბლიოთეკების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას და აკეთებენ დასკვნებს მათი დანერგვის შესახებ, კონკრეტულ ბიბლიოთეკაში.

ଓଡ଼ିଆରୁ

თ ა ვ ი I.	ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საკითხები ბიბლიოთეკაში	3
	1. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ორგანიზაცი- ული სტრუქტურა	3
	2. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ძირითადი ფუნ- ქციები	7
	3. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომხმარებლები და მათი ინ- ფორმაციული მოთხოვნილებები	10
თ ა ვ ი II.	ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატი.	13
	1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული პარატის ორგანიზაციის ზოგადი საკითხები, შემადგენლობა და ამოცანები	13
	§ 1. ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი	17
	§ 2. შესრულებული ცნობების ფონდი	30
	§ 3. ბიბლიოთეკის კატალოგებისა და კარტოთეკების სისტემა	32
თ ა ვ ი III.	ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკაში	41
	1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკაში	41
	§ 1. თემატური ცნობების შესრულება	44
	§ 2. ბიბლიოგრაფიული კრისულტაცია	46
	§ 3. დამაზუსტებელი ცნობების შესრულება	47
	§ 4. სამისამართო ცნობების შესრულება	48
	§ 5. ფაქტოგრაფიული ცნობების შესრულება	48
	2. ბიბლიოგრაფიული ინფორმირება ბიბლიოთეკაში	50
	§ 1. დიფერენციული და მასობრივი ბიბლიოგრაფიული ინფორმი- რება	51
თ ა ვ ი IV.	ბიბლიოგრაფირების ორგანიზაცია და მეთოდიკა (ბიბლიოგრაფი- ული მაჩვენებლის შედგენის მეთოდიკა).	61
	§ 1. ზოგადი საკითხები	61
	§ 2. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის მოსამზადებელი ეტაპი	62
	§ 3. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის ძირითადი ეტაპი	66
	§ 4. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენის დასკვნითი ეტაპი	74
თ ა ვ ი V.	ბიბლიოგრაფიული კულტურის ფორმირება და ბიბლიოგრაფი- ული ცოდნის გავრცელება ბიბლიოთეკის მეთაცელებში.	79
	§ 1. ზოგადი საკითხები	79



§ 2. ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების მსპობრივი ფორმები	87
§ 3. ბიბლიოგრაფიული ცოდნის გავრცელების ჯგუფური ფორმები	87
თავი VI. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ბიბლიოგრაფიული სწავლება	90
§ 1. ზოგადი საკითხები	90
§ 2. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ბიბლიოგრაფიული სწავლების ფორმები და მეთოდები	91
თავი VII. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მართვა	92
§ 1. ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვა.	92
§ 2. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშება.	94
§ 3. ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მეთოდური ხელმძღვანელობა ¹	99

¹ სალექციო კურსში აცტორებს შორის თავები განაწილდა შემდეგნაირად: თავები I, III (2), V, VI, VII დაწერა ქ. ფოფხაძემ, ხოლო თავები II, III (1), IV დაიწერა ა. ოთაროვას მიერ.

სარედაქციო-საგამოშემსრულო ჯგუფის
უფროსი რედაქტორი ენდი ხარაჭიშვილი
რედაქტორები: მერა დოლიძე
ციალა კაციაშვილი
ტექნიკური ლარისა კოხჩეიძე
მხატვარი თ. გორალევიჩი

ზაფირ სახელშეკრულებო
შეკვ. № 515. ₾. 400.

[10. 66 ღ]

თბილისის ს. ს. ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

21/1



8